# არსენალი

№2 (19). თებერვალი. 2006. „კვირის პალიტრა“. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი

03/2



## ბრედლი — ომის ტაქსი

1425/2
2006

## ქართველი კაპიტანი მსოფლიოს გარშემო წყალქვეშ

## დადიანების სამხედრო კოლექცია

## კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება იბრძვის

## სპეცსამსახურების ყველაზე საიდუმლო დანაყოფები

## ჯავშანი თუ ჭურვი...



სამხედრო სამსახურში გაწვევის მორიგი ეტაპი დაიწყო 4



„სროლის პრაქტიკა არავის აწყენდა..." 22



„ბრედლი" — ომის ტაქსი
ამერიკელი ქვეითების „მობილური ჯავშანი" 25

დადიანების სამხედრო კოლექცია 34






კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება იბრძვის... 10



კოლი — შოტლანდიელი არისტოკრატი 30

# სარჩევი


კალეიდოსკოპი

4 მოკლე ინფორმაციები

კალეიდოსკოპი

6 უცხოეთის ამბები

თვალსაზრისი

8 ეროვნული სამხედრო სტრატეგია: კითხვები და პასუხები

9 ექსკლუზიური განმარტებანი ზოგიერთ სამხედრო საკითხზე

ადამიანი ლეგენდა

10 კაცი, რომელიც იბრძვის...

სპეცოპერაცია

15 „სასიყვარულო სპეცოპერაცია"

სპეცსამსახურები

15 სპეცსამსახურების ყველაზე საიდუმლო დანაყოფები

ჯარის ამბები

18 ზაალ სულაკაურის შტაბის უფროსი...

პრობლემა

20 ქართული არმიის მწვავე პრობლემები „ვარდების რევოლუციის" შემდეგ

სასროლეთი

22 „სროლის პრაქტიკა არავის აწყენდა..."

იარაღი

25 „ბრედლი" – ომის ტაქსი

კომპანიონი

30 კოლი – ფაქიზი და თვინიერი, თუ დაპროგრამებული რობოტი

საჭურველი

34 დადიანების სამხედრო კოლექცია

ფლოტი

39 სატორპედო რეიდი ბათუმის პორტზე

40 მსოფლიოს გარშემო წყალქვეშ

დაპირისპირება

43 რომელი აჯობებს – ჯავშანი თუ ჭურვი

კროსვორდი

47 არსენალვორდი

სანადირო იარაღი

48 ინგლისური დამბები

სუპერმობილი

50 S class – ისტორია

„არსენალის" იარაღის მაღაზია

54 სამოქალაქო პისტოლეტი Beretta 84 FS Cheetah


## რედაქტორის სვეტი

დადგა თებერვალი და ქართველ პოლიტიკოსებს თავიანთი დანაქადნის ასრულება მოუწევთ ანუ საქართველოს პარლამენტმა უნდა საბოლოოდ შეაფასოს რუსი „ცისფერჩაფხუტიანების" ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში შემდგომი ფუნქციონირების მიზანშეწონილება.

მოსკოვიდან უკვე გაისმის მუქარები იმის შესახებ, რომ რუსული სამშვიდობო ძალების გაყვანისთანავე ცხინვალთან ახალი ომი გაჩაღდება...

ეტყობა რუსეთის ხელისუფლებაში უკვე იგეგმება საპასუხო სვლები. თუ ეს ასეა, მაშინ ოფიციალურ თბილისსაც სჭირდება იმის წინასწარ გათვლა, რა საფრთხეები შეიძლება დაემუქროს ცხინვალის რეგიონის ქართულ მოსახლეობას იქიდან ე.წ. სამშვიდობო ძალების გაყვანის შემდეგ.

წინასწარ მზადება, მათ შორის სამხედრო თვალსაზრისითაც აუცილებელია, ოღონდ ისე, რომ ქართული მხარე კვლავ მოძალადეთ და აგრესორად არ დაფიქსირდეს მსოფლიოს საზოგადოების წინაშე, როგორც ეს რუსული მასმედიის დიდი „დახმარებით" აქამდე არაერთხელ მომხდარა.

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ქორქოლიანი*

ყურადღება!
ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. ამიტომ გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი" და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში. ტელ: 42-43-40


რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია


ჟურნალ „არსენალის" ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში


გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია: თბილისი, აკურის ქუჩა №8. (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: 42-43-46 ფაქსი: 98-74-44
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამხედრო სამსახურში გაწვევის მორიგი ეტაპი დაიწყო

საქართველოს სამხედრო ძალებში სავალდებულო-სამხედრო სამსახურში გაწვევის მორიგი ეტაპი დაიწყო. შესაბამის ბრძანებულებას პრეზიდენტმა ხელი უკვე მოაწერა.



ბრძანებულების თანახმად, საშემოდგომო გაწვევის პერიოდში სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა 1000 კაცით განისაზღვრა.

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონის თანახმად, სამხედრო ძალებში გაიწვევენ 18-დან 27 წლამდე ასაკის იმ მოქალაქეებს, რომლებსაც სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გათავისუფლების ან გადავადების უფლება არ აქვთ. წვევამდელები ვალდებულნი არიან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გამოცხადდნენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სამხედრო განყოფილებაში.

კვლავ ძალაში რჩება 200-ლარიანი ბეგარა, რომლის გადახდის შემდეგ წვევამდელს სამხედრო-სავალდებულო სამსახური ერთი წლით გადაუვადდება. ჯერჯერობით ძალაში არ შესულა კანონში ცვლილება, რომლის მიხედვითაც გაწვევის გადავადებისთვის დაწესებული ბეგარის ოდენობა გაიზრდება და წელიწადში 2.000 ლარით განისაზღვრება.

სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვეული ახალგაზრდები ჯარში წელიწად-ნახევრის განმავლობაში იმსახურებენ. პრეზიდენტის ბრძანებულების შესრულების კონტროლი საქართველოს თავდაცვის მინისტრს, ირაკლი ოქრუაშვილს დაევალა.

გაწვევის პროცესი 15 მარტამდე გაგრძელდება და მისი ორგანიზება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ევალებათ.

## შეიარაღებულ ძალებში საკადრო ცვლილებები განხორციელდა

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში საკადრო ცვლილებები განხორციელდა. გენერალური შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა ლევან ნიკოლეიშვილმა თანამდებობიდან გაათავისუფლა კავშირგაბმულობის დეპარტამენტის (ჯ-6) ხელმძღვანელი ნუკრი კაიშაური.

ამჟამად კავშირგაბმულობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოვალეობას ამ სამსახურის უფროსის მოადგილე გურამ გოგსაძე ასრულებს. ჯერჯერობით, გენერალურ შტაბში არ აკონკრეტებენ, ვინ შეცვლის კაიშაურს.

გარდა ამისა, მოვალეობის შესრულებას შეუდგა ეროვნული გვარდიის ახალი ხელმძღვანელი, გენერალ-ლეიტენანტი გოგი თათუხაშვილი. მისი წინამორბედი სოსო ქუთათელაძე კი კადრების განკარგულებაში იმყოფება. სავარაუდოდ, ის გენერალურ შტაბში ერთ-ერთ მაღალ თანამდებობას დაიკავებს.

## საშემოდგომო გაწვევა 100%-ით შესრულდა

„საშემოდგომო გაწვევის შედეგად შსსსა და სასაზღვრო ძალების პირადი შემადგენლობები სრულად დაკომპლექტდა. მთლიანად სამხედრო ძალებში გაწვეულია 2370 კაცი. აქედან შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ გასამხედროებულ ქვედანაყოფში 1370 წვევამდელი, ხოლო შსს-ს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში 1000 კაცი გაიწვიეს.



რაც შეეხება გაწვევის გადავადებისთვის დაწესებულ ბეგარას, 75 წვევამდელი 2.000-ლარიანი ბეგარის გადახდის შედეგად სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან გათავისუფლდა, 4000-ზე მეტმა კი 200-ლარიანი ბეგარის გადახდით სამხედრო სამსახური ერთი წლით გადაივადა", — განაცხადა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის გაწვევის განყოფილების უფროსმა ჯაბა ცომაიამ. მისივე თქმით, ბეგარის გადახდის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში 850.000 ლარზე მეტი შევიდა.

პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, საშემოდგომო გაწვევა 17 ოქტომბერს დაიწყო და 30 დეკემბერს დასრულდა.

## ინციდენტი გონიოს პოლიგონზე

„გონიოს პოლიგონი ბათუმის გარნიზონის 25-მა შეიარაღებულმა პირმა დაიკავა", — იუწყება რუსული სააგენტო „რია ნოვოსტი" ამიერკავკასიაში რუსული სამხედრო დაჯგუფების მეთაურის, ანდრეი პოპოვის ინფორმაციაზე დაყრდნობით.

„გონიოს პოლიგონს რუსი და ქართველი სამხედროები ერთობლივად იყენებენ. შეიარაღებული ჯგუფის აგრესია კონკრეტულად რუსული ობიექტებისკენ იყო მიმართული", — განაცხადა პოპოვმა, — ქართული ჯგუფის ხელმძღვანელმა, არმიის პოდპოლკოვნიკმა გოჩა ნინიძემ ინციდენტის გამართლება „რაღაც" ბრძანების არსებობით სცადა".

როგორც პოპოვი ირწმუნება, რუსული მხარე არასდროს შეეწინააღმდეგებია პოლიგონზე ქართველი სამხედროების ყოფნას.

„ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ ქართველ სამხედროებს გონიოს პოლიგონზე ვინმე არ უშვებდა", — დასძენს პოპოვი.

მისივე ინფორმაციით, ინციდენტი პარასკევს 22. 00 საათზე მოხდა. კონფლიქტი ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო ძალების დაჯგუფების ხელმძღვანელობისა და საქართველოში რუსეთის საელჩოს ჩარევის შემდეგ ამოიწურა. როგორც პოპოვმა განაცხადა, ქართველმა სამხედროებმა ბაზის ტერიტორია შაბათს, გამთენიისას, 0.40 საათზე დატოვეს.

„საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენი სამხედროებისა და ობიექტების საწინააღმდეგო ნებისმიერი ქმედება აღიკვეთება. ამისათვის ჩვენ საკმარისი ძალა გვაქვს",



– აცხადებს ამიერკავკასიაში რუსული სამხედრო დაჯგუფების მეთაური.

„ინტერპრესნიუსის“ სარწმუნო წყაროს ინფორმაციით კი ქართულ მხარეს კუთვნილი სამხედრო ობიექტის დაკავება რუსული მხარის წინააღმდეგობის გადალახვის შედეგად მოუხდა.

როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ „ინტერპრესნიუსს“ განუმარტა, ქართულ მხარეს გონიოს პოლიგონზე სამხედრო წვრთნების ჩატარება ჰქონდა დაგეგმილი, რისთვისაც იქ ქვედანაყოფი უნდა განლაგებულიყო. პოლიგონზე მისულ ჯარისკაცებს კი რუსმა სამხედროებმა წინააღმდეგობა გაუწიეს და პოლიგონზე არ შეუშვეს.

## კრწანისში საწყისი საბრძოლო მომზადების ახალი პროგრამა დაიწყო

საქართველოს შეიარაღებული ძალების კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრში საწყისი საბრძოლო მომზადების ახალი პროგრამა დაიწყო. საზეიმო ცერემონიას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, ბრიგადების მეთაურები და ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო ატაშეები დაესწრნენ. როგორც ჟურნალისტებს გენშტაბის უფროსმა განუცხადა, მომზადებას პირველი და მეორე ბრიგადების ლოგისტიკის ორი ბატალიონი გაივლის. ფიზიკური და საშტაბო მომზადება, სპეციალობის მიხედვით, სატრანსპორტო, სარემონტო და მომარაგების ქვედანაყოფებს ჩაუტარდებათ. 600 სამხედრო მოსამსახურეს ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები ცხრა კვირის განმავლობაში მოამზადებენ. ცხრაკვირიანი წვრთნების დასრულების შემდეგ ორივე ბატალიონის პირადი შემადგენლობა ვაზიანის სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე დამატებით პრაქტიკულ მომზადებას გაივლის.

## ახალციხის სამხედრო ნაწილში ინციდენტის გამოძიება დაიწყო

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა ცხელი ხაზით შესული ინფორმაციის საფუძველზე, ახალციხის სამხედრო ნაწილის საარტილერიო ბატალიონის რიგითი ვალერი სარიშვილი ჰოსპიტალში მოინახულეს, რომელსაც ექიმებმა ტვინის შერყევა და სხეულის დაზიანებები დაუდგინეს.

როგორც სარიშვილის ადვოკატი აცხადებს, სამხედრო ნაწილში მომსახურე ჯარისკაცებმა დაზარალებულისთვის ფულის გამოძალვა რამდენჯერმე სცადეს, 7 იანვარს კი თავს დაესხნენ და სასტიკად სცემეს.

ახალციხის სამხედრო ნაწილში გამოძალვისა და ცემის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

## რუსეთი სომხეთსა და აზერბაიჯანს იარაღს მიაწვდის

„რუსეთი მზად არის იარაღი და სამხედრო ტექნიკა მიაწოდოს სომხეთსა და აზერბაიჯანს“, – განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა ბაქოში ვიზიტისას. მისივე თქმით, ორივე ქვეყნის შეიარაღებისას რუსეთი არა მარტო ორივე რეგიონში არსებულ ძალთა ბალანსს გაითვალისწინებს, არამედ რუსეთის ეროვნული უსაფრთხოებისა და კომერციულ ინტერესებსაც.

რუსეთის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი შესაძლებლად მიიჩნევს რუსი სამშვიდობო ძალების მონაწილეობას სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის მოგვარების პროცესში.

„უპირველესად აუცილებელია კონფლიქტის პოლიტიკურ-დიპლომატიური გზით მოგვარება, რის შემდეგაც შეიძლება ვიმსჯელოთ სამშვიდობო ოპერაციაზე, მათ შორის რუსეთის შეიარაღებული ძალების შესაძლო მონაწილეობით“, – დასძინა სერგეი ივანოვმა.

მისივე თქმით, ის, რომ რუსეთს სამხედრო ტექნიკა საქართველოდან სომხეთში მდებარე რუსულ ბაზაზე გადაჰყავს, არ ნიშნავს, რომ რუსეთი სომხეთს აიარაღებს. „შეიარაღება და საბრძოლო მასალები ერთი სამხედრო ბაზიდან მეორე რუსულ სამხედრო ბაზაზე გადადის და ის რუსეთის ხელში რჩება“, – განმარტა სერგეი ივანოვმა.

## სამხედროები მოქალაქეების სამსახურში

იანვრის მიწურულს საქართველოში შექმნილ სიტუაციას ორდინარულს ჩვენი ქვეყნის ყველაზე არხეინი მოქალაქეც ვერ უწოდებს. მით უფრო განსაცვიფრებელია საქართველოს თავდაცვის უწყებისა და მისი ქვემდებარე ორგანიზაციების უმოქმედობა კრიზისული სიტუაციის პირველ დღეებში. ინფორმაცია 600-700 ჯარისკაცზე,



რომლებიც თბილისში ადგილობრივ სამსახურებს სხვადასხვა პრობლემის მოგვარებაში ეხმარებოდნენ, მხოლოდ პარასკევს გავრცელდა. საინტერესოა, რატომ არ ჩაერთვნენ საქმეში ზარ-ზეიმით მომზადებული რეზერვისტები ან თუ ჩაერთვნენ, მთელი კვირის განმავლობაში რატომ არაფერი ითქვა ამის შესახებ („არსენალი“ დასაბეჭდად შაბათს, 28 იანვარს გადაეცა). ვფიქრობთ, ენერგოკრიზისი სწორედ ის შემთხვევა გახლდათ (იმედი გვაქვს, ჟურნალის გამოსვლის დღისთვის ნაწილობრივ მაინც მოევლება პრობლემებს), როდესაც ჩვენს სამხედროებს შეეძლოთ ერთგვარი სწავლებები ჩაეტარებინათ საბრძოლოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში. ჩვენი აზრით, მოსახლეობისთვის შეშა და ნავთი სწორედ ჯარისკაცებსა და რეზერვისტებს უნდა მიეჰქონდეთ და არა დეპუტატებს, ქალაქების მერებსა და საკრებულოების თავმჯდომარეებს, რომელთაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საკითხები აქვთ მოსაგვარებელი...

**მომზადდა საინფორმაციო სააგენტოებზე დაყრდნობით**

საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთმა იარაღის გაყიდვით 6 მლრდ დოლარი აიღო

„სამხედრო დანიშნულების რუსული პროდუქციის ექსპორტის მოცულობამ 2005 წელს 6 მლრდ დოლარი შეადგინა“, – განაცხადა პრეზიდენტთან შეხვედრისას ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა.

როგორც რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, უცხოეთის ქვეყნებთან რუსეთის თანამშრომლობამ 2005 წელს 5,3 მლრდ დოლარი შეადგინა. ექსპერტები კი რუსეთის იარაღის გასული წლის ექსპორტის მოცულობას დაახლოებით 5,1 მლრდ დოლარად აფასებენ.




ივანოვის თქმით, რუსეთის თავდაცვითი სამრეწველო კომპლექსის დაწესებულებებს უახლოესი რამდენიმე წლისთვის 22 მლრდ დოლარად ღირებული შეკვეთები უკვე აქვთ. როგორც მინისტრმა განაცხადა, სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა რუსეთს 82 ქვეყანასთან აკავშირებს.




რუსეთი თურქეთს სთავაზობს ერთობლივად გამოუშვან საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები C-300. ასე აპირებს რუსეთი თურქეთის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარებისათვის სარაკეტო კომპლექსების მიწოდების ტენდერში გამარჯვებას. ტენდერში რუსეთის გარდა მონაწილეობს აშშ-ც სარაკეტო კომპლექსებით Petriot და ისრაელი, რომელიც თურქეთს arrow-2-ს სთავაზობს.



„კილოს“ კლასის წყალქვეშა ნავი

ინდონეზია კი 2024 წლამდე რუსეთისგან 12 წყალქვეშა ნავს იყიდის. როგორც ინდონეზიის სამხედრო-საზღვაო ძალების საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელმა, პირველმა ადმირალმა აბდულ მალიქ იუსუფმა განაცხადა, – „საბრძოლო სუბმარინები ქვეყნის ტერიტორიული წყლების უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფენ. დღეს პლანეტის უმსხვილესი არქიპელაგის წყლები პრაქტიკულად დაუცველია უცხოური გემების შემოჭრისაგან“.

ამასთან დაკავშირებით ინდონეზიის სამხედრო-საზღვაო ძალებმა ქვეყნის მთავრობას შესთავაზეს ხუთი წლის განმავლობაში რუსეთში „კილოს“ კლასის 6 წყალქვეშა ნავი შეიძინონ, რომელთა საერთო ღირებულება 1,9 მლრდ დოლარი იქნება.




როსობორონექსპორტმა და ინდოეთის თავდაცვის სამინისტრომ ხელი მოაწერეს კონტრაქტს ინდოეთის სახმელეთო ჯარებისათვის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის „სმერჩის“ მიწოდებაზე...

# აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტი ოფიციალურზე გაცილებით მეტია

2006 წელს აშშ სახელმწიფო ინტერესების დასაცავად დაახლოებით 670 მლრდ დოლარს დახარჯავს. ეს 217 მლრდ-ით მეტია იმ ციფრზე, რომელიც ასახულია სამხედრო ბიუჯეტში და რომელიც კონგრესმა გასული წლის დეკემბერში დაამტკიცა.

თავდაცვითი ინფორმაციის ცენტრის ექსპერტს უინსლოუ უილერს მიაჩნია, რომ ბიუჯეტი რეალურად გაცილებით დიდია, რადგან ბევრი ხარჯი სხვა სტატიებზე არის გაწერილი. კერძოდ, სამხედრო ბიუჯეტში ფორმალურად არ შესულა ისეთი სტატიები, როგორიცაა სამხედრო მშენებლობა, ვეტერანების სოციალური პროგრამების დაფინანსება, ერაყსა და ავღანეთში ომი, ბირთვული არსენალის მომსახურება, სახელმწიფო დეპარტამენტის სამხედრო და ასევე აშშ-ის ტერიტორიის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ხარჯები.

მაგალითად, ბირთვული არსენალის შენახვა ენერგეტიკის სამინისტროს ევალება. 2006 წელს საამისო ხარჯები 16,4 მლრდ დოლარს შეადგენს. სამხედრო მშენებლობებისთვის გამოყოფილია 12,2 მლრდ დოლარი. ერაყსა და ავღანეთში საომარ ოპერაციებზე პენტაგონი კონგრესს დაახლოებით 50 მლრდ დოლარს მოსთხოვს, პლუს ის 50 მლრდ, რომელიც უკვე გათვალისწინებულია ბიუჯეტში. კიდევ 4,7 მლრდ გატარდება საერთო სამსახურების ადმინისტრაციაში და ზოგიერთი სამხედრო პროგრამის დაფინანსებას მოხმარდება.

ეროვნული უსაფრთხოების ხარჯები 41 მლრდ დოლარს, ხოლო საერთაშორისო უსაფრთხოებისა – 23 მლრდ დოლარს შეადგენს. ვეტერანების სოციალური პროგრამებისთვის პენტაგონი 68 მლრდ დოლარს დახარჯავს. „თუ ყველა ამ ხარჯს შევკრებთ, – აცხადებს უილერი, – მაშინ გამოდის, რომ აშშ-ის სამხედრო ხარჯები 2006 წელს 669,8 მლრდ დოლარს შეადგენს“.

# აშშ-ის არმია ავტომატური ცეცხლსასროლი საბრძოლო იარაღის Metal storm-ის გამოცდას იწყებს

ამ სისტემის მთავარი თავისებურება სწრაფი სროლაა – 240000 გასროლა წუთში. ეს დატენვის განსაკუთრებული სისტემის ხარჯზე ხორციელდება – ჭურვები ლულაში ერთიმეორის მიყოლებით თავსდება და მათ რიგრიგობით გაისვრიან.





ჭურვებს (ტყვიებს) შორის ლულაში მოთავსებულია ასაფეთქებელი ნივთიერება, რომელიც ბიძგს აძლევს ბოლო ჭურვს. ლულის ხელმეორედ გადატენვა მისი შეცვლის მეშვეობით არის შესაძლებელი. ამასთან, ლულა შეიძლება იყოს ნებისმიერი კალიბრისა – 9 მილიმეტრიდან, რომელიც პისტოლეტის ტყვიებით არის დატენილი, იმ ზომის კალიბრამდე, რომელიც ყუმბარმტყორცნის გასროლას შეესაბამება.



Metal storm-ის სხვა ღირსება მისი საიმედოობა. გარდა ამისა, მისი აღჭურვა ერთდროულად რამდენიმე ლულით შეიძლება. იარაღი ავსტრალიურმა კომპანია Metal storm inc-მა შეიმუშავა. Metal storm-ის დადგმა განზრახული აქვთ უპილოტო საფრენ, საზღვაო და სახმელეთო აპარატებზე.

# ბრიტანეთს პარაშუტისტები სჭირდება

ბრიტანეთის საპარაშუტო-სადესანტო პოლკი პირადი შემადგენლობის ნაკლებობას განიცდის. სიტუაცია იმდენად სერიოზულია, რომ პოლკი, რომლის ერთ-ერთი ბატალიონი ავღანეთში გასაგზავნად ემზადება, აუცილებლად უნდა შეივსოს სულ მცირე 100 კაცით მაინც. მთლიანად პოლკს დაახლოებით 200 სამხედრო მოსამსახურე აკლია. გარდა ამისა, ნაწილს საკმარისად არც სპეციალური მომზადებაგავლილი ჯარისკაცები ჰყავს. ამჟამად ავღანეთში გასაგზავნად პოლკის მესამე ბატალიონი ემზადება. მეორე ბატალიონი ერაყშია, პირველი კი SAS-თან ერთად გადის წვრთნას.



სამხედრო მოსამსახურეთა ნაკლებობას ჟურნალისტები თავდაცვაზე დაფინანსების შემცირებით ხსნიან. სახმელეთო ძალებს ყოველწლიურად სამი ათასი ახალწვეული და დაახლოებით 450 მედესანტე სჭირდება.

# რუსებს ინგლისური „ქვა“ მოეწონათ...

ფე-ეს-ბეს მონაცემებით, კონტრმზვერავებმა დააკავეს რუსეთის მოქალაქე, რომელიც ბრიტანეთის დაზვერვას ინფორმაციას ჯიბის კომპიუტერით აწვდიდა, მასში ჩამონტაჟებული კონტეინერ-რადიოგადამცემის მეშვეობით. ინფორმაციის მიმღები რადიოგადამცემი ქვით იყო შენიღბული. კონტეინერზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მის მუშაობას ბრიტანელი დიპლომატები უზრუნველყოფდნენ. ოპერაციის შედეგად ფე-ეს-ბემ უახლესი ელექტრონული გადამცემი ჩაიგდო ხელთ.

– ჩვეულებრივ, ჯაშუშები ორმხრივი კავშირისას ვარდებიან, აგენტსა და მზვერავთან შეხვედრისას. ახლა ბევრი საზღვარგარეთ გასვლას ახერხებს და ინფორმაციას აგენტებს იქ გადასცემს. ზოგიერთს კი ქვეყნიდან გასვლა ეკრძალებათ (ვინც სახელმწიფო საიდუმლოებას არის ნაზიარები) და თუ ინფორმაცია ოპერატიულია, იძულებულნი არიან, აგენტს შეხვდნენ. ამიტომაც შეიმუშავეს ბრიტანელებმა ნოუ ჰაუ, კავშირის ახალი სახე: მოწყობილობა, რომელიც ქვით არის შენიღბული. მასთან მიახლოება არც არის საჭირო, საკმარისია ორწამიანი რადიოკავშირი 20-25 მეტრის მანძილზე. აგენტი ჯიბის კომპიუტერით, რომელშიც რადიოგადამცემია ჩამონტაჟებული, ინფორმაციას გადასცემს, ამავე გზით იღებს ინსტრუქციებსაც. ასე რომ, სავსებით ჩვეულებრივმა ქვამ (40 სმ) ბრიტანელებს საპელმენეებში შეხვედრებისა და გზისპირა ბოძებში ინფორმაციის ჩადების ტრადიცია დაათმობინა.





რუსები ბრიტანელებს საყვედურობენ, თავად კი გახარებულები არიან ძვირადღირებული აპარატურის ხელში ჩაგდებით, თუმცა ვეჭვობთ, მსგავს ხერხებზე თავადაც არ ამბობენ უარს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეროვნული სამხედრო სტრატეგია: კითხვები და პასუხები

თავდაცვის სამინისტრომ ბოლო წლებში რამდენიმე კონცეფციური დოკუმენტი შეიმუშავა. 1997 წელს დამტკიცდა საქართველოს სამხედრო დოქტრინა, რომელსაც რუსეთის ანალოგიურ დოკუმენტთან ბევრი საერთო ჰქონდა. 2002 წელს „თეთრი წიგნი" გამოჩნდა და 2005 წლის ბოლოს კი ვიხილეთ საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია.

საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგიის შესავალში აღნიშნულია, რომ ის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას ეფუძნება და მნიშვნელოვნად სრულყოფს ეროვნული თავდაცვის პოლიტიკას 2010 წლამდე. განსაზღვრავს საქართველოს შეიარაღებული ძალების საქმიანობასა და გეგმებს მოკლევადიან და საშუალოვადიან პერსპექტივაში. ეროვნული სამხედრო სტრატეგიის დოკუმენტი აყალიბებს ეფექტიანი უსაფრთხოების სისტემის განვითარებისა და შეიარაღებული ძალების მშენებლობის საფუძველს.

რუსეთის ფედერაცია დოკუმენტს უკვე გამოეხმაურა. მოსკოვს არ მოეწონა, რომ ერთ-ერთ საფრთხედ საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზები და სამშვიდობო ძალები მოიაზრება.

სავსებით ნათელია, რომ ეროვნული სამხედრო სტრატეგია საგანგებოდ NATO-თვის დაწერილი დოკუმენტია. თითქმის ყველა თავში, სხვადასხვა კონტექსტით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი 30-ჯერ მოიხსენიება, მაშინ, როცა ამ ურთიერთობათა ერთ თავად ჩამოყალიბება ბევრად აჯობებდა.

დოკუმენტის არსებით ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მასში არ არის ნაჩვენები გენშტაბისა და ლოგისტიკის როლი, მნიშვნელობა, ამოცანები და ფუნქციები. სამაგიეროდ მთელი დატვირთვა თავდაცვის სამინისტროზეა გადატანილი, მათ შორის ისეთ საკითხში, როგორიც ქვედანაყოფების საბრძოლო მზადყოფნაა. თუმცა სამინისტროსთვის პრიორიტეტული არმიის აღმშენებლობის პროცესისთვის პოლიტიკური მიმართულებების განსაზღვრა და შენაერთების (და არა ქვედანაყოფების) საბრძოლო მზადყოფნა უნდა იყოს.

თავდაცვის სამინისტროს წარმოჩენის სურვილი იმდენად დიდია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ის სახელმწიფო ფუნქციებსაც კი ითავსებს.

II თავის ქვეთავში „NATO-სთან ინტეგრაცია და საერთაშორისო თანამშრომლობა", ასეთ მოსაზრებას ვხვდებით: „ჩვენ აქტიურად ვართ ჩართულნი პარტნიორი ქვეყნების კოალიციური ძალების მოქმედებებში და მოკლე ვადაში ვგეგმავთ NATO-ში გაწევრებას".

მხოლოდ თავდაცვის სამინისტრო ვერ დაგეგმავს NATO-ში მიღების ვადებს და ამგვარ ოპტიმიზმზე აგებული სამხედრო სტრატეგია ქვეყნის თავდაცვისათვის არ კმარა. ჯერჯერობით, საქართველო ჩრდილოატლანტიკური კავშირის წევრი არ არის და NATO-სთან კოორდინირებულ თანამშრომლობაზე გათვლილი თავდაცვა შესაძლოა არასაიმედოც კი აღმოჩნდეს.

IV თავის ქვეთავში, სახელწოდებით „საფრთხეები", რატომღაც გვერდი ავლილი აქვს და არ განიხილება ისეთი საფრთხეები, რომლებიც საქართველოს ახლო წარსულში არა ერთხელ შეექმნა. მაგალითად, მეზობელი ქვეყნების მხრიდან საქართველოს საჰაერო სივრცისა და ტერიტორიული წყლების დარღვევა სადაზვერვო ან სხვა მიზნებით;

საქართველოს სახელმწიფო საზღვრების სიახლოვეს მიმდინარე საომარი მოქმედებებისა და მისგან გამოწვეული საფრთხისაგან საქართველოს მოქალაქეთა დაცვა;

საქართველოს ტერიტორიის გამოყენება სხვა ქვეყნების მიმართ მტრული აქტების ჩასადენად;

არაფერია ნათქვამი საქართველოს წყალქვეშა საზღვრების უსაფრთხოებაზე, რომლის დაცვაზე, ჯერჯერობით, არც ერთი უწყება პასუხს არ აგებს.

სამაგიეროდ ამავე ქვეთავში ორიგინალური მოსაზრებაა წარმოდგენილი: „თვალყური უნდა ედევნოს ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიზაციის პროცესს და მის გავლენას საქართველოზე".

უცნაური და გაუგებარია, რისთვის სჭირდება თავდაცვის სამინისტროს საუდის არაბეთში, სირიაში, თურქეთში ან ახლო აღმოსავლეთის სხვა რომელიმე ქვეყანაში დემოკრატიზაციის პროცესებისათვის თვალყურის მიდევნება, ან რა მოვუხერხოთ სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე არადემოკრატიულ პროცესებს?

ამერიკის შეერთებული შტატებისადმი გამორჩეული პატივისცემის აღსანიშნავად VI თავის ქვეთავში „ერთიანი ოპერაციების წარმართვა" ორჯერ მეორდება მოსაზრება: „NATO-სთან და განსაკუთრებით, აშშ-ის შეიარაღებულ ძალებთან თავსებადობის მისაღწევად".

ამავე თავის ქვეთავში „NATO-სთან თავსებადობა/საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობა" ლაპარაკია ინგლისური ენის პრიორიტეტულობაზე. ისეთ აქსიომას, როგორიც უცხო ენების ცოდნაა, უხერხულია საქართველოს ეროვნული სტრატეგია გამორჩეულად აღნიშნავდეს.

არასერიოზულია იმავე VI თავის ქვეთავში „სადაზვერვო და ინფორმაციული შესაძლებლობები" გამოთქმული აზრი: „ამასთანავე არსებობს ალბათობა იმისა, რომ ჩვენი მოწინააღმდეგეები გამოიყენებენ არა მხოლოდ ჩვეულებრივ, არამედ მასობრივი განადგურების იარაღსაც. შესაძლებელია მათ გამოიყენონ იარაღი, რომლის დამზადება ადვილად შესაძლებელია როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო სფეროში გამოყენებადი კომპონენტებისაგან და იოლად მოსაპოვებელია".

ეს მოსაზრება ეწინააღმდეგება ამავე თავის დასაწყისს, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს ახლო მომავალში არ ემუქრება ფართომასშტაბიანი ომის საფრთხე.

თუ საქართველოს წინააღმდეგ მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების რეალური საფრთხე არსებობს, მაშინ ალბათ დასაზუსტებელია, საიდან უნდა ველოდოთ მას.

თუ საფრთხე ჩრდილოეთიდან მოგველის, გაუგებარია, რუსეთის ფედერაციას ისე როგორ გაუჭირდება, რომ საქართველო მაინცდამაინც ატომური ბომბებითა და სხვა მასობრივი განადგურების საშუალებებით გადაწვას. თუ ეს სეპარატისტული ძალებია, რომლებიც კავკასიის მთებში მასობრივი განადგურების საშუალებებზე საიდუმლოდ მუშაობენ, მაშინ შესაბამისი ორგანოები რატომ დუმან?

სამხედრო სტრატეგიის კიდევ ერთი მცდარი შეხედულება სპეცდანიშნულების ტიპის ქვედანაყოფებზე განსაკუთრებული

აქცენტის გაკეთება და მათი განვითარების საქართველოს თავდაცვის პოლიტიკის პრიორიტეტად წარმოდგენაა. მაშინ რაღა საჭიროა მძიმე ჯავშანტექნიკისა და ტანკების საყიდლად მილიონების ხარჯვა?

დღეს სპეცოპერაციები და სპეცქვედანაყოფები ტელერეპორტაჟების საყვარელი თემაა და ამ ტერმინებმა თავიანთი დანიშნულება დაკარგა. ისტორიას სპეცოპერაციებითა და „სპეცნაზებით“ მოგებული ომი არ ახსოვს. ომებსა და კონფლიქტებს რეგულარული საჯარისო ფორმირებები იგებენ.

დოკუმენტში სხვაც ბევრი რამ არის საკამათო და არასწორი. თუნდაც საჰაერო ძალებისათვის თანამედროვე სარაკეტო საფრთხისა და თვითმფრინავების თავდასხმისაგან დაცვის დავალება. არარეალურია, როცა მოიერიშე თვითმფრინავებით აღჭურვილ ავიაციას ისეთ ამოცანას უყენებენ, რომელიც საქართველოზე ბევრად ძლიერი ქვეყნებისთვისაც კი ძნელად გადასაჭრელია.

სამხედრო პოლიციას, რომელიც წესით შეიარაღებულ ძალებში სამხედრო წესდებებსა და სამხედრო კანონებს უნდა იცავდეს, რატომღაც სამშვიდობო და ანტიტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეობა ევალება და ა.შ..

გაუგებარია ტერმინი „საქართველოს შეიარაღებული ძალები“. თუ ის თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ქვედანაყოფებთან ერთად სხვა ძალოვანი უწყებების ფორმირებებსაც გულისხმობს, მაშინ გაურკვეველია ამ უკანასკნელთა როლი და ფუნქციები.

ტექსტში ხშირად შეხვდებით ისეთ ტერმინებსაც, რომელთაც სხვადასხვანაირი აზრობრივი დატვირთვა შეიძლება მიეცეს. მაგალითად: „საფრთხე“, „საერთაშორისო წესრიგი“, „კრიტიკული ინფრასტრუქტურა“, „რისკი“, „გამოწვევა“, „გაერთიანებული შტაბები“ და სხვ. ალბათ, აჯობებდა, დოკუმენტს დანართი ჰქონოდა, შესაბამისი განმარტებებითურთ.

შესამჩნევია მაღალფარდოვანი ფრაზების სიჭარბე, სადაც სიტყვა „უნდა“ ხშირად არის ნახსენები: „უნდა შეესაბამებოდეს“, „უნდა იყოს დაცული“, „უნდა შენარჩუნდეს“, „უნდა მოიპოვოს უპირატესობა“, „უნდა გაითავისოს“ და ა.შ..

„უნდაზე“ აგებული ქვეყნის სამხედრო სტრატეგია არასაიმედოა, ძალიან ჰგავს კომუნისტური ეპოქის მოწოდებებს და ვერც სასურველ შედეგს მოიტანს.

ერთი სიტყვით, დოკუმენტს საფუძვლიანი გადამუშავება სჭირდება, რათა ქვეყნის რეალურ შესაძლებლობებს შეესაბამებოდეს.

**თემურ ჩახანიძე**

# ეკლესიური განმარტებანი ზოგიერთ სამხედრო საკითხზე

„საჯენ, უფალო, მავნებელნი ჩემნი და ჰბრძოდე მბრძოლთა მათ ჩემთა. აღიღე ჭური და ფარი და აღდეგ მწედ ჩემდა. განჰფინე მახვილი შენი და შეკრიბე წინა კერძო მდევართა ჩემთაისა, არქუ სულსა ჩემსა, მხსნელი შენივარი მე...“

*ფსალმუნნი. კანონი მეხუთე. 34. დავითის ფსალმუნი*

რელიგია შეწყნარებას, თავმდაბლობას, სიმშვიდეს ქადაგებს, ამიტომ ეკლესიური ცხოვრება თავისი ხასიათით აწონასწორებს პოლიტიკასა თუ სხვა საერო სფეროებს. თუმცა არსებობს ისეთი საკითხები, რომელთა შესახებ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი აზრი არსებობს. ზოგიერთი ასეთი საორჭოფო საკითხის განსამარტავად და სამხედრო-ეკლესიურ თემებზე სასაუბროდ ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესიის წინამძღვარს, დეკანოზ მამა ვახტანგს (ასათიანი) მივმართეთ:

— **გვესაუბრეთ ჯარისკაცის დანიშნულებასა და მოვალეობაზე უფლის, სამშობლოსა და ოჯახის წინაშე.**

— სახელმწიფო იქმნება იმისთვის, რომ დაიცვას აბორიგენი და მასთან ერთად მცხოვრები სხვა ხალხები. იგი უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ერთიანი ოჯახი, რომლის თითოეული წევრის დაცვა აუცილებელია, სამხედროები კი არიან ცოცხალი კედელი სახელმწიფოსი.

პიროვნების უდიდესი მოქალაქეობრივი ღირსებაა, პირნათლად აღასრულოს თავისი პატრიოტული ვალი, ამ მოვალეობის მოტივირება ყველა ადამიანში უნდა იყოს, განურჩევლად ეროვნებისა, რასისა, სქესისა და ა.შ.

სამხედრო არის ნეიტრალური პირი, ის არ შეიძლება მიემხროს რომელიმე პოლიტიკურ მიმდინარეობას. „აწ რად მოხდეს ზღუდენი და მოყურძნიან ყოველნი წარმავალნი გზისანი, გარყვნა იგი ეშმამან მაღნარისამან და დათვმან მძვინვარემან მოძოვა იგი...“ (დავითნი, ფსალმუნი). სწორედ ამიტომ გვიცავენ სამხედროები, რათა ეს არ მოხდეს.

— **მიეტევება თუ არა ჯარისკაცს მოწინააღმდეგის ფიზიკური განადგურება?**

— ომი სამხედრო სფეროს თეოლოგიაა. თავდაცვის მიზნით ბრძოლაში მონაწილეობა უდიდესი ღირსება და გმირობაა. როცა მტერი გასანადგურებლად მოდის და მისი ხელყოფა ამ დროს ხდება, — ეს ცოდვად არ ითვლება, თუმცა მოძღვართან აღსარება და სინანული აუცილებელია. მოწინააღმდეგის ფიზიკური განადგურება ცოდვად იმ შემთხვევაში ითვლება, როცა იგი დანებებული ან უიარაღოა და მაინც გაანადგურებ, — ეს საქციელი უკვე კაცთმოძულეობიდან გამომდინარეობს. ომი ბოროტებაა!..

— **ეპატიება თუ არა ჯარისკაცს უცხო ქვეყნის სამხედრო სამსახურში ყოფნა, ამ ქვეყნის ინტერესებისთვის ბრძოლაში მონაწილეობა მატერიალური დაინტერესების გამო?**

— როცა ეს მატერიალური დაინტერესების გამო ხდება, რა თქმა უნდა, ცოდვაა. ამ ფაქტს არანაირი მოტივირება არ გააჩნია. ერთადერთი მოტივირება სამშობლოსთვის ბრძოლაა!

— **უნდა იყვნენ თუ არა სამხედრო სამსახურში მანდილოსნები?**

— ისტორიამ ამის არაერთი მაგალითი იცის. მაია წყნეთელი, თინა წავკისელი, თამარ ვაშლოვანელი და სხვა...

— **რა რჩევას მისცემთ და რას უსურვებთ საქართველოს სამსახურში მყოფ ჯარისკაცებს?**

— ვუსურვებ დიდ შემართებას, ჭეშმარიტი ქრისტიანული მართლმადიდებლობის ერთგულად მსახურებას, სამშობლოს დიდ სიყვარულს, მისთვის შრომას, გარჯასა და თუ საჭირო იქნება, თავდადებას! რაც ყველაზე მთავარია — ემსახურონ ჭეშმარიტებასა და თავისუფლებას.

— **რას უსურვებთ ჟურნალ „არსენალს“ და მის მკითხველს?**

— თქვენს ჟურნალს ხანგრძლივ არსებობას ვუსურვებ, სულიერად და ფიზიკურად შეიარაღებას, ისეთი არსენალის შექმნას, რომელსაც ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა ექნება. გისურვებთ, ემსახუროთ ადამიანების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას, პირუთვნელად და სამართლიანად დაგეფასებინოთ თითოეული ადამიანის მხედრული სულისკვეთება, რათა ღირსეული არ იყოს დავიწყებული. ემსახურეთ სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს, ღვთის კურთხევით დაცულნი და ბედნიერნი იყავით. ღმერთმა დაგლოცოთ!

**ესაუბრა მაკა შუკაკიძე**



# კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება იბრძვის...

თვალებანთებული, საშუალო სიმაღლის, ზომაზე მეტად ტანსრული კაცი საზოგადოების სხვადასხვა ფენის სიმპათიასა და ანტიპათიას ერთდროულად იწვევს. ამის მიზეზი მისი სამხედრო და პოლიტიკური პოზიციებია.

„არიკ ბულდოზერი“ (ასე ეძახიან შარონს თანაპარტიელები)ყველა იმ ომის მონაწილეა, რომელიც ისრაელის სახელმწიფოს თავისი არსებობის 50 წლის განმავლობაში უწარმოებია. თავის დროზე ყველაზე ახალგაზრდა პოლკოვნიკი იყო ისრაელის არმიაში, გაიარა გზა ეფრეიტორობიდან გენერლობამდე. იყო სოფლის მეურნეობის, თავდაცვის, მრეწველობის, მშენებლობის, ინფრასტრუქტურის და საგარეო საქმეთა მინისტრი.



ებრაელთა უმრავლესობა მას ეროვნულ გმირად და ისრაელის სიმბოლოდ მიიჩნევს.

არიელ შარონი 1928 წელს დაიბადა ცენტრალური ევროპიდან ამოსულ ებრაელთა ოჯახში. მისი მშობლები თელ-ავივიდან ჩრდილოეთით მდებარე ფერმაში ცხოვრობდნენ და შვილს სოციალისტური სულისკვეთებით ზრდიდნენ. მოგვიანებით მან ებრაული სახელი „შარონი“ დაირქვა და ლეიბორისტული პარტიის, სადაც სიონისტური იდეები დომინირებდა, წევრი გახდა.

14 წლისა იყო, როცა პალესტინის ებრაული დასახლებების იატაკქვეშა სამხედრო ორგანიზაციაში ჩაირიცხა. 1947 წელს ინგლისელებმა საპოლიციო სამსახურში გაიწვიეს, სადაც ისრაელის სახელმწიფოს დაარსების გამოცხადებამდე მსახურობდა.

1948 წელს, როცა არაბეთ-ისრაელის პირველი ომი დაიწყო (ისრაელში ამ ომს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას უწოდებენ), შარონმა აგრონომიულ ფაკულტეტზე სწავლა მიატოვა და მოხალისედ წავიდა ომში. მართალია, ორჯერ მძიმედ დაიჭრა, მაგრამ მოქმედ არმიას მაინც დაუბრუნდა. 22 წლის იყო, სადაზვერვო ქვედანაყოფის მეთაურად რომ დაინიშნა. ამ პოსტზე ცოტა ხანს დაჰყო, რადგან ებრაულ უნივერსიტეტში ისტორიისა და ახლო აღმოსავლეთის პრობლემების შესასწავლად მიავლინეს.

სწავლის დასრულების შემდეგ, 1953 წელს, შარონს საგანგებო ქვედანაყოფის, „101“-ის ფორმირება დაევალა. ეს უკანასკნელი ისრაელის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ელიტური ნაწილის, „საერეტ მატკალის“, პალესტინელი ტერორისტების მოქმედებების საპასუხოდ რომ შეიქმნა, წინამორბედი იყო. მართალია, შარონის ქვედანაყოფის „სიცოცხლე“ ხანმოკლე გამოდგა, მაგრამ არაბებს თავი სამუდამოდ დაამახსოვრა, — 45-კაციანი რაზმი შიშის ზარს სცემდა პალესტინის არაბულ მოსახლეობას. როგორც მოგვიანებით შარონი იხსენებდა, „იმ ხუთმა თვემ გადამწყვეტი გავლენა იქონია ისრაელის სახელმწიფოს ტერორისტებთან ბრძოლის სტრატეგიის ჩამოყალიბებაში. ჩვენი ჯგუფები სა-



პასუხო დარტყმის განსახორციელებლად ყოველთვის მზად იყვნენ. მე ისინი არაბთა ტერიტორიებზე სადამსჯელო რეიდების ჩასატარებლად მიმყავდა“. ქვედანაყოფის სასტიკი და დაუნდობელი ჯარისკაცები მეთაურს აღმერთებდნენ. იმ პერიოდში შარონმა არაბებთან ბრძოლის თავისებურებების შესახებ ბევრი რამ გაიგო და ისწავლა, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. მისმა შეხედულებებმა პრაქტიკული ასახვა ჰპოვა 1956 წლის სინას მთის კამპანიის შემდეგ ჩატარებულ შურისსაძიებელ აქციებში. ზოგიერთს შარონი პირადად ხელმძღვანელობდა. იმავდროულად საპარაშუტო ნაწილებსაც მეთაურობდა. ქვედანაყოფის ისტორიაში 1953 წლის 14 ოქტომბრის ღამით ყველაზე უფერული ფურცელი ჩაიწერა, როცა ებრაელი ქალისა და მისი ორი მცირეწლოვანი შვილის მკვლელობის საპასუხოდ შარონის მებრძოლები იორდანულ სოფელ კიბიას დაესხნენ თავს. ასაფეთქებელი მასალა საკმარისად ჰქონდათ და ზურგს რეგულარული ჯარის ნაწილებიც უმაგრებდნენ. დამსჯელებმა 50 სახლი ააფეთქეს, სოფლის 1500 მცხოვრებიდან უმეტესობამ გაქცევით უშველა თავს. ნანგრევებში 69 კაცი მოყვა. მათ შორის იყვნენ მოხუცები, ქალები და ბავშვები. ამ ინციდენტიდან, რომელმაც ძლიერი საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია, რამდენიმე წლის შემდეგ, შარონი როგორც შემთხვევით, არასასურველ მოვლენაზე ლაპარაკობდა და მას მომავალი გენერლის კარიერაზე არ უმოქმედია.

სინას კამპანიის დროს შარონი საპარაშუტო ბრიგადას მეთაურობდა. საომარი

მოქმედებების დამთავრებისთანავე, ინგლისში, საშტაბო-სამეთაურო კოლეჯში სასწავლებლად გაგზავნეს. ბრიტანეთში სწავლაგასრულებული შარონი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ერთხანს სამხედრო მომზადების ხელმძღვანელობის მუშაობაში მონაწილეობდა, შემდეგ ჯავშანსატანკო ნაწილებში გადავიდა, სადაც 1962 წელს ბრიგადის მეთაურად გაამწესეს. ორი წლის შემდეგ შარონი გენერალური შტაბის სამხედრო მომზადების უფროსად დანიშნეს. ცოტა ხანში ხელახლა იღებს სასწავლო შვებულებას, — ამჯერად თელ-ავივის უნივერსიტეტში იურისპრუდენციას ეუფლება.

„ექვსდღიანი ომის" დროს, რომელიც 1967 წლის 5 ივნისს დაიწყო, შარონი იმ ჯავშანსატანკო შენაერთებს მეთაურობდა, რომლებმაც ეგვიპტის ჯარების თავდაცვითი პოზიციები გაარღვიეს, მაგრამ ერთი წლის შემდეგ რომ შეატყო, სამსახურებრივ საფეხურებზე მისი წინსვლა დამუხრუჭდა, სერიოზულად დაიწყო ფიქრი თადარიგში გასვლაზე.

1969 წელს, ქნესეთის (ისრაელის პარლამენტი) არჩევნების წინ, პოლიტიკაში ჩართვა გადაწყვიტა, ლიბერალებმა მისი კანდიდატურის წამოყენება მოისურვეს, მაგრამ შარონი თადარიგში არ გასულა. 1969 წელს სამხრეთის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად დანიშნეს. იმ პერიოდში ეს თანამდებობა ყველაზე მნიშვნელოვანი და პასუხსაგები იყო.

აგრესიული თავდაცვის კონცეფციის მომხრე შარონი სუეცის არხის გაყოლებით პოზიციური თავდაცვის წინააღმდეგი იყო. პოზიციური თავდაცვის საფუძველს ე. წ. „ბარლევის ხაზის" გამაგრება წარმოადგენდა. როგორც ტანკისტების უმრავლესობა, შარონი უპირატესობას ტანკების საშუალებით მოძრავ თავდაცვას ანიჭებდა და ამავე დროს დაჟინებით მოითხოვდა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე იერიშების მიტანას. 1970-72 წლებში იგი არხის მეორე მხარეზე რამდენიმე ასეთ ოპერაციას ხელმძღვანელობდა ეგვიპტელთა წინააღმდეგ.

მალე იგი საპარაშუტო-სადესანტო ჯარების სარდლად დანიშნეს, რის შემდეგაც გენერალური შტაბის უფროსობის შანსი გაუჩნდა. თავის პარაშუტისტებს „არატრადიციულ ანტიტერორისტულ ძალებს" უწოდებდა და ზუსტად მათი მეშვეობით სცადა 1971 წელს ღაზას სექტორში ტერორიზმის ბუდის ლიკვიდაცია. ებრაელები არაბულ ტანსაცმელს გადაიცვამდნენ, პალესტინის იატაკქვეშეთში შეაღწევდნენ და თავს არაბთა წინააღმდეგობის წევრებად ასაღებდნენ. თავად შარონის გამოანგარიშებით, 7 თვის განმავლობაში მისმა მებრძოლებმა მოკლეს 104 და დააპატიმრეს 172 პალესტინელი ტერორისტი. ამ დროს შარონის ხალხი უმკაცრესი მეთოდებით მოქმედებდა, — კოლექტიური დასჯა, გასახლება, ეკონომიკური ზეწოლა — ყოველივე ამას დამატებული შარონის ბულდოგისებური შეუპოვრობა, სასურველ შედეგს აღწევდა, მაგრამ მან მაინც ვერ შეძლო (ვფიქრობთ, საბედნიეროდ) უმაღლესი სამხედრო პოსტის, გენერალური შტაბის უფროსობის ხელში ჩაგდება. ბევრი მეგობარი ჰყავდა, მაგრამ მტრების რიცხვი საგრძნობლად ჭარბობდა. ბედის ირონიით, შარონი 1973 წელს, ომის დაწყებამდე ერთი თვით ადრე გავიდა თადარიგში, თუმცა სამხედრო სამსახურს საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე დაუბრუნდა. შარონმა დიდი დახმარება გაუწია ისრაელის არმიას ომის დასაწყისში განცდილი მარცხის „მონელებაში" და სინას ნახევარკუნძულის სიღრმეში საკმაო მანძილზე შეიჭრა, სადაც მას ომის დამთავრებამ მოუსწრო. ომის შემდეგ შარონმა მტკიცედ გადაწყვიტა თავისი საომარი მიღწევების პოლიტიკურ კაპიტალად გადაქცევა. ლეიბორისტულ პარტიაში ამ დროისთვის საკმაოდ ბევრი გენერალი იყო და მან ისეთი პარტიის ძებნა დაიწყო, სადაც პირველ კაცად იგრძნობდა თავს, და ლიბერალური პარტიის წევრი გახდა. მიუხედავად სახელწოდებისა, ეს პარტია მემარჯვენეობით გამოირჩეოდა. უზღვავი ენერგიის წყალობით შარონმა მოკლე დროში შეძლო დაფანტული ოპოზიციური პარტიების ერთ ჭერქვეშ გაერთიანება და მას „ლიკუდი" უწოდა, ივრითზე ეს სიტყვა „ერთობას" ნიშნავს. გავიდა სულ რაღაც ოთხი წელი და შარონის შექმნილი ბლოკი ხელისუფლების სათავეში მოვიდა.



ლეიტენანტი შარონი

1977 წელს, არჩევნებში „ლიკუდის" გამარჯვების შემდეგ, შარონმა სახელმწიფო ბიუროკრატიაში პოლიტიკური ბატალიების ტაქტიკას დაუთმო ყურადღება. სამხედრო გამოცდილების მქონე ლიდერმა კარგად იცოდა, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო სადაზვერვო უწყებებზე კონტროლის დაწესება. დაზვერვა ინფორმაციას იძლევა, ეს კი ძალაუფლებას ნიშნავს. თადარიგის გენერლის აზრით, დაზვერვის ორგანოები, თავისი საგარეო პოლიტიკით, სახელმწიფო იყო სახელმწიფოში და დიდ ზეგავლენას ახდენდა საშინაო საქმეებსა და თავდაცვით პოლიტიკაზე.

შარონმა პრემიერ-მინისტრ მენახემ ბეგინს შესთავაზა, შექმნათ ახალი სახელისუფლებო ორგანო — დაზვერვის სამინისტრო. თავის თავს შარონი, რა თქმა უნდა,





პოლკოვნიკი შარონი

მინისტრად მოიაზრებდა. ბეგინმა უარყო მისი წინადადება და სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშნა. ეტყობა, პრემიერ-მინისტრი კარგად არ იცნობდა შარონს. მან ეს ერთი შეხედვით ყველაზე მშვიდობიანი პოსტი აგრესიისთვის გამოიყენა — მალე მოიძია თანხები ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ებრაული დასახლებების მოსაწყობად. ამით ის მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს დაუპირისპირდა, რომლის მიხედვითაც აუცილებელი იყო არაბებისთვის დაპყრობილი მიწების დაბრუნება.

არჩევნებში „ლიკუდის" მეორე გამარჯვების შემდეგ, 1981 წელს, პრემიერ-მინისტრ ბეგინს მაინც მოუწია შარონის თავდაცვის მინისტრად დანიშვნამ. თუმცა მთელი წლის განმავლობაში კვლავ სოფლის მეურნეობის მინისტრის ფუნქციების შესრულებას აიძულებდა, თავდაცვის მინისტრის მოვალეობას კი თავად პრემიერ-მინისტრი ასრულებდა. ბეგინი მაშინ ამბობდა (ხუმრობით თუ სერიოზულად, გაურკვეველია), როგორც კი თავდაცვის მინისტრი შარონი გახდება, პრემიერ-მინისტრის რეზიდენციას ტანკების ალყაში მოაქცევსო.

„არიკ ბულდოზერისთვის" თავდაცვის მინისტრის პოსტი სანუკვარი ოცნება კი იყო, მაგრამ ამაზე შეჩერებას არ აპირებდა, — სადაზვერვო უწყებების ხელში ჩაგდებას იმედოვნებდა. მან დაარწმუნა ბეგინი, პრემიერის მრჩევლად ტერორიზმთან ბრძოლის საკითხში თავისი ძველი მეგობარი და თანამოაზრე რაფი ეიტანი დაენიშნა. იგი გამოცდილი მზვერავი იყო, რომლის დამსახურებათა ნუსხაში 1960 წელს ნაცისტი დამნაშავის, ადოლფ ეიხმანის გატაცების ოპერაცია ფიგურირებდა.

საკუთარ ძალებში დარწმუნებულმა ახალმა თავდაცვის მინისტრმა 1981 წლის საპროგრამო გამოსვლაში განაცხადა, რომ ისრაელის სახელმწიფოს თავდაცვითი ინტერესები უშუალოდ არაბეთ-ისრაელის კონფლიქტს სცილდება და მეზობელი არაბული სახელმწიფოების გარდა, პაკისტანს, ჩრდილოეთ აფრიკასა და უფრო შორეულ რეგიონებსაც კი მოიცავს.

„არიკ ბულდოზერის" თაყვანისმცემლები ამბობენ, რომ იგი პიტალო კლდისგანაა გამოთლილი. მტრები კი თავხედ, მკვეხარა, მატყუარა, უპასუხისმგებლო ადამიანად თვლიან, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ არც ერთს და არც მეორეს მის სამხედრო ნიჭიერებაში ეჭვი არასოდეს შეუპარვიათ. საბრძოლო ოპერაციებს, რომლებსაც იგი ხელმძღვანელობდა, სამხედრო აკადემიებში ასწავლიან. „ნებისმიერი ბრძანების შეფასების სამი კრიტერიუმი მაქვს, — აცხადებს იგი, — პირველი და უმთავრესი — ჩემი ქვეყნის კეთილდღეობაა, მეორე — ჩემი ვალი ჯარისკაცების წინაშე და დასასრულ, მესამე — უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანების შესრულება. მე, უპირველეს ყოვლისა, ებრაელი ვარ, ამიტომ რასაც ვაკეთებდი და ვაკეთებ ებრაული სახელმწიფოსა და მისი ხალხის საკეთილდღეოდ, შეუძლებელია ჩემთვის მძიმე იყოს. მე მიყვარს ეს მიწა, ჩემი სახლი, ჩემი ოჯახი, ცოლი. მიყვარს ეს ყვავილები, ეს ხეები, ცხოველები, ჩიტები. ძალ-ღონეს მათი სიყვარულით ვიკრებ, ამიტომ მტერი ვერასოდეს დამამარცხებს"...

**P.S.** არცთუ დიდი ხნის წინ არიელ შარონი ინსულტის მძიმე ფორმით საავადმყოფოში გადაიყვანეს. როცა ამ პუბლიკაციას წაიკითხავთ, გამორიცხული არ არის, „არიკ ბულდოზერი" ცოცხალი აღარ იყოს. სამწუხაროდ, მწარე რეალობას ვერსად გავექცევით... ან იქნებ გამოჯობინდეს კიდეც. ასეა თუ ისე, ჩვენ მასზე როგორც ცოცხალზე, ისე ვწერთ...

# „სასიყვარულო სპეცოპერაცია"



МиГ-21

ბევრი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით ისრაელი თავისი სპეცსამსახურების წარმატებულ საქმიანობას ფართოდ აშუქებს და არც შეცდომების გამომზეურებას ერიდება. სწორედ ამიტომ ითვლება ისრაელის სპეცსამსახურები მსოფლიოში უძლიერეს უწყებად. მართალია მაღალი რეიტინგის საფუძველი, ძირითადად, პიარია, თუმცა ესეც იმ სპეცმოქმედებების ერთ-ერთი სახეა, რომლითაც უნდა მოქმედებდეს ქვეყნის უსაფრთხოებით დაკავებული ორგანო. ჩვენ არაერთხელ გვიამბია თქვენთვის ისრაელელთა წარმატებებზე, ახლაც მათ ერთ-ერთ ოპერაციას შევეხებით:

საბჭოთა ავიამშენებლობის ზესაიდუმლო ქმნილებამ, რომელიც ორმოცდაათიანი წლების ბოლოსთვის МиГ-21-ის სახელწოდებით გამოჩნდა, დასავლელი სამხედრო სპეციალისტების დიდი დაინტერესება გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ზებგერითი გამანადგურებლის საომარ მონაცემებზე დაზვერვისგან მხოლოდ ზერელე წარმოდგენის შემქმნელი დოკუმენტები მოდიოდა, რომლებიც „მიგ"-ის სასწავლო-გაფრენებისა და მცირერიცხოვანი საბრძოლო შეტაკებების შორიდან თვალთვალის შედეგად იყო მიღებული, სპეციალისტებმა ამ საომარ მანქანას იმ დროისთვის საუკეთესო შეფასება მისცეს, ხოლო როცა „მიგ"-ების სოლიდური პარტია საბჭოთა მშვიდობისმყოფელებმა არაბულ ქვეყნებს მიჰყიდეს და მფრინავების შემადგენლობების დაკომპლექტება რუსეთში გაწვრთნილი პილოტებით დაიწყეს, ამ ფაქტს არ შეიძლებოდა, ისრაელის ხელისუფლების შეშფოთება არ გამოეწვია. ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი, გენერალი ეზერ ვაიცმანი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ახალი საფრენი მანქანის ხელში ჩაგდება და მისი ძირფესვიანი გამოკვლევა-შესწავლა მომავალი საომარი მოქმედებების მთავარი გასაღები იყო.

განიხილავდნენ თვითმფრინავის ხელ-

ში ჩაგდების რამდენიმე ვარიანტს: თვითმფრინავის ჰაერში დაჭერა და მისი ისრაელში იძულებით დასმა; ერთ-ერთი არაბული ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალებში აგენტის ჩანერგვა; არაბი მფრინავის მოსყიდვა.

მიუხედავად იმისა, რომ არაბი ოფიცერი მფრინავი ყველაზე პრივილეგირებული იყო სამხედროთა შორის და მისი მოსყიდვის ალბათობაც ნაკლებად არსებობდა, არჩევანი მაინც მესამე ვარიანტზე შეჩერდა. მზვერავ ჯონ ლეონ ტომასის ჯგუფი, რომელიც წარმატებით მუშაობდა ეგვიპტესა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, არაბი პილოტების ხაფანგში მომწყვდევის ან გადმობირების გეგმის ალსრულებას შეუდგა. პირველი, რომელიც მათ თვალთახედვის არეში მოექცა, იყო ახალგაზრდა ეგვიპტელი ქრისტიანი (ეროვნებით კოპტი) ხუან კარლოსი. პილოტს „მიგ"-ის ისრაელის ან კვიპროსის აეროდრომზე დაჯდომის საფასურად მილიონი დოლარი შესთავაზეს, მაგრამ ახალგაზრდა ოფიცერმა მილიონ დოლარს ფიცის ერთგულება და მეომრული ღირსების შენარჩუნება ამჯობინა და ყველაფერი თავისი ქვეყნის კონტრდაზვერვას გაუმხილა.

წარუმატებლობამ ისრაელის დაზვერვის ხელმძღვანელობა აიძულა, ხელმეორედ გადაესინჯათ გადასაბირებელ კანდიდატთა პიროვნული თვისებები და დაწვრილებითი ანალიზის შედეგად შესაბამისი დასკვნები გამოეტანათ.

„ამანსა" და „მოსადს" ეგვიპტის, იორდანიის, სირიისა და ერაყის სამხედრო-საჰაერო ძალების შესახებ ზღვა მასალა ჰქონდათ დაგროვილი. დაზვერვა აფიქსირებდა და აანალიზებდა უმცირეს დეტალებსაც კი, რაც ამ ქვეყნების სამხედრო მფრინავთა ცხოვრებაში ხდებოდა. ყველა მონაცემი ახალი თაობის კომპიუტერებით მუშავდებოდა. ინფორმაცია იმდენად ზუსტი და დაწვრილებითი იყო, ამ საკითხზე მომუშავე აგენტებს ისეთი შეგრძნება გაუჩნდათ, რომ თითქოს პირადად იცნობდნენ მოწინააღმდეგის სამხედრო მფრინავთა უმრავლესობას.

გადმობირების მორიგი ცდა არ ჩაფლავებულა, მაგრამ როცა 1964 წელს ეგვიპტელმა პილოტმა, კაპიტანმა აბა ხილმიმ ისრაელის საჰაერო საზღვარი გადაკვეთა და ებრაელთა ტერიტორიაზე თვითმფრინავი ჩვეული ოსტატობით დასვა, აღმოჩნდა, რომ იგი არა „მიგ"-ს, არამედ საბჭოთა წარმოების, მაგრამ ნაკლებად საინტერესო სასწავლო-საწვრთნელ „იაკ"-ს მართავდა.

მიუხედავად ამისა, ხილმის ისრაელში თბილი დახვედრა მოუწყვეს. გარდა იმისა, რომ გადაბირებულმა პილოტმა „ამანსა" და „მოსადს" უამრავი ინფორმაცია მიაწოდა, ეს ინციდენტი პროპაგანდისტული მიზნებისთვისაც გამოიყენეს. პილოტმა სატელევიზიო გამოსვლების დროს საჯაროდ დაგმო იემენის საშინაო საქმეებში ეგვიპტის ჩარევის მცდელობა, რომლის დროსაც ეგვიპტე იემენის რადიკალური არაბული სოციალიზმის გავლენის სფეროებში სამხედრო ძალით ჩათრევასა და ამ მიზნით საომარი ქიმიურ-მომწამვლელი ნივთიერებების გამოყენებას ცდილობდა.

ხილმიმ ისრაელის ხელისუფლებისგან სოლიდური ფულადი ჰონორარი და საუკეთესო სამუშაო ადგილი მიიღო, მაგრამ იგი ამ ქვეყანაში ცხოვრებას ვერ შეეგუა და სამხრეთ ამერიკის რომელიმე ქვეყანაში დასახლების სურვილი გამოთქვა. გავიდა რამდენიმე თვე და ხილმიმ მიუტევებელი, ბრიყვული შეცდომა დაუშვა, რომელიც მისთვის საბედისწერო გამოდგა — მან ბუენოს-აირესიდან ეგვიპტეში დედას მოკითხვის ბარათი გაუგზავნა. პასუხმაც, რა თქმა უნდა, არ დააყოვნა. ერთ დღეს ყოფილმა პილოტმა ბარში შემთხვევით გაიცნო მომხიბვლელი ეგვიპტელი ქალი, რომელმაც მფრინავი შინ მიიწვია. ეს იყო უმარტივესი, ტიპური ხაფანგი. ხილმიმ ზღურბლზე გადაბიჯებაც ვერ მოასწრო, რომ იატაკზე ხელფეხშებოჭილი და პირაკრული აღმოჩნდა. შემდეგ იგი მანქანის საბარგულში ჩააგდეს და საელჩოში მიიყვანეს. მეორე დღეს კი დიპლომატიური საფოსტო გზავნილის სახით (რომლის გაჩხრეკა არ შეიძლება) იგი ეგვიპტეში გაგზავნეს. სამშობლოში ხილმი გაასამართლეს და ღალატისთვის ჩამოახრჩვეს.

ამ ამბიდან ერთი წლის შემდეგ ახალი კანდიდატი გამოჩნდა, ამჯერად ის გახლდათ ერაყის საჰაერო-სამხედრო ძალების ერთ-ერთი საუკეთესო მფრინავთაგანი მუნირ რადფა, რომელიც შეძლებული ქრისტიან-მარონიტების (რელიგიურ-ეთნიკური უმცირესობა ერაყში) ოჯახის ნაშიერი იყო. რაფდამ სწავლება საბჭოთა კავშირში, სპეციალურად „მიგ-21"-ზე გაიარა. მისი კანდიდატურა გადმოსაბირებელ ობიექტად ოჯახის ხანში შესულმა მსახურმა ჯოზეფ მანსურმა დააყენა, რომელიც ისრაელის საიდუმლო სამსახურების ძველი და გამოცდილი აგენტი იყო. ერაყის მასმედიის ანალიზმა, რადიო და სატელეფონო მოსმენებმა და აგენტურის მონაცემებმა დაადასტურა, რომ ობიექტი ქურთული სოფლების ქიმიური იარაღით დაბომბვებს გმობდა. გარდა ამისა, დაზვერვის თანამშრომლებმა მუნირის ფსიქოლოგიური პორტრეტის შესადგენად დეტალურად შეისწავლეს მისი მიდრეკილებები, სისუსტეები და ჩვევები. მალე ნათელი შეიქნა, რომ რომელიმე ცალკეული საშუალების გამოყენებით ძნელი იქნებოდა სასურველი შედეგის მიღწევა. გადაწყდა, რომ კომპლექსური მეთოდით ემოქმედათ. სპეციალურად ამ საქმისთვის მომზადებული აგენტთა ჯგუფი ევროპის გავლით ერაყში ჩავიდა. მათ მალე დაამყარეს კავშირი რადფისა და მის ოჯახთან. აგენტთა შორის ყველაზე დიდ წარმატებას „ამერიკელმა" ულამაზესმა ქალმა მიაღწია. მან მაღალი საზოგადოების ერთ-ერთ წვეულებაზე რადფის თავი მდიდარ ამერიკელ ტურისტად წარუდგინა. პირველივე შეხვედრისას ისე მოხიბლა ობიექტი, რომ იმავე საღამოს გააცილებინა თავი სასტუმროში და მომავალ შეხვედრაზეც შეუთანხმდა. მომდევნო დღეებში „ამერიკელი" ბანოვანი (მისი ვინაობა დღესაც გასაიდუმლოებულია) და რადფა მუდმივად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ქალბატონი მშვენიერი მოსაუბრე და საუკეთესო მსმენელი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ მფრინავს მეუღლე და ორი შვილიც ჰყავდა, ცდუნებას ვერ გაუძლო და ქალი შეუყვარდა. მით უმეტეს, რომ გულისწორი თავისი პოლიტიკური შეხედულებებითა და სულიერი მისწრაფებებით სავსებით შეეფერებოდა მუნირ რადფას.

რომანი ისრაელის დაზვერვის კარგად შედგენილი ტაქტიკური სქემის მიხედვით ვითარდებოდა. ქალბატონმა უარი განაცხადა რადფასთან ერაყში ინტიმური კავშირის დამყარებაზე და ამისთვის პარიზში გამგზავრება შესთავაზა. პარიზის ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროში ბედნიერად გატარებული ორი დღის შემდეგ ამერიკელმა ქალბატონმა ერაყელი მფრინავი „საინტერესო მეგობრების" გასაცნობად ისრაელში გამგზავრებაზე დაიყოლია.

ამ დროისთვის რადფა უკვე თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ამერიკელი ქალბატონი „მოსადის" მოგზავნილი აგენტი იყო, მაგრამ სიყვარულისგან თავგზააბნეულ პილოტს უარის თქმა აღარ შეეძლო. 24 საათის შემდეგ ყალბი პასპორტით, რომელიც პარიზულმა აგენტურამ გაუკეთა, რადფა და მისი სატრფო „ელ-ალის" სარეისო თვითმფრინავით თელ-ავივში გაფრინდნენ. ისრაელში რადფას ისე დახვდნენ, როგორც პატივსაცემ და წარჩინებულ სტუმარს ეკადრება. მხურვალე მისალმებების შემდეგ კი საავიაციო ბაზაზე წაიყვანეს. აქ იგი „ამანისა" და „მოსადის" უფროს ოფიცრებს შეახვედრეს, რომლებმაც აუხსნეს სიტუაცია, რომელშიც აღმოჩნდა და „მიგ-21"-ით ისრაელის ტერიტორიაზე გადმოფრენა შესთავაზეს. სამაგიეროდ მილიონ დოლარსა და ოჯახთან ერთად უსაფრთხოებას დაჰპირდნენ. შემდეგ იგი ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების ახალდანიშნულ სარდალს, მორდეხაი ხომომს შეახვედრეს, რომელიც მას უკვე კონკრეტულ გეგმაზე ესაუბრა.

„მე არ შემიძლია ესოდენ საპასუხისმგებლო საქმის გადაწყვეტა, თუკი ჩემი ოჯახის უსაფრთხოებაში არ ვიქნები დარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა




წმუნებული", — განუცხადა მას ერაყელმა მფრინავმა. იგი დაარწმუნეს, რომ სანამ ოჯახის უსაფრთხოების სრულ გარანტიას არ მიიღებდა, ოპერაციის დაწყებას არავინ მოსთხოვდა. ამის შემდეგ მფრინავმა თანამშრომლობაზე თანხმობა განაცხადა.

რადფას კიდევ ერთხელ შეახსენეს, რომ მას ზედმიწევნით სახიფათო მარშრუტის გავლა მოუწევდა. 900 კილომეტრის გადალახვისას, თუკი ერაყის საჰაერო თავდაცვა მფრინავის ჩანაფიქრს ამოიცნობდა, მის ჰაერში დაჭერას შეეცდებოდა, ან იორდანელებს სთხოვდნენ თვითმფრინავის ჩამოგდებას, ხოლო თუ ისრაელის სპეცსამსახურების შედგენილ გეგმას ზუსტად შეასრულებდა, ოპერაცია სასურველი შედეგით დამთავრდებოდა.

— გაითვალისწინეთ! — უთხრეს ბოლოს ერაყელ მფრინავს, — როგორც კი ერაყული სამხედრო-საჰაერო ძალების დასახულ მარშრუტს გადაუხვევთ, ჩათვალეთ, რომ უკან დასახევი გზა მოჭრილი გაქვთ.

— მე მოგიყვანთ თვითმფრინავს, — უპასუხა მათ მუნირ რადფამ.

რადფას ანგარიშზე შვეიცარიის ბანკში მილიონი დოლარი გადაირიცხა. რამდენიმე დღის შემდეგ ერაყელი მფრინავი თავის „ამერიკელ" სატრფოსთან ერთად ბაღდადში დაბრუნდა და ოპერაცია დაიწყო.

უპირველეს ყოვლისა, ერაყიდან გაიყვანეს მისი ოჯახის წევრები. ამ საქმეში „მოსადს" დახმარება გაუწია მოხუცმა ებრაელმა მსახურმა. რადფას უფროსი ვაჟი მოულოდნელად ავად გახდა და ისეთი სიმპტომები აღმოაჩნდა, რომ ექიმთა კონსილიუმმა დაჟინებით მოითხოვა მისი სამკურნალოდ ლონდონში გადაგზავნა. ავადმყოფს დედა აუცილებლად უნდა გაჰყოლოდა თან, უმცროს ბავშვსაც დედის გარეშე გაუჭირდებოდა. გადაწყდა, სამივე ერთად გამგზავრებულიყო ლონდონს. თვითმფრინავი თეირანიდან აფრინდა და ევროპაში ერთ-ერთი შუალედური დაშვებისას რადფას ოჯახმა მისი სალონი დატოვა. ისინი ისრაელში გადაიყვანეს და შეცვლილი გვარით საიმედო ადგილას დამალეს.

1966 წლის ერაყის სამხედრო-საჰაერო ძალების პილოტმა მუნირ რადფამ დაარღვია ინსტრუქციის მხოლოდ ერთი პუნქტი — მან საბჭოთა მრჩეველთა თანხმობის გარეშე გასცა ბრძანება თვითმფრინავის სათადარიგო, დაკიდებული ავზებიც საწვავით აევსოთ — შემდეგ იგი ჩვეულებრივ აფრინდა და დათქმულ დროს დათქმული წერტილიდან ლოკატორების თვალთახედვიდან გაქრა. პილოტმა მარშრუტი შეცვალა, გადაუფრინა იორდანიას და თავისი „მიგ"-ი ისრაელის სამხრეთ ნაწილში განლაგებულ საავიაციო ბაზის აეროდრომზე დასვა.

ეს იყო თანამედროვე ზესაიდუმლო საბჭოთა თვითმფრინავის გატაცების პირველი შემთხვევა. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებისა და NATO-ს წარმომადგენლები ამ მოვლენას დღესაც კი ისრაელის საიდუმლო სამსახურების მიერ ჩატარებულ ოპერაციათა შორის ყველაზე შედეგიანად მიიჩნევენ.

მართლაც, ეს ოპერაცია თავისი დახვეწილობითა და ოსტატური შესრულებით აგენტურული მუშაობის ქრესტომათიულ წიგნში შესატანი გამოდგა. უნაკლოდ მოქმედებდა „ამერიკელი" ქალბატონიც. ერთი სახასიათო ეპიზოდი: როცა წყვილი მეორედ დაბრუნდა პარიზში, მუნირ რადფამ უსაყვედურა ქალს, ჩემი წრფელი გრძნობები დავალების შესასრულებლად გამოიყენეო, რაზეც სიყვარულით გამსჭვალულმა ქალბატონმა უპასუხა, რომ „წრფელი გრძნობები აგენტებსაც შეიძლება ჰქონდეთ".

მუნირ რადფას ოპერაცია, რომელსაც კოდური სახელწოდება „ოპერაცია-007" უწოდეს, ზემონახსენები ოპერაციისგან განსხვავებით მშვიდობიანად დასრულდა. რადფას ოჯახმა გვარი გამოიცვალა, ხოლო ღალატისათვის ჯილდოდ მიღებულმა ფულმა მათ ისრაელში უზრუნველად ცხოვრების საშუალება შეუქმნა.

„ამერიკელმა" ქალბატონმაც მშვიდობიანად დატოვა ერაყი. ადრე საბჭოთა-ერაყულ და ახლა მხოლოდ მოსკოვურ სპეცსამსახურებს დღესაც ვერ გაუშიფრავთ მისი პიროვნება.

მუნირ რადფას მაგალითი გადამდები აღმოჩნდა. 1989 წლის 11 ოქტომბერს ისრაელის ჩრდილოეთით მდებარე მეგიდოს მცირე ზომის აეროდრომზე „МиГ-23" დაეშვა, რომელიც ისრაელის დაუძინებელი მტრის, სირიის სამხედრო-საჰაერო ძალებს ეკუთვნოდა.

სირიელმა მფრინავმა 34 წლის უცოლო მუჰამედ ბასამ ადელმა დიდი რისკი გასწია გადმოფრენისას. მისი ჩამოგდება როგორც სირიელებს, ასევე ებრაელებს შეეძლოთ. პრესკონფერენციაზე სამხედრო მფრინავმა განაცხადა, რომ იგი სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებდა, რადგან დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრება სურდა, სადაც ადამიანებს თავისუფლად შეუძლიათ საკუთარი აზრების გამოხატვა და რომ მას არავითარი კავშირი არ ჰქონია ისრაელის სპეცსამსახურების აგენტებთან.

სირიის წარმომადგენლებმა კი, რა თქმა უნდა, მაშინვე განაცხადეს, რომ ადელი ისრაელის საიდუმლო სამსახურების მიერ იყო გადაბირებული და უბრალოდ, თვითმფრინავი მოიპარა. ისრაელში კი გაოცებულნი იყვნენ მისი საქციელით და სამხედრო ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების უმოქმედობით.

სირიის ხელისუფლების განცხადებები ჭეშმარიტების მარცვალს შეიცავდა. საჰაერო-სამხედრო ძალების მაიორი თავის სიცოცხლეს სასწორზე არ შეაგდებდა, რადგან გაფრთხილების გარეშე ისრაელის საჰაერო თავდაცვის სისტემები „უცხოს" გამოჩენისთანავე მკაცრ რეაგირებას მოახდენდნენ. მას გამანადგურებლები ჩამოაგდებდნენ ან საზენიტო რაკეტებიააფეთქებდნენ ჰაერში. თუ ოდნავ ჩრდილოეთით გადაუხვევდა და თავის „მიგ-23"-ს ამერიკული სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე დასვამდა, დემოკრატიულ ფასეულობებსა და ფულსაც ნაკლები რისკის საფასურად მიიღებდა, მაგრამ მანურს მაინცდამაინც ისრაელში უნდოდა დაფრენა. ეს აზრი იმითაც მტკიცდება, რომ მან, ისევე, როგორც რადფამ, მალე გამოიცვალა გვარი და ისრაელში დასახლდა.

ისრაელის საჰაერო თავდაცვის სისტემებში მომხდარი გაუგებრობები კი, როგორც მოგვიანებით გაირკვა, რადიოლოკაციური დაზვერვის სისტემებისა და შეტყობინების ბლოკის ტექნიკურად შეუთანხმებელმა მოქმედებებმა გამოიწვია... ხომ საინტერესოა — შეუთანხმებელმა მოქმედებებმა?!

# სპეცსამსახურების ყველაზე საიდუმლო დანაყოფები

*დღეს მთელ მსოფლიოში სპეციალური დანიშნულების დანაყოფების (ე.წ. „სპეცნაზის") განსაკუთრებული მრავალფეროვნებაა. თითქმის არ არსებობს ქვეყანა, რომელიც „მოდას" არ იყოს აყოლილი და ასეთი სახის დანაყოფები არ გააჩნდეს. საქმე უკვე კურიოზებამდე მიდის — „სპეცნაზს" ქმნიან არა მარტო ძალოვანი და სამართალდამცავი უწყებები, არამედ წმინდა ეკონომიკური შინაარსიის ორგანიზაციებიც — მაგალითად, ფინანსთა სამინისტრო, საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტები და ა.შ.*

*საბჭოთა და შემდეგ რუსეთის „სპეცნაზები" სამართლიანად ითვლებოდა და ითვლება ერთ-ერთ ყველაზე მიზანსწრაფულ და დაუნდობელ დანაყოფებად, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ გაცილებით ჩამორჩებოდნენ მოწინააღმდეგეს ტექნიკური აღჭურვისა და დაფინანსების მხრივ, ფანატიზმის ხარჯზე, ხშირად პირადი შემადგენლობის დიდი მსხვერპლისდა მიუხედავად, დასახულ მიზანს მაინც აღწევდნენ.*

## საბჭოთა „სპეცნაზის შექმნის მოკლე ისტორია

საბჭოთა კავშირი იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, სადაც სპეციალური დანიშნულების დანაყოფები შეიქმნა. „ზენიტი", „ვიმპელი", „კასკადი", „ალფა", „ომეგა", „კობალტი", „ვიტიაზი", „რუსიჩი" — ეს საბჭოთა „სპეცნაზების" არასრული ჩამონათვალია. იმ პერიოდში ამ სახის დანაყოფები მხოლოდ „კგბ"-ს (საგარეო დაზვერვას), თავდაცვის სამინისტროს (უშუალოდ „გრუ"-ს) და შინაგან საქმეთა სამინისტროს ყავდა. მათგან ყველაზე ადრე შეიქმნა და ამის გამო განსაკუთრებული საბრძოლო გამოცდილება „გრუ"-ს სადაზვერვო-დივერსიულ დანაყოფებს გააჩნდათ.

თავად საბჭოთა სამხედრო დაზვერვა „გრუ" 1918 წლის 21 ოქტომბერს შეიქმნა. მისი ძირითადი ფუნქციები განვლილ პერიოდში დიდად არ შეცვლილა, ესაა: სამხედრო სტრატეგიული და ოპერატიული დაზვერვა; სამხედრო-ტექნიკური და სამხედრო-პოლიტიკური ინფორმაციის მოპოვება; კოსმოსური და ელექტრონული დაზვერვა, სადაზვერვო-დივერსიული ოპერაციების ჩატარება მოწინააღმდეგის ზურგში და სხვ.

საინტერესოა, რომ „გრუ" „კგბ"-„ფსბ"-სთან შედარებით ყოველთვის უფრო საიმედო და შედეგიან უწყებად ითვლებოდა და ამჟამადაც ასეთად რჩება. მის რიგებში ყოველთვის უფრო ნაკლები მოღალატე იყო და თანაც მისი სადაზვერვო „პროდუქცია" უფრო მაღალი ხარისხითაც გამოირჩეოდა.

„გრუ"-ს „სპეცნაზები" მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის და შემდგომ რუსეთის მიერ განხორციელებულ ყველა ოფიციალურ შეიარაღებულ კონფლიქტში და ფარულ სპეცოპერაციაში. ეს სპეცსამსახური და მისი სადაზვერვო-დივერსიული დანაყოფები განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ საქართველოს წინააღმდეგ დაგეგმილ და განხორციელებულ, როგორც „ღია" ოპერაციებში (პრეზიდენტ გამსახურდიას დამხობა, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის სამხედრო კონფლიქტები), ასევე მრავალ ჯერ კიდევ გაუხმაურებელ სპეცოპერაციაში.

ყველაფერი კი საბჭოთა არმიისა და ფლოტის რეგულარულ დანაყოფებში მცირერიცხოვანი და მობილური სადაზვერვო-დივერსიული და პარტიზანული ჯგუფების შექმნით დაიწყო.

გასული საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში სამოქალაქო ომის დროს დასავლეთის ფრონტზე მოქმედი ბოლშევიკების პარტიზანული ჯგუფების ბაზაზე ჩამოყალიბდა საბჭოთა არმიის პირველი სპეცდანაყოფები — „არალეგალური სამხედრო ორგანიზაცია", რომელთა ძირითადი ამოცანა იყო ე. წ. „აქტიური დაზვერვის" (დივერსიების და ტერაქტების) ორგანიზება მეზობელი დამოუკიდებელი (უპირველესად პოლონეთის, რუმინეთის და ბალტიისპირეთის) ქვეყნების ტერიტორიაზე. სტრუქტურულად ისინი შესაბამისი სამხედრო ოლქების დაქვემდებარებაში იყვნენ და სისტემატურად მონაწილეობდნენ საერთო-საჯარისო წვრთნებში. კიევში, მინსკში, ხარკოვსა და მოსკოვში იმ პერიოდში მოქმედებდა დივერსანტებისა და პარტიზანების მოსამზადებელი სპეცსკოლები. 1930 წლის ივლისში განხორციელდა პირველი საპარაშუტო დესანტის გადმოსხმა ვორონეჟთან ახლოს, ხოლო 1938 წელს ჩატარდა წყალქვეშა ნავ SC-112-დან სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფის წყალქვეშა მდგომარეობიდან პირველი დესანტირება.

საბჭოთა სამხედრო „სპეცნაზის" პროფესიონალიზმის ამაღლებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1936-1939 წლებში ესპანეთის სამოქალაქო ომში მონაწილეობის პერიოდი. საბჭოთა ბელადი იოსებ სტალინი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, სხვათა ომში აგზავნიდა საჯარისო დანაყოფებს, მფრინავებს და სპეცსამსახურის თანამშრომლებს საბრძოლო გამოცდილების მისაღებად და ოსტატობის დასახვეწად. ესპანეთის სამოქალაქო ომში საბჭოთა პარტიზანული რაზმები აფეთქებდნენ ხიდებს, საავტომობილო გზებს და რკინიგზის ლიანდაგებს. ამგვარი გამოცდილება მათ ძალზე გამოადგათ გერმანელების წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლებში.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე — 1941 წლის აგვისტოში, ბალტიის ფლოტის ნაწილებში სადაზვერვო-დივერსიული ოპერაციების ჩასატარებლად შეიქმნა პირველი განსაკუთრებული დანიშნულების დანაყოფი 146 კაცის საშტატო შემადგენლობით, რომლებიც მთლიანად მყვინთავებით იყო დაკომპლექტებული.

1941-1945 წლების პერიოდი ფართო მასშტაბიანი სადაზვერვო-დივერსიული და პარტიზანული მოქმედებებით გამოირჩეოდა, რასაც გერმანელებმა რეალურად ვერანაირი კონტრზომები ვერ დაუპირისპირეს. მეორე მსოფლიო ომში მიღწეულ გამარ-



ჯგებაში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი სწორედ პარტიზნულმა დაჯგუფებებმა შეიტანეს.

1950 წელს საბჭოთა სამხედრო დაზვერვის „გრუ"-ს დაქვემდებარებაში 46 ასეული შეიქმნა, თითოეულში 120 კაცის შემადგენლობით დაკომპლექტდა. მეთაურები უპირატესად სამხედრო დაზვერვის ოფიცრებიდან იყვნენ შერჩეულნი.

1953 წელს, როდესაც საბჭოთა შეიარაღებული ძალების შემცირება დაიწყო, დარჩა მხოლოდ 11 სპეციალური დანიშნულების ასეული.

1956 წელს ბალტიის ფლოტში შეიქმნა საზღვაო „სპეცნაზის" პირველი დანაყოფები. ხოლო მომდევნო წელს სამხედრო ოლქებსა და აღმოსავლეთ ევროპაში დისლოცირებულ საბჭოთა ჯარების ჯგუფებში შეიქმნა ხუთი სპეცდანიშნულების ბატალიონი (მათ შორის 43-ე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში).

1963 წელს გენშტაბის დირექტივით 10 სამხედრო, მათ შორის ამიერკავკასიის ოლქში, დაიწყო ცალკეული კადრირებული სპეცდანიშნულების ბრიგადების (თითოეული 1700 კაცის შემადგენლობით) ფორმირება. ამ პერიოდიდან მოყოლებული საბჭოთა სამხედრო დაზვერვა სისტემატურად მართავდა ფართომასშტაბიან სწავლებებს, რომლებიც მაქსიმალურად იყო მიახლოებული საბრძოლო ვითარებასთან.

სპეციალური დანიშნულების მზვერავი-ოფიცრების მოსამზადებლად 1968 წელს რიაზანის საჰაერო-სადესანტო სამეთაურო სასწავლებელის კურსანტებისგან შეიქმნა მეცხრე ასეული, რომლებიც გაძლიერებულ სამხედრო მომზადებასთან ერთად სწავლობდნენ ინგლისურ, გერმანულ, თურქულ, ფრანგულ, ჩინურ და სხვ. ენებს, იმისდა მიხედვით თუ რა გეოგრაფიული მიმართულებებით იგეგმებოდა მათი გამოყენება. 1977 წლიდან კი „სპეცნაზის" ოფიცრების მოსამზადებლად ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაში დაზვერვის ფაკულტეტზე შეიქმნა სპეციალური სასწავლო ჯგუფები.

რუსეთის სპეცსამსახურებთან დაახლოებული ექსპერტებისა და ჟურნალისტების მონაცემებით 1970-1985 წლებში საბჭოთა არმიაში 13 სპეცდანიშნულების ბრიგადა, სულ 15-20 ათასი კაცის შემადგენლობით იყო. ყოფილი საბჭოთა სამხედრო მზვერავის, შემდეგ ინგლისში გაქცეული ვიქტორ სუვოროვის (იგივე რეზუნის) გათვლებით კი, საბჭოთა კავშირის სამხედრო დაზვერვის დაქვემდებარებაში ამ პერიოდში 24 ბრიგადა და 95 ათასი კაცი იყო. როგორც ვხედავთ განსხვავება თვალში საცემია და ჩვენი აზრით ჭეშმარიტება სადღაც შუაში უნდა ვეძიოთ. სუვოროვის მონაცემები ოდნავ გაზვიადებული ჩანს, რადგანაც თუ გავითვალისწინებთ, რომ „სპეცნაზში" ჩარიცხვის პროცედურა ძალზე გამკაცრებული იყო და მრავალი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტესტის გავლის შემდეგ 1000-დან მხოლოდ 10-12 კაცის (ანუ 1-1,2 %-ის) ჩარიცხვა ხდებოდა, 95 ათასი საშტატო ადგილის სრულად დასაკომპლექტებლად 9-10 მილიონი კანდიდატის შემოწმება იქნებოდა აუცილებელი, რაც იმ დროისთვისაც კი, შეუძლებელი იყო.

მხედველობაში თუ მივიღებთ, რომ ავღანეთის ომში მონაწილე სამხედრო „სპეცნაზის" ბრიგადების პირადი შემადგენლობა საშუალოდ 2500 კაცს შეადგენდა, მაშინ დავრწმუნდებით რომ ყველაზე ექსტრემალურ პერიოდშიც კი „გრუ"-ს „სპეცნაზში" მაქსიმუმ 50-60 ათასი მებრძოლი იყო. თვით ეს ციფრიც საკმარისია იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ საბჭოთა კავშირის იმპერიალისტურ მიზნებში. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დაწყებული მსოფლიოში არც ერთ რამდენადმე სერიოზულ ომს და სამხედრო კონფლიქტს არ ჩაუვლია საბჭოთა „სპეცნაზის" მონაწილეობის გარეშე. ვიეტნამი, ანგოლა, ეთიოპია, მოზამბიკი, ნიკარაგუა — ეს არასრული ჩამონათვალია იმ ქვეყნებისა, სადაც საბჭოთა იმპერია სამხედრო ძალით და სადაზვერვო-დივერსიული მეთოდებით საკუთარი პოლიტიკის გატარებას ცდილობდა, მაგრამ მისთვის საბედისწერო ავღანეთის შიდაპოლიტიკურ საქმეებში ჩარევა და მრავალწლიანი სამოქალაქო ომის პროვოცირება გახდა.

## საბჭოთა სამხედრო „სპეცნაზი" ავღანეთის ომში

„გრუ"-ს „სპეცნაზის" შესაძლებლობების ნამდვილი გამოცდა ავღანეთის ომში მოხდა. 1979 წლის მაისის დასაწყისში „გრუ"-ს უფროსის არმიის გენერალ ივაშუტინის დავალებით პოლკოვნიკმა კოლესნიკმა დაიწყო 154-ე ცალკეული სპეციალური დანიშნულების რაზმის ფორმირება. ჯარისკაცთა და ოფიცერთა საერთო შემადგენლობა 520-ს აღწევდა, რომლებიც იმ დროისათვის ყველაზე თანამედროვე საბჭოთა იარაღით იყვნენ აღჭურვილნი. ამ დანაყოფის მთავარი თავისებურება ის იყო, რომ პირადი შემადგენლობა ნაციონალურ-რელიგიური ნიშნით შეირჩა და მხოლოდ უზბეკი, ტაჯიკი და თურქმენი ეროვნების მებრძოლებით დაკომპლექტდა. ამიტომაც ავღანეთის ომის ისტორიაში ეს რაზმი „მუსულმანური ბატალიონის" სახელწოდებით შევიდა. მის მეთაურად დაინიშნა მაიორი ჰალბაევი. ავღანეთის არმიის ფორმაში გამოწყობილი, შესაბამისი ავღანური დოკუმენტებით უზრუნველყოფილი ბატალიონი 1979 წლის 19-20 ნოემბერს Ан-12-ის ტიპის თვითმფრინავებით ბაგრამში გადაიყვანეს, ხოლო მძიმე ტექნიკა (БМП-1 და БТР-60ПБ) Ан-22 „ანთეით" გადაიტანეს. „მუსულმანური ბატალიონი" ქაბულის შემოგარენში ავღანეთის პრეზიდენტის ჰაფიზულა ამინის რეზიდენციის „გასაძლიერებლად" (სინამდვილეში კი მისი სასახლის –„თაჯ-ბეკის" იერიშით ასაღებად) გადაისროლეს.

იმ პერიოდში ავღანეთში რთული შიდაპოლიტიკური ვითარება იყო. პრეზიდენტი ამინი, რომელიც ქვეყნის სათავეში პრეზიდენტ თარაკის ლიკვიდაციის შემდეგ მოვიდა, საკუთარი ძალაუფლების გამყარებას საბჭოთა არმიის დახმარებით გეგმავდა. მისი არაერთი თხოვნა ჯარის შეყვანის შესახებ საბჭოთა პოლიტბიურომ 1979 წლის ბოლოს დააკმაყოფილა. ამინის პიროვნების ირგვლივ სერიოზული დაპირისპირება იყო საბჭოთა ხელმძღვანელობაში. თავდაცვის სამინისტრო და სამხედროები მას უჭერდნენ მხარს, ხოლო „კგბ"-ს შეფი იური ანდროპოვი ამინის ლიკვიდაციას და მის ადგილზე ბაბრაქ ქარმალის (რომელიც იმ დროისათვის საბჭოთა საგარეო დაზვერვის მეთვალყურეობის ქვეშ იყო და ჩეხოსლოვაკიიდან ადევნებდა მოვლენებს თვალს) მოყვანას მოითხოვდა. ანდროპოვმა შეძლო ბრეჟნევის დარწმუნება და პოლიტბიურომ ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანის აუცილებელ წინაპირობად პრეზიდენტ ამინის ლიკვიდაციის და სახელმწიფო გადატრიალების საიდუმლო გადაწყვეტილება მიიღო.

პრეზიდენტი ამინი ახალ რეზიდენციაში „თაჯ-ბეკის" სასახლეში „ნებივრობდა" თავის მრავალრიცხოვან ცოლებთან და ყველაზე ცუდ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდა „რუსი ძმების" ამგვარ ვერაგობას.

საინტერესოა, რომ თავის დროზე „თაჯ-ბეკის" სასახლის დაცვის სისტემა საბჭოთა „კგბ"-ს მე-9 სამმართველოს სპეციალისტებმა შეიმუშავეს და მაქსიმალურად გამოიყენეს რთული რელიეფი და ადგილმდებარეობა. სასახლისკენ მიმავალი ერთადერთი სპირალური გზა იმდენად ვიწრო იყო, რომ მოძრაობა მხოლოდ ერთი მიმართულებით შეიძლებოდა, გარდა ამისა ზედა წერტილიდან შესაძლებელი იყო გზის სრული გაკონტროლება. ამ ფუნქციას ამინის დაცვის მიერ მიწაში ჩაფლული და კარგად შენიღბული T-55 მოდელის ორი ტანკი ასრულებდა.

1979 წლის 21 დეკემბერს „მუსულმანურმა ბატალიონმა", ავღანელებთან შეთანხმებით დისლოკაციის ადგილი — პრეზიდენტ ამინის დაცვის ორ ბატალიონს შორის, დაიკავა და იერიშისთვის მზადებას შეუდგა. სამხედრო ოპერაციაში აქტიურად მონაწილეობდა „კგბ"-ს „სპეცნაზიც" — „გრომი" (მეთაუ-



რი მაიორი სემიონოვი) და „ზენიტი“ (მეთაური – მაიორი რომანოვი), საერთო ხელმძღვანელობა პოლკოვნიკ ბოიარინოვს ევალებოდა. ოპერაციას კოდური სახელწოდება „შტორმი-333“ შეურჩიეს.

ოთხი-ხუთი დღის მრავალფეროვანი დეზინფორმაციული მუშაობის შედეგად საბჭოთა სპეცსამსახურებმა შეძლეს ავღანეთის პრეზიდენტის პირადი დაცვისა და მისი ერთგული საჯარისო ნაწილების მეთაურთა ყურადღების მოდუნება.

ამინს იმდენად სჯეროდა „რუსი ძმების“, რომ მხოლოდ საბჭოთა სამხედროების და ექიმების რჩევებს და მკურნალობის მეთოდებს ენდობოდა. აღსანიშნავია, რომ ამინის ლიკვიდაცია ჯერ მოწამვლით სცადეს. მის ახლო წრეში ჩანერგილი იყო უზბეკი ეროვნების „კგბ“-ს აგენტი, რომელიც პირადი მზარეულის ფუნქციებს ასრულებდა. მან 27 დეკემბერს სცადა ამინის, მისი ოჯახის წევრების და სტუმრების მოწამვლა და საჭმელში საწამლავი ჩაუყარა. თუმცა ავღანეთის პრეზიდენტი და მისი ახლობლები მხოლოდ შეუძლოდ შეიქმნენ და სასწრაფოდ ექიმები გამოიძახეს. ამიტომაც იყო რომ, იერიშის მომენტში ამინთან საბჭოთა მედპერსონალი იმყოფებოდა. ექიმებმა, რომლებიც ბუნებრივია დაგეგმილი ოპერაციის შესახებ არაფერი იცოდნენ, შეძლეს ამინის და სხვა მოწამლულების გადარჩენა. შემდეგ იერიშის დროს კი ერთ-ერთი საბჭოთა ექიმი, პოლკოვნიკი კუზნეჩენკოვი, „სპეცნაზის“ ნასროლი ბრმა ტყვიით გარდაიცვალა.

საბჭოთა სპეცსამსახურებს ხელთ ჰქონდათ რეზიდენციის დეტალური გეგმა (ოთახების და კომუნიკაციების განლაგება) და ინფორმაცია დაცვის რაოდენობის და საცეცხლე წერტილების განლაგების შესახებ.

იერიშის წინ „სპეცნაზის“ მებრძოლებს პოლიტსწავლებები ჩაუტარეს და ყოველგვარი ეჭვის გასაფანტავად „საიდუმლოდ“ გაანდეს, რომ პრეზიდენტი ამინი ავღანელი ხალხის მოღალატე და „ამერიკის აგენტი“ იყო და ამიტომაც მისი და მისი ოჯახის ლიკვიდაცია საბჭოთა კავშირის „ინტერნაციონალური ვალია“. თუმცა ეს ვერსია მხოლოდ „სპეცნაზელების“ ღიმილს იწვევდა და მათ კონტრკითხვაზე „თუ ამინი ამერიკის აგენტია, მაშინ საბჭოთა ჯარების შემოყვანას რატომ გვთხოვსო?“, საბჭოთა „კომისრები“ პასუხს ვეღარ პოულობდნენ.

იერიში 27 დეკემბერს საღამოს დაიწყო. პრეზიდენტი ამინი და ავღანელი სამხედროები კარგა ხანს ვერ იჯერებნენ, რომ მათ „რუსი ძმები“ დაესხნენ თავს. კავშირგაბმულობის არხების მწყობრიდან გამოყვანის გამო, რაც „კგბ“-ს სპეციალისტებმა იერიშამდე ნახევარი საათით ადრე მოახდინეს, ამინმა ვერ შეძლო დახმარების გამოძახება. ყველაფერი 43 წუთში დამთავრდა. ამინი და მისი ოჯახის წევრები, მათ შორის ხუთი და რვა წლის ვაჟები, დაუნდობლად ამოჟლიტეს.

საბჭოთა „სპეცნაზში“ მსხვერპლი მნიშვნელოვანი იყო, რაც ავღანელების „დამსახურება“ ნაკლებად იყო. სიბნელეში საბჭოთა სამხედროები თავად ხოცავდნენ ერთმანეთს.

ავღანეთში სახელმწიფო გადატრიალების და ამინის ლიკვიდაციის გეგმები იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ ამის შესახებ საბჭოთა ელჩმა ავღანეთში და „გრუ“-ს რეზიდენტმა მხოლოდ მეორე დღეს – 28 დეკემბერს, უკვე მომხდარი ფაქტის შემდეგ შეიტყვეს.

საბჭოთა ჯარების შეყვანა ავღანეთში ის საბედისწერო ნაბიჯი აღმოჩნდა, რომელმაც დააჩქარა საბჭოთა იმპერიის ნგრევა.

## სამხედრო „სპეცნაზის“ ნაკრძალი ლაგოდეხში

როგორც უკვე აღვნიშნეთ 1957 წელს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სტრუქტურაში ჩამოყალიბდა 43-ე სპეციალური დანიშნულების ბატალიონი და მისი დისლოკაციის ადგილად კახეთის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე – ლაგოდეხი შეირჩა. ექვსი წლის შემდეგ ამ ბატალიონის ბაზაზე კადრირებული სპეცდანიშნულების ბრიგადა შეიქმნა, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა სამხედრო „სპეცნაზის“ ყველა ოპერაციაში.

1980 წლის 29 თებერვალს ლაგოდეხში დისლოცირებული 12 ბრიგადის შემადგენლობაში შეიქმნა 173-ე სპეცდანიშნულების ცალკეული რაზმი. რომელიც ავღანეთში 1984 წელს შეიყვანეს. ავღანეთიდან 1988 წლის ნოემბერში გამოყვანის შემდეგ მისი დისლოკაციის ადგილი როსტოვის ოლქი იყო. ეს დანაყოფი უშუალოდ მონაწილეობდა თბილისსა და ბაქოში მშვიდობიანი დემონსტრაციების სისხლიან დარბევაში, ყარაბახის ომში. ოსეთ-ინგუშეთის კონფლიქტში და ჩეჩნეთში მიმდინარე საომარ ოპერაციებში.

საბჭოთა კავშირის ოფიციალურ დაშლამდე ლაგოდეხის 12 ბრიგადიდან ფორმალურად თუ არსებობდა – რუსეთმა თითქმის სრულად გაიტანა შეიარაღება, ხოლო პირადი შემადგენლობიდან დარჩენილი იყო მხოლოდ დაცვის უზრუნველყოფის ასეული. 1993 წლის იანვარში, როდესაც რუსეთმა ბრიგადის ოფიციალურად გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო. საწყობებში 300-მდე ავტომატი და ტყვიამფრქვევი, ცოტაოდენი ტყვია-წამალი იყო. მიუხედავად ასეთი უმნიშვნელო რაოდენობისა რუსმა სამხედროებმა იარაღის საქართველოს მხარისთვის გადაცემაზე უარი განაცხადეს და 1993 წლის იანვრის დასაწყისში ცხრა სატვირთო ავტომანქანით ვაზიანის სამხედრო საწყობებში გადატანა მოინდომეს. რუსეთის მხარის ოფიციალური ვერსიით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილებმა იარაღის მუქარით შეძლეს აღნიშნული იარაღისა და საბრძოლო მასალების ხელში ჩაგდება. თუმცა მაშინვე გავრცელდა მეორე, უფრო სარწმუნო ვერსია იმის შესახებ, რომ რუსმა სამხედროებმა, კერძოდ კი, კარგად ცნობილმა ბეპაევმა, იარაღი დიდ ფულად მიყიდეს კიტოვანს და შეიარაღებული დაპირისპირება მხოლოდ ორივე მხარის მიერ გათამაშებული სპექტაკლი იყო. იმ პერიოდში აფხაზებიც შეუფერხებლად იღებდნენ იარაღს რუსეთისაგან, უფრო თანამედროვეს და სრულიად უფასოდ. აი ამგვარი მეთოდებით ცდილობდა რუსეთი აფხაზეთის კონფლიქტის გაღვივებას და ფართომასშტაბიან ომში გადაზრდას, რასაც სამწუხაროდ მიაღწია კიდეც.

## საბჭოთა (რუსეთის) სამხედრო „სპეცნაზი“ 1990-2005 წლებში

ავღანეთიდან ჯარების გამოყვანის შემდეგ სამხედრო „სპეცნაზის“ მოქმედებების არეალი საბჭოთა კავშირის ტერიტორია და დამოუკიდებლობის მსურველი რესპუბლიკების „მორჯულება“ გახდა. დადასტურებული ფაქტია, რომ იმ პერიოდის ყველა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაგიკული მოვლენა — თბილისში, ბაქოში, ვილნიუსში და რიგაში სამხედრო „სპეცნაზის“ უშუალო მონაწილეობით მოხდა. ისინი უწყობდნენ ხელს აგრეთვე ყარაბახის ომის ესკალაციას, აზერბაიჯან-სომხეთს შორის მდგომარეობის კიდევ უფრო დაძაბვას.

საბჭოთა კავშირის დაშლის აგონიური პროცესები სამხედრო „სპეცნაზის“ აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობდა. 1991 წლის ბოლოსათვის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე სამხედრო „სპეცნაზის“ 13 ბრიგადა (12 სახმელეთო და ერთი საზღვაო) იყო. ამათგან 10 იმ ყოფილ რესპუბლიკებს დარჩათ, რომელთა ტერიტორიაზეც იყვნენ დისლოცირებული (მათ შორის 4-4 რუსეთს და უკრაინას, 1-1 ბელორუსსა და უზბეკეთს), ხოლო სამი ბრიგადა დაიშალა.

რუსეთის ოთხი ბრიგადიდან 1994 წელს ორი „გრუ“-დან საჰაერო-სადესანტო ჯარებს გადაეცა. ამჟამად სამხედრო დაზვერვის დაქვემდებარებაშია მე-16 (დისლოკაციის ადგილი — რიაზანის ოლქი, ჩუჩკოვო) და 22-ე (მოსკოვის ოლქი, კუბინკა) ბრიგადები.

არის სერიოზული ვარაუდი და ვერსიები, რომ „გრუ“ და მისი „სპეცნაზი“ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში იმ პერიოდში მომხდარი ყველა სახელმწიფო გადატრიალების ინიციატორი და აქტიური მონაწილე იყო. აზერბაიჯანში ელჩიბეის ეროვნული ხელისუფლების ალიევით, ხოლო საქართველოში გამსახურდიას — შევარდნაძით ჩანაცვლებას რუსეთის სპეცსამსახურების გარეშე არ ჩაუვლია. კონფლიქტები სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, სამოქალაქო ომი ასევე მათ მიერ იყო პროვოცირებული. საბრძოლო და სადაზვერვო-დივერსიულ ოპერციებსაც ისინი გეგმავდნენ და ახორციელებდნენ.

გასულ წლებში რუსეთის სამხედრო „სპეცნაზი“ უშუალოდ მონაწილეობდა გროზნოს, დაღესტნისა და ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში. 2000 წლის 24 ოქტომბერს მოსკოვში დიდი პომპეზურობით აღნიშნეს სამხედრო „სპეცნაზის“ შექმნის 50 წლის იუბილე. თუმცა ბოლო პერიოდში მოსკოვში, ბესლანში და ნალჩიკში მომხდარი ტერაქტები და ჩეჩნეთში მიმდინარე სამხედრო შეტაკებები ადასტურებს, რომ მათი ზეიმი ჯერ ნაადრევია.

## „სპეცნაზების“ „ბუმი“ საქართველოში

საქართველოში დღეისთვის არსებული ამ სახის სპეცდანაყოფების შექმნაზე პირდაპირი ზეგავლენა 1990-იანი წლების დასაწყისში რუსეთის შესაბამის სტრუქტურებში მიმდინარე ცვლილებებმა მოახდინა. ჩვენთან თავდაპირველად „სპეცნაზები“ შეიქმნა თავდაცვის, უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროებში, სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურში, ხოლო შემდეგ კი იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროებში. ამ დროს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სპეციფიკა ნაკლებად იყო გათვალისწინებული.

ამ ფუნქციონალურ „აჯაფსანდალში“ თითქმის დაიკარგა „სპეცდანაყოფების“ უმთავრესი და უპირველესი დანიშნულება, კერძოდ:

1. სადაზვერვო-დივერსიული და პარტიზანული ოპერაციების ჩატარება მოწინააღმდეგის ზურგში;
2. სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლა ქვეყნის შიგნით;
3. ტერორისტების განეიტრალება.

ჩვენ ქვეყანაში უფრო შორს წავიდნენ და ამჟამად სხვადასხვა უწყებების „სპეცნაზის“ მებრძოლებს ხან პატიმრების „დასაწყნარებლად“, ხან გაბრაზებული მოჭიდავეების „ბეჭებზე დასადებად“ და ხანაც კაფე-ბარებში სალაროს აპარატების დასალუქად(?!) იყენებენ...

*ბესიკ ალადაშვილი*

# ზაალ სულაკაურის შტაბის უფროსი...

## გვარად გორბაჩოვი იყო, უშუალო ხელმძღვანელი კი ნიკულინი...



*„ვიცი არსენა მარაბდელი, ბრუს ლი,.. ეს არსენა ლი ვინღაა?!“ — ამ კითხვით მომმართა კარიკატურისტმა ზაალ სულაკაურმა ჩვენი ჟურნალის წარდგენისას. იგი შესანიშნავი მხატვარი და კარგი რესპონდენტია. ერთხანს სახელმწიფოს მეთაურობის პრეტენზიაც ჰქონია და სახელმწიფო „ზაალუნდრიაც“ შეუქმნია... ხატავს მარცხენა ხელით, პოლიტიკოსებს იუმორის მქონე ადამიანებად მიიჩნევს და უკვირს, ასე გაბურძგნილმა როგორ მოხიბლა მეუღლე... მიუხედავად იმისა, რომ უსიამოვნოდ ახსოვს ჯარში სამსახური, მაინც ხალისით იგონებს ცხოვრების ამ და სხვა პერიოდებს...*

### დავიბადე

...1970 წელს თბილისში, მწერლისა და რეჟისორის ოჯახში. მიუხედავად იმისა, რომ უძრაობის წლები იყო, მაინც ძალიან მეჩქარებოდა სამყაროს ხილვა. ნათქვამია: მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო... ამიტომ მარტო არ ვყოფილვარ, მომყვა ტყუპისცალი ძმა. რვათვიანები ვიყავით და ლამის დავილუპეთ. ცნობილი ნოდარ დუმბაძე მოსულა სააავადმყოფოში და უთქვამს: ამ ბავშვებმა უნდა იცოცხლონ, თორემ ასეო და ისეო... იმავე დღეს მწერლებმა ჩვენი დაბადება აღნიშნეს, თამადად ნოდარი იყო, უკითხავს: რა დავარქვათ ბიჭებსო?.. ედიშერ ყიფიანს უთქვამს: ზაალი და ზურაბიო! ხაჭაპური ცივდებოდა და ვის ეცალა ჩვენი სახელების გასარჩევად. ამიტომ ერთხმად აიტაცეს. საერთოდ ოთხნი ვართ: ბაკური, ლელა, მე და ზურიკო. აქედან ყველაზე მაგარი ჩემი დაა, — 6 შვილს ზრდის და იმიტომ...

### ბაღში

...მე და ჩემი ტყუპისცალი მარტო, ხელჩაკიდებულნი მივდიოდით, თავიდანვე დამოუკიდებლები და გიჟები ვიყავით. ხატვა ადრეული ბავშვობიდან დავიწყეთ. ერთხელ ბაღში კაცი დავხატე პროფილში, ეტყობა, მასწავლებელს პიკასო ჰქონდა ნანახი და ცხვირზე მეორე თვალიც მიახატა. მე ეს ძალიან მეწყინა, რადგან „უხეშად“ ჩაერია ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში...

## სკოლა

...კი დავამთავრეთ, მაგრამ სწავლის რა მოგახსენოთ, ისე, აინშტაინიც არ სწავლობდა. მე და ზურიკო სკოლის მხატვრები ვიყავით. მერე წავედით „ნიკოლაძეში“ და რომ იცოდე, რამხელა ორიანი მივიღეთ, — ხატვა არ იცითო (?!). ეს სუფთა „გრუზინკული“ პონტებია, რომელიც ახლაც ხდება: ამიტომ არც „ნიკოლაძე“ და არც აკადემია არ დამიმთავრებია. რა საჭიროა?! მთავარი ხომ საქმე და შედეგია...

## ჯარში

...1989 წელს გაგვიწვიეს. ჩვენ გაზაფხულის „პრიზივზე“ არ გვინდოდა. ეტყობა, იფიქრეს, შემოდგომაზე აკადემიაში ჩააბარებენ და დარჩებიან, ამიტომ ამათ დარჩენას ვინმე ფულიანი ვაკელი დავტოვოთ, ის სჯობიაო, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩავუგდეთ — მთაში ავედით და მთელი ზაფხული იქ გავატარეთ. 1989 წლის ნოემბერში კი კოპიტნარის საავიაციო ნაწილში აღმოვჩნდით. მეტსახელად „ბიჯოებს“ გვეძახდნენ, ზურიკო ჯარისკაცებისთვის ნამდვილი ღმერთი იყო. არა, კი არავის მფარველობდა, უბრალოდ — ფოსტალიონად მუშაობდა და წარმოიდგინე საწყალი უზბეკებისა და რუსების სიხარული, როგორ გაუხარდებოდათ ყოველი მისი გამოჩენა. ქართველი, რუსი, უკრაინელი, ჩეჩენი და უზბეკი ჯარისკაცები ღორის სალაფავივით საშინელ პიურეს ინტერნაციონალურად, მართლაც ერთი გობიდან ვჭამდით, ამიტომ ნამდვილი მეგობრები ვიყავით. მერე შტაბის მხატვრები გავხდით და ოფიცრების საჭმელზე(!) გადავედით. მთელი შტაბი და კაფე ჩვენ მოვხატეთ, ხელფასი 7 მანეთი გვქონდა. სასაცილო ის იყო, განგაში რომ გაიჩითებოდა, ყველანი დარბოდნენ — დრრრ... დრრრ... და სადღაც ჩაძვრებოდნენ გენერლები, რატო დარბოდნენ ვერ გავიგე, ეტყობა, პონტია ეგეთი, — წადი რა წყნარად, სად გეჩქარება?! — აშკარად იგრძნობოდა ყალბი განწყობილება. ჩვენც გენერლებთან ჩაგვკეტავდნენ ხოლმე, იქვე რუკები იჩითებოდა, მაგ., თურქეთის საავიაციო ნაწილის, სადაც საპირფარეშოც კი აღნიშნული იყო. აბა, რა გამოეპარებოდა საბჭოთა ჯარს?!.. ერთხელ სამი ბომბდამშენი აფრინდა და ერთი აფეთქდა, ჯარისკაცები გაუშვეს და ზოგს ხელი მოჰქონდა, ზოგს ფეხი... ჩვენ კი ვხაზავდით რუკებს — სად რა იპოვეს და ა.შ.

ჯარში ჩემი ძმა გაველურდა, თითქმის ყველას სცემდა, მაგის გამო მეც ხშირად მომხვედრია. როცა ჩემში თუშური სისხლი იმძლავრებდა, მოვიხსნიდი ქამარს, რომელსაც ერთი პირი ალესილი ჰქონდა, წინ ფარად ვინმეს ავიფარებდი და როგორც ძველად ქართველებისა და თურქ-სელჩუკების შეტაკება, ისეთი ბრძოლები იმართებოდა. ნაწილში ე. წ. „ლენკომბატები“ გვქონდა, სადაც შტაბის უფროსი გორბაჩოვი (მიხაილ გორბაჩოვის ბიძაშვილი) და „კამანდირი“ ნიკულინი იდეოლოგიურად „გვამუშავებდნენ“.

ამ დროისთვის ეროვნული მოძრაობა დაწყებული იყო და ქართველი ჯარისკაცები საბჭოთა სამხედრო ნაწილებს ტოვებდნენ. ფიცის მიღებიდან 50 ქართველი ჯარისკაცი გამოვიპარეთ ნაწილიდან, გამოგვედევნენ რუსი ოფიცრები, მაგრამ თბილისს რომ მოვუახლოვდით, ისე აორთქლდნენ, თვალი ვერ მოვკარით... ჯარისკაცების 80% მაინც დავბრუნდით უკან და, რა თქმა უნდა, „გაობახტში“ ამოვყავით თავი. სულ ორჯერ ვარ იქ ნამყოფი, ერთხელ კიდევ ადგილი აღარ იყო და გამიმართლა. „გაობახტის“ ფანჯარასთან რესტორანი იყო და საჭმელ-სასმელი იქიდან შემოგვდიოდა. ასე რომ, ძალიან კარგი იყო „გაობახტი“, ერთი ეგ არის, საწოლი, არ იდგა, თან სიცივე და ცუდი სუნი იყო... ერთი წელი ვიყავით ჯარში, მერე გამსახურდიამ გამოსცა კანონი, რომ ერთი წელი გვარდიაში სრულ სამსახურად გვეთვლებოდა. სიცივე, შიმშილი — მართლაც ამაზრზენი იყო. რუსის ოფიცერი, შენს ფრჩხილადაც რომ არ ღირდა, ზევიდან გიყურებდა, — საშინელი ასატანი იყო...

## შემოქმედება

...არის ის, რომ შენი საქმე ძალიან გიყვარს, ბევრს შრომობ და ყველაფერი გამოგდის.



ცოლი რომ შევირთე, კარიკატურების ხატვა აქტიურად მერე დავიწყე. სანამ თამუნას გავიცნობდი, მანამდეც ვხატავდი. პირველად რომ დავინახე, მივხვდი, რომ „ჩემი“ იყო, ასე შემოვიდა ჩემს შემოქმედებაში. მერე გავიცანი და 5 თვეში დავქორწინდით. საქორწინო მოგზაურობაში ეგვიპტეში კი არა, თუშეთში — სოფელ ფარსმაში წავედით. მულტფილმებსა და რეკლამებში ყოველთვის ვცდილობ, თამუნას სახე გავუშვა. მყავს ორი შვილი: მიხეილი და სალომე. მიხეილი 9 წლისაა და უკვე ჩემზე მაგარი მხატვარია, პირველად სამი წლისამ დამხატა, 5 წლისამ კი ზურაბ ჟვანია დახატა, ზუსტად დაიჭირა მისი ხასიათი.

როცა ამ პროფესიას დავეუფლე, მივხვდი, რომ ნებისმიერი ადამიანი, რაგინდ ცნობილიც უნდა იყოს, ჩვეულებრივია და არა განსაკუთრებული „ვიღაც“. შარშანწინ ოქრუაშვილი გავიცანი, ჩვეულებრივი, კაი ადამიანია, მგელი კი არ არის, შეგჭამოს... იუმორის გრძნობა აქვს, პოლიტიკოსებს იუმორი რომ არ ჰქონდეთ, დედას გვიტირებდნენ... შევარდნაძისნაირი იუმორის გრძნობა მაინც არც ერთ პოლიტიკოსს არა აქვს. განგებ ვუსმენდი მის ლაპარაკს, რომ რამე სახუმარო დამეჭირა. ერთხელ რესტორანში ქეიფობდნენ გიორგი ბარამიძე, ფადი ასლი და სხვები... მე გვერდით მივუჯექი, გავერთოთ-მეთქი... გიორგიმ მითხრა: ეს ჩვენ უნდა გავერთოთ, თორემ შენ უნდა იმუშაოო!.. ისე მართალი თქვა, მაგრამ მათ რა იციან, რომ ეს საქმე, რომელიც ასე ძალიან მიყვარს, კი არ მღლის, პირიქით — მართობს. განსაკუთრებით მაშინ ვერთობი, როცა პოლიტიკოსებს ვხატავ.

ჩემი საქმე ისეთია, რომ ხალხს ახალისებს. სხვებს რომ სიხარულს ვანიჭებ, ერთი-ორად მე მიხარია.

*მაკა შუკაკიძე*

# ქართული არმიის მწვავე პრობლემები „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ

ახალი წლის დღეებში საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ორი ინციდენტი მოხდა. 8 იანვარს სამხედრო აკადემიის ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული ჯარისკაცის გვამი იპოვეს. რიგითი აკაკი პარკაია ავტომატის ტყვიით იყო მოკლული. ცხედარს ძალადობის კვალი არ ეტყობოდა. სამხედრო პოლიციის მიერ ჩატარებული წინასწარი მოკვლევა ემხრობა თვითმკვლელობის ვერსიას. თუმცა არ გამოირიცხება იარაღთან გაუფრთხილებელი მოპყრობაც.

6 იანვარს კი სამხედრო ჰოსპიტალში ტვინის შერყევის დიაგნოზით მიიყვანეს რიგითი ვალერი სარიშვილი, რომელსაც ახალციხეში მდებარე სამხედრო ნაწილში თანამებრძოლები სასტიკად გაუსწორდნენ. დაზარალებულის ადვოკატი მალხაზ შვიდბიჭაშვილი ამბობს, რომ ჯარისკაცი ქურდული ტრადიციების მატარებელმა თანამებრძოლებმა სცემეს მას შემდეგ, რაც სარიშვილმა უარი თქვა მათთვის 50 ლარი მიეტანა. რიგითი ვალერი სარიშვილის ცემის ფაქტზე სამხედრო პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ცნობილია იმ ჯარისკაცების გვარები, რომლებიც თანამებრძოლს ფულს სძალავდნენ. სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელი ლევან ჯაჭვლიანი ამბობს, რომ ფაქტის გამოძიებას ბოლომდე მიჰყვებიან, რადგან დაუსჯელობის შემთხვევაში ეს სენი, შესაძლოა, სწრაფად მოედოს სამხედრო ნაწილებს, სადაც „ქურდული ტრადიციებისადმი“ მიდრეკილება და საქმის გარჩევები საკმაოდ ფეხმოკიდებულია.

### სამხედრო ინციდენტები 2005 წელში

შარშან, 14 ნოემბერს, თბილისში განლაგებულ ელიტურ მე-4 ბრიგადაში საქმის გარჩევა ჯარისკაცებს შორის მასობრივი ცემა-ტყეპით დასრულდა, რის შედეგად 14 ჯარისკაცი იქნა ჰოსპიტალიზებული.

აგვისტოს ბოლოს, თავდაცვის სამინისტროს მე-3 ბრიგადაში, რომელიც ქალაქ გორში, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონიდან 30 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს, ჯარისკაცებს შორის მასობრივი ცემა-ტყეპა ატყდა. თვითმხილველების თქმით, საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ერთმანეთს ორი ბატალიონის მებრძოლები, დაახლოებით 500-მდე ჯარისკაცი დაუპირისპირდა. ჩხუბის შედეგად რამდენიმე ჯარისკაცმა სხეულის დაზიანება მიიღო და ჰოსპიტალში გადაიყვანეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინფორმაცია თითქმის ყველა ქართულმა საინფორმაციო სააგენტომ და ყოველდღიურმა გაზეთმა გამოაქვეყნა, თავდაცვის სამინისტრომ, ბოლო ხანს გავრცელებული ტრადიციის თანახმად, მომხდარის კომენტირებაზე უარი განაცხადა და ჰოსპიტალში ჟურნალისტების შეშვება აკრძალა.



სამხედრო აღლუმი. 2004 წელი, 26 მაისი

გასული წლის დასაწყისში ყოფილი შინაგანი ჯარების მუხროვანის მთელმა ქვედანაყოფმა სამხედრო ნაწილის ტერიტორია დატოვა. სახალხო დამცველის ოფისის წინ შეკრებილი ჯარისკაცები ჟურნალისტებს მოუთხრობდნენ, რა მძიმე პირობებში უხდებოდათ მათ სამხედრო სამსახურის გავლა და როგორ სასტიკად ეპყრობოდა მათ მეთაური. იგივე განმეორდა 10 ოქტომბერს, როდესაც დედოფლისწყაროს (კახეთის რეგიონი) სამხედრო ნაწილი ათმა აზერბაიჯანელი ეროვნების ჯარისკაცმა დატოვა პროტესტის ნიშნად. სახალხო დამცველთან მისული ჯარისკაცები ჩიოდნენ, რომ სამხედრო ნაწილის მეთაური შეურაცხყოფდა მათ ეთნიკური წარმომავლობის გამო. „საკვებს გვაკლებენ, არ გვაძლევენ ჰიგიენურ საშუალებებსა და ტანსაცმელს. მეთაურები ხშირად გვსჯიან, რადგან ქართულ ენაზე გაცემული ბრძანებები არ გვესმის“, — განაცხადეს აზერბაიჯანელმა ჯარისკაცებმა. სამხედრო უწყების გადაწყვეტილებით, ჯარისკაცები მეორე დღეს სხვა ნაწილში გადაიყვანეს, დედოფლისწყაროს ქვედანაყოფში შექმნილი სიტუაციის შესასწავლად კი გამოძიება დაიწყო.

### სუიციდები და მათი გამომწვევი მიზეზები

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში ყველას მოგვარებული ეგონა, მშვიდობიან დროს სამხედრო მოსამსახურეთა მკვლელობისა და თვითმკვლელობის პრობლემაა. ბოლო 5 თვის განმავლობაში სამხედრო ძალებში 6 ჯარისკაცი დაიღუპა. ჯარისკაცთა დაღუპვის ყველა ფაქტის გამოძიებაში დამოუკიდებელი ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი მონაწილეობდა. მაია ნიკოლეიშვილი, რომელიც მიხეილ სააკაშვილის მინისტრობის დროს სამინისტროს ექსპერტიზის ბიუროს ხელმძღვანელობდა, ამბობს, რომ ერთ შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურე ჯანმრთელობის მდგომარეობით,

მეთაურების უყურადღებობის გამო დაიღუპა.

„ჯარისკაცი გელაშვილი, რომელიც გორის წმინდა წყაროს ნაწილში მსახურობდა, ფილტვების ანთებით დაიღუპა. დიაგნოზი, როგორც ჩანს, ვერ იყო სწორად დასმული თავის დროზე. არადა პნევმონია დაახლოებით ისეთი იყო, როგორიც 20-იან წლებში, ანტიბიოტიკების არარასებობამდე თუ შეგვხვდებოდათ“, – ამბობდა გასულ წელს დამოუკიდებელი ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი.

გასული წლის ზაფხულში დიდი რეზონანსი გამოიწვია რეზერვისტ ნიკო ყიფიანის თვითმკვლელობის ფაქტმა. გარდაცვლილი თავად ასწავლიდა ხაშმის სკოლაში სამხედრო საქმეს, წერდა მოთხრობებს, იყო პატრიოტულად განწყობილი პედაგოგი და კახეთის რეზერვისტთა ბანაკში თავისი სურვილით წავიდა. 15 ივნისს, ერთი დღით ადრე, სანამ სამკვირიან შეკრებაზე წავიდოდა, ნიკო ყიფიანს 29 წელი შეუსრულდა. სარეზერვო შეკრებიდან ნიკო ყიფიანმა ორ დღეში დედას, ცარო ხარაშვილს დაურეკა და გახარებულმა უთხრა, რომ ბანაკს საქართველოს პრეზიდენტი ეწვეოდა და ღამის საინფორმაციო გამოშვებები ენახა. გადის კიდევ ორი დღე და, ცარო ხარაშვილი ვაჟს სახლში სულთმობრძავს პოულობს.

მოგვიანებით ოჯახს ნიკო ყოფიანის ხელით დაწერილი უკანასკნელი ბარათი აჩვენეს, სადაც იგი დედასა და დას ეთხოვება სიტყვებით: „გაუძელით, გიყვარდეთ ერთმანეთი, მე თქვენ არ შემირცხვენიხართ“. გარდაცვლილის დედა იმ დღის შემდეგ საგონებელშია. მას ვერავინ უთხრა, რა მოხდა იმ ხუთი დღის განმავლობაში რეზერვისტთა შეკრებაზე ისეთი, რამაც მის შვილს თვითმკვლელობა აიძულა? შვილმოკლულ დედას, რომელთანაც თანაგრძნობის გამოსახატავად არავინ მისულა, თავისი ვერსია აქვს. „მას კონფლიქტი ჰქონდა ხელმძღვანელობასთან, რომელმაც დამალა ეს ფაქტი და არავითარი ჩვენება არ მისცა რეპორტიორებს“, – ამბობს ცირა ხარაშვილი. ვინაიდან ყველა შემთხვევის გამოძიება მიმდინარეობს, თავდაცვის სამინისტრო მშვიდობიან დროს ჯარისკაცების დაღუპვის მიზეზებზე კომენტარს არ იძლევა.

მშვიდობიან დროს ზედიზედ 6 სამხედრო მოსამსახურის დაღუპვას დამოუკიდებელი ექსპერტები სამხედრო ნაწილებში დისციპლინის დაქვეითებით ხსნიან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სტრატეგიულ ინტერესებზე გადართულ სამხედრო ხელმძღვანელობას, შესაძლოა, გამოეპარა რეალური ვითარება სამხედრო ნაწილებში. მით უფრო, რომ რეფორმების პროცესს არმიაში კიდევ უფრო ამძიმებს ერთიანი გეგმისა და მოქნილი სოციალური პოლიტიკის უქონლობა. სწორედ ამის გამო ხელისუფლებისგან ზრუნვას მოკლებული აღმოჩნდნენ პირველი პროფესიული სამხედრო ქვედანაყოფები – „კომანდოსის“, „შავნაბადას“, „საჩხერისა“ და ჯავშანსატანკო ბატალიონები, რომლებიც ერთ – თავდაცვის სამინისტროს პირველ ბრიგადაში არიან გაერთიანებულნი; მე-11 ბრიგადის ის ქვედანაყოფები, რომლებიც სამშვიდობო მისიას ასრულებდნენ ერაყში. მთელი სამი წლის განმავლობაში ერაყში საბრძოლო დავალებით ყოფნა ჯარისკაცებს უბრალო საზღვარგარეთულ მივლინებად ეთვლებოდათ, რაც მათ ავტომატურად ართმევდა უფლებას, ესარგებლათ ომის მონაწილის სოციალური შეღავათებით. ხელისუფლებამ ერაყში მყოფი 4500 ჯარისკაცი ომის მონაწილის სტატუსთან სულ რამდენიმე დღის წინ გაათანაბრა და ისიც მას შემდეგ, რაც „კომანდოსის“ ბატალიონის ნახევარმა უარი თქვა ახალი კონტრაქტების ხელმოწერაზე, მაგრამ ჯერჯერობით ხელისუფლებამ მხოლოდ ელიტური ბატალიონის წევრთა ნახევარი დაიყოლია, ხელი მოეწერათ ახალ კონტრაქტებზე. მიზეზი ასეთი უთანხმოებისა კი სახელმწიფოს წინაშე სამხედრო მოსამსახურის ვალდებულების გამკაცრებაა. მასში საჯარიმო თანხის ოდენობა 4 ათასიდან 12 ათასამდე იზრდება, თუკი სამხედრო მოსამსახურე უკანონოდ მიატოვებს სამხედრო ნაწილს. სამაგიეროდ კონტრაქტში არის ერთი მუხლი, რომელიც ხელისუფლებას, ანუ დამქირავებელს თავდაცვის სამინისტროს სახით, შესაძლებლობას აძლევს, გაწყვიტოს კონტრაქტი. „იგულისხმება ვითარება, რაც ითვალისწინებს ამა თუ იმ სამხედრო ნაწილის გაუქმებას ან მის ბაზაზე სხვა ნაწილის ჩამოყალიბებას. ასეთ შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურესთან თავდაცვის სამინისტროს შეუძლია კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტა. იქაც კანონმდებლობა თავდაცვის სამინისტროს ავალდებულებს სხვა, შესაბამისი, სამსახურით დაკმაყოფილებას“, – ამბობს თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი მამუკა კიკალეიშვილი.



## არის თუ არა მაღალანაზღაურებადი კონტრაქტი პანაცეა ყველა სნეულებისაგან?

სამხედრო დისციპლინის დარღვევის ფაქტებს საქართველოს ხელისუფლება ასევე არ მიიჩნევს ტრაგიკულად. სამხედრო ძალების ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ქვედანაყოფებში წესრიგის დამყარება დროის საქმეა და რომ პროფესიულ ქვედანაყოფებზე გადასვლით „არასაწესდებო“ ურთიერთობების პრობლემას ერთხელ და სამუდამოდ დაესმება წერტილი.

„მე ვერ ვიტყოდი, რომ შეიარაღებულ ძალებში უშუალოდ „დედოვშჩინა“ არის განვითარებული, მაგრამ ეტყობა, ჯარისკაცებს შორის მაინც იჩინა თავი სუსტმა და ძლიერმა მხარეებმა. ამ მხრივ მუშაობა მიმდინარეობს და პრობლემა საბოლოოდ დადებითად გადაიჭრება. საკონტრაქტო სამსახურზე გადადის ბევრი ნაწილი და იქ უკვე ეს პრინციპი აღარ იარსებებს“, – ასე აფასებდა გასულ წელს ვითარებას შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი.

*კობა ლიკლიკაძე,*
*„რადიო თავისუფლება/ თავისუფალი ევროპა“*

# „სროლის პრაქტიკა არავის აწყენდა...“

*ქართველ მამაკაცებს ვერც იარაღის სიყვარულში შეეცილება ვინმე და ბევრი მათგანი იმასაც ამტკიცებს, — ჩემისთანა მსროლელი ჯერ არ დაბადებულა, ტყვიას ტყვიაში ვსვამო. ეს — სიტყვით, თორემ საქმე საქმეზე თუ მიდგა, ბევრი მათგანის გასაჩუმებლად ჩვენი ქვეყნის „მთავარ ჩუბინს“ — ნინო სალუქვაძეს მხოლოდ რამდენიმე წუთი თუ დასჭირდება. რაც უნდა გასაკვირი იყოს, საქართველოს პირველ სნაიპერად ისევ მომხიბვლელი ქალბატონი რჩება, რომელიც უამრავი ტიტულის მფლობელიცაა და სროლის სახეობათა ვიცე-პრეზიდენტობასთან ერთად, მომავალ ოლიმპიადაზე ჩვენი მთავარი იმედიც. სწორედ ნინო სალუქვაძის მონდომების შედეგია თბილისში მოქმედი საქართველოში ერთადერთი ევროპული დონის სასროლეთი, რომელსაც ჩუბინობის მსურველ ახალგაზრდებთან ერთად, „სტეჩკინ“-„მაკაროვიანი“ მოხალისეები და უცხოური დელეგაციებიც ხშირად სტუმრობენ. რა ტიპის იარაღს ანიჭებენ უპირატესობას ქართველი მანდილოსნები და სასარგებლოა თუ არა სროლის წინ ალკოჰოლის მიღება, ამას მისივე სახელობის ტირის ხელმძღვანელთან ინტერვიუდან შეიტყობთ:*



**— ქალბატონო ნინო, ახალი ტირის გახსნიდან ერთი წელი გავიდა. რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში?**

— პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და უწინდებურად სიბნელესა და სიცივეში ვარჯიში აღარ გვიწევს. ახალი დარბაზი ისე სწრაფად „დაგვეტყო“, რომ მისი გახსნიდან ორ თვეში ქართველ გოგონათა გუნდმა ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა. საქართველოს ისტორიაში მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა...

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ ერთი წელია ვარჯიშობენ, უკვე გამოიკვეთა რამდენიმე პერსპექტიული მსროლელი. ტირში შეჯიბრებებსაც ვატარებთ, ახალგაზრდები ნელ-ნელა ეჩვევიან გარემოს, რომელშიც სხვადასხვა რანგის ტურნირებზე მოუწევთ ყოფნა.

**— ახალ ტირთან ერთად ახალი იარაღებიც შეიძინეთ?**

— ნაწილი ახალია, დანარჩენი კი ჩემი ძველი იარაღი. „ძველს“ პირობითად ვამბობ, თორემ ყველა მათგანი აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. იარაღს ხშირად მჩუქნიდნენ, ყველა მათგანი ტირს გადავეცი და საჭიროებისამებრ ვიყენებთ. სპორტული პისტოლეტებიდან გვაქვს „ბინელი“, „მორინი“, „ფაინვერკბაუ“. რაც შეეხება პნევმატურ პისტოლეტებს, ვიყენებთ „მორინის“, „შტაიერის“ და „ფაინვერკბაუს“ მარკის იარაღს. გვაქვს „იჟებიც“, მაგრამ მათ დამწყებ მსროლელებს თუ „ვანდობთ“ ხოლმე.

**— ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტობა და ტირის ხელმძღვანელობა ვარჯიშში ხელს არ გიშლით?**

— საორგანიზაციო თუ სხვა სახის საკითხები დიდ დროს მართმევს, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ვარჯიშს მაინც ვახერხებ. თანამშრომლებიც მიწყობენ ხელს.



ქალბატონები ჩვენს ტირში მეუღლეებთან ერთად დადიან და არცთუ იშვიათად მათზე უკეთაც ისვრიან



გოგონებიც საკმაოდ გვყავს, თუმცა ამ ბოლო დროს მათ ვაჟები სჭარბობენ. ისინი თავის სიტყვას აუცილებლად იტყვიან...

— **ტირს შეჯიბრებების ჩასატარებლადაც ხომ იყენებთ?**

– რა თქმა უნდა, მაგრამ მხოლოდ პატარა შეჯიბრებისთვის, რადგან დარბაზში ფარების რაოდენობაა ცოტა – ხუთ-ხუთი პნევმატური და სპორტული პისტოლეტებიდან სროლისთვის. სერიოზული ტურნირების ჩასატარებლად თითოეული ტიპის პისტოლეტისთვის 60-70 ფარი მაინც უნდა იყოს ტირში. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო რანგის პატარა ტურნირების მასპინძლობა ახლაც შეგვიძლია.

— **როგორც ვიცი, იმათ გარდა, ვინც თქვენთან ვარჯიშობენ, ტირში სროლის მოყვარულებიც საკმაოდ დადიან და ისინიც, ვისაც მოზღვავებული აგრესიის დახარჯვა სასროლეთში სურთ...**

– დიახ, მოხალისე მსროლელები საკმაოდ გვყავს. ქართველ „სნაიპერებთან“ ერთად ჩამოსულებიც ხშირად გვსტუმრობენ, მაგალითად, ახლახან წავიდა აზერბაიჯანელთა ჯგუფი.

— **ცნობილი ადამიანები თუ დადიან თქვენს დარბაზში?**

– ხელშეკრულება რამდენიმე ბანკთან გვაქვს გაფორმებული და მათი დაცვის



ფაინვერკბაუ

XP-30




შტაიერი




სერიოზული ტურნირების ჩასატარებლად თითოეული ტიპის პისტოლეტისთვის 60-70 ფარი მაინც უნდა იყოს ტირში. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო რანგის პატარა ტურნირების მასპინძლობა ახლაც შეგვიძლია...



თანამშრომლებს ვავარჯიშებთ სროლაში. ბანკის მმართველებიც გვსტუმრობენ ხოლმე გასართობად, ზოგიერთი დაცვის თანხლებითაც კი...

ისე, ფსიქოლოგები ხშირად აღნიშნავენ, რომ სროლა განმუხტვისთვის და აგრესიული ენერგიის დასახარჯავად იდეალური საშუალებაა. ეს რომ იცოდნენ, ალბათ, ტირს უფრო მეტი სტუმარი ეყოლებოდა.

— **სროლის მსურველი ქალებიც გყავთ?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, საკმაოდ ბევრი. საქართველოში იარაღი ლამის ყველა მამაკაცს უყვარს და ვფიქრობდი, უმრავლესობა სწორედ ძლიერი სქესის წარმომადგენლები იქნებოდნენ, მაგრამ... ქალბატონები ჩვენს ტირში მეუღლეებთან ერთად დადიან და არცთუ იშვიათად მათზე უკეთაც ისვრიან. მათთვის საბრძოლო იარაღით სროლა საკმაოდ რთულია, რადგან ძლიერი უკუცემა აქვს და ამიტომ უპირატესობას სპორტულ და პნევმატურ პისტოლეტებს ანიჭებენ. თუმცა მიჩვევის შემდეგ ყველანაირი ტიპის იარაღიდან სროლა გიადვილდება.

— **ქალი და იარაღი თქვენში რა ასოციაციას იწვევს...**

— სროლაში მცირეოდენი პრაქტიკა არავის აწყენდა — არც მამაკაცებსა და არც ქალებს. თავის დროზე სროლის სექციები დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჩვენს ქვეყანაში, ბავშვები სკოლის ასაკიდან მიჰყავდათ ტირში და ეს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ბრძოლებშიც გამოჩნდა. ყველა, ვისაც ამ სახეობაში პრაქტიკა ჰქონდა მიღებული, ორივე კონფლიქტის დროს იბრძოდა და ბევრი მათგანის თავიდან მოსაშორებლად მოწინააღმდეგე მხარეს პრემიებიც კი ჰქონდა დაწესებული. გულდასაწყვეტია, რომ არმიის სპორტული კლუბი აღარ არსებობს და არც სახელმწიფო აქცევს ამ საკითხს ყურადღებას.

— **აღნიშნეთ, რომ ტირს ქალები ხშირად სტუმრობენ. მოსწავლეებს შორის თუ შეიმჩნევა გოგონათა სიმრავლე?**

— გოგონებიც საკმაოდ გვყავს, თუმცა ამ ბოლო დროს მათ ვაჟები სჭარბობენ. პერსპექტიული მოსწავლეები გვყავს, ჯერ მათი საერთაშორისო არენაზე გაყვანა ნაადრევია, მაგრამ თავის სიტყვას აუცილებლად იტყვიან.

— **რაკი დამწყებ მსროლელებზე ჩამოვარდა სიტყვა, თქვენი პირველი იარაღიც გაიხსენეთ...**

— „მარგოლინი“... სროლის შესასწავლად ეს ძალიან კარგი იარაღია. თანაც ჩემი საკმაოდ მოდერნიზებული გახლდათ — სიმძიმეებით, ხის სახელურით. სპორტის საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი სწორედ იმ იარაღით ჩავაბარე და მისი გამოცვლა არც მსურდა. თუმცა მერე რუსული წარმოების XP-30 მომცეს, რომელსაც დღესაც უმაღლესი კლასის იარაღად ვთვლი. სხვათა შორის, თავდაპირველად ამ პისტოლეტით არაფერი გამომდიოდა და მამა იძულებული გახდა, ჩემთვის „ულტიმატუმი“ წამოეყენებინა — ერთ ცდას გაძლევ, თუ 97 ქულას აიღებ, ამ იარაღს დაგიტოვებ, არა და, დაემშვიდობეო...

ათი გასროლიდან 97 ქულა უნდა მომეგროვებინა და ჩემი გაჭირვება მაშინ უნდა გენახათ, პირველი სამი სროლიდან სამივე „ცხრიანს“ რომ მოვარტყი. საბედნიეროდ, დარჩენილი შვიდივე ტყვია „ათიანში“ გავუშვი და სანუკვარი პისტოლეტის მფლობელიც გავხდი.

მოგვიანებით, ოლიმპიადის წინ, თავისი ხელით გაკეთებული იარაღი ამ პისტოლეტის შემქმნელმა — ჰაიდუროვ რაზარიანოვმა (XP სწორედ მისი ინიციალებია) მაჩუქა. თუმცა ოლიმპიადაზე ძველი პისტოლეტით გამოვედი, რადგან ახალ იარაღს 6 თვე მაინც სჭირდება შესაჩვევად. საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა, ნაზარიანოვის ნაჩუქარი პისტოლეტი ჩამომართვეს. ახლა XP-ს გერმანელები აწარმოებენ და მათი გამოშვებული სამი პისტოლეტი ტირში გვაქვს.

— **იქ მოსვლა ნებისმიერ მსურველს შეუძლია?**

— თუ საკუთარი იარაღით მოდის, მისი ტარების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს ვთხოვთ. ვისაც არ აქვს, ჩვენს პისტოლეტებს ვთავაზობთ.

— **ალბათ, ტირში სახალისო ისტორიების მოწმეც ხშირად ხართ...**

— სასაცილო ამბები მართლაც ხშირად ხდება. ცოტა ხნის წინ ჰოლანდიელი ტურისტები გვეწვივნენ. სანამ სროლას დაიწყებდნენ, კონიაკით გავუმასპინძლდით. თავიდან კი იუარეს, მაგრამ მერე გაუტკბათ და იმდენი მიაყოლეს, „საქმეზე“ რომ გადავიდნენ, ლამის ყველა ტყვია „ათიანში“ ჩასვეს...

**რატი შელეგია**



**საორგანიზაციო თუ სხვა სახის საკითხები დიდ დროს მართმევს, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ვარჯიშს მაინც ვახერხებ**

# „ბრედლი“ — ომის ტაქსი

## ამერიკელი ქვეითების „მობილური ჯავშანი“



მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე, სანამ ბრძოლის ხაზამდე მიაღწევდნენ, ქვეითთა არცთუ მცირე რაოდენობა იღუპებოდა. აუცილებელი იყო ისეთი ჯავშნიანი მანქანის შექმნა, რომელიც ქვეითებს მოწინააღმდეგის ტყვიებისგან და ჭურვების ნამსხვრევებისგან დაიცავდა და ქვეითთა დესანტირებას ფრონტის ხაზთან რაც შეიძლება ახლოს მოახდენდა.

ომის ბოლო წლებში გერმანელებსა და დასავლელ მოკავშირეებს შეიარაღებაში უკვე საკმაოდ ჰყავდათ ჯავშანტრანსპორტიორები, რომლებიც ქვეითებს ტყვიებისგან მაინც იცავდნენ. მხოლოდ საბჭოთა არმია რჩებოდა ჯავშანტრანსპორტიორების გარეშე, ამიტომაც ომის კინოქრონიკაში ძალიან ხშირად გვხვდება კადრები ჯარისკაცებით დახუნძლული T-34-ი ტანკებისა, რომლებსაც სამხედროები ასე, ტყვიების წვიმაში, ფრონტის ხაზამდე დაუცველად გადაჰყავდათ. შესაბამისად, საბჭოთა არმიის დანაკარგები ყოველი შეტევითი ოპერაციის დროს მნიშვნელოვანი იყო.

მე-20 საუკუნის 60-იან წლებში დღის წესრიგში დადგა არა მარტო ქვეითების ფრონტის ხაზამდე ჯავშანტრანსპორტიორით მიყვანა, არამედ შეტევაზე გადასული ჯარისკაცების მხარდაჭერა ინტენსიური ცეცხლით. ჯავშანტრანსპორტიორების ტყვიამფრქვევები ამისთვის ნაკლებად გამოდგებოდა, საჭირო იყო უფრო მძიმე და ძლიერი იარაღის დამონტაჟება.

ასე შეიქმნა ქვეითთა საბრძოლო მანქანების კლასი. პირველად საბჭოთა არმიამ მიიღო შეიარაღებული БМП-1 ტიპის ქვეითთა საბრძოლო მანქანა, რომელსაც რამდენიმე წელში პენტაგონის საპასუხო სვლა მოჰყვა „ბრედლის“ სახით.

თავდაპირველად ამერიკელი გენერლები რამდენიმე წელი უშედეგოდ ცდილობდნენ, ცნობილი ამერიკული ჯავშანტრანსპორტიორი, VV3 მოდერნიზების შედეგად პირველ ამერიკულ ქვეითთა საბრძოლო მანქანად ექციათ, თუმცა საბოლოოდ მაინც „ბრედლიზე“ შეჩერდნენ.

გენერალი ომარ ბრედლი მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ამერიკელი გენერალი გახლდათ და მისი სახელის მინიჭება ქვეითთა საბრძოლო მანქანისთვის ამ პროექტის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებდა, რადგან მანამდე გენერლების სახელს პენტაგონი მხოლოდ ტანკებს ანიჭებდა.

1981 წლიდან ამერიკული არმიის შეიარაღებაში პირველი „ბრედლები“ გამოჩნდნენ, ორი მოდიფიკაციის სახით: M2 — როგორც ქვეითთა საბრძოლო მანქანა და მისი სადაზვერვო მოდიფიკაცია M3.

„ბრედლის“ კონსტრუქცია ძალიან წააგავს საბჭოთა БМП-ს, რაც დიდად გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან ეს



ერაყში მიმდინარე პარტიზანულმა ომმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ჯავშანმანქანაში მოთავსებულ სამხედროებს დამატებითი დაცვა არ აწყენდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავად საბრძოლო მანქანის დანიშნულებითაა ნაკარნახები. ქვეითების დესანტირება მანქანის უკანა კარიდან უნდა ხდებოდეს, რათა ისინი მტრის ცეცხლში არ მოყვნენ. ამიტომაც მსოფლიოში არსებულ თითქმის ყველა ქვეითთა საბრძოლო მანქანას სადესანტო კარი უკან, ხოლო ძრავა კი წინ აქვს განთავსებული (ერთგვარ გამონაკლისს თანამედროვე რუსული ქვეითთა საბრძოლო მანქანა ММ3 წარმოადგენს, რომელსაც ძრავაც და სადესანტო კარიც უკან აქვს განთავსებული, რაც ბევრ უხერხულობას ქმნის დესანტირების დროს).



ჩვენი დოსიე: „ბრედლი" ასფალტირებულ გზაზე მაქსიმალურ, 66 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს, ხოლო მდგარ წყალში 7 კმ/სთ სიჩქარით მიცურავს.

„ბრედლის" წინა მარცხენა ნაწილში მძღოლ-მექანიკოსის ადგილია, მარჯვნიდან მას 8-ცილინდრიანი დიზელის ძრავა ესაზღვრება. „ბრედლის" კოშკურაში 25მმ კალიბრიანი ავტომატური ქვემეხი და 7,62 მმ კალიბრიანი ტყვიამფრქვევი და ტანკსაწინაალმდეგო რაკეტების გასაშვები მოწყობილობაა დამონტაჟებული. ამ კოშკურაშივეა განთავსებული დამიზნებისა და მეთაურის ადგილები. კოშკურის უკან სადესანტო ნაკვეთური იწყება, რომელიც 6 მედესანტეზეა გათვლილი. „ბრედლის" პირველ მოდიფიკაციას სადესანტო ნაკვეთურის კედლებში 5,56მმ კალიბრიანი М231 ტიპის ავტომატები იყო დამონტაჟებული. თუკი ჯარისკაცები „კალაშნიკოვებს" საბჭოთა БМП-ს სადესანტო ნაკვეთებიდან სპეციალურ სათოფეებში ყოფდნენ და ისე ისროდნენ, ამერიკელმა კონსტრუქტორებმა სხვა ხერხს მიმართეს. მათ М16А2 ტიპის ავტომატურ შაშხანებს ლულები დაუმსხვილეს, კონდახი მოხსნეს და ისე დაამონტაჟეს „ბრედლის" კორპუსის კედლებში; ანუ ჯარისკაცები თავიანთი საშტატო М16-ებით კი სხდებოდნენ „ბრედლიში", მაგრამ სროლისთვის მათ ვერ გამოიყენებდნენ, რადგან სათოფურებში უკვე დამონტაჟებული იყო М231 ტიპის სპეციალური ავტომატები. მოგვიანებით, როდესაც დღის წესრიგში დადგა „ბრედლის" ჯავშნის გაზრდა, სათოფურები ამოქოლეს.

„ბრედლი" თავიდანვე გამოირჩეოდა დაცულობით. მისი ჯავშანი ალუმინის შენადნობისგანაა დამზადებული, რომელშიც შერეულია ქრომი, მაგნიუმი, თუთია. ეს ჯავშანი რკინისაზე 10-15%-ით უფრო მსუბუქია. „ბრედლის" კორპუსის გვერდები, ძირითადად, გათვლილი იყო პოტენციური მოწინააღმდეგის – საბჭოთა ჯავშანტრანსპორტიორებზე დაყენებულ, КПБТ ტიპის 14,5მმ კალიბრის ტყვიამფრქვევების ტყვიების შეჩერებაზე.

მოგვიანებით „ბრედლი" მსოფლიოში პირველ ქვეითთა საბრძოლო მანქანად იქცა, რომელზეც ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების კუმულაციური ქობინების „მოსაგერიებელი" დინამიკური დაცვის ელემენტები დააყენეს. თითოეულ „ბრედლიზე" 43 ასეთი ელემენტია. საერთოდ, ტანკებისგან განსხვავებით, ჯავშანტრანსპორტიორებსა და ქვეითთა საბრძოლო მანქანებზე იმიტომ ვერ აყენებენ დინამიკური დაცვის ელემენტებს, რომ მათი აფეთქების ტალღა წინა მიმართულების გარდა უკანაც



მართალია „ბრედლი" საკმაოდ კარგად ცურავს, მაგრამ „ფეხის დასველებას" მაინც ერიდება



სადესანტო ნაკვეთურში საკმაოდ დიდი ფართია, ასე რომ, ქვეითები მის დატოვებას არ ჩქარობენ-ხოლმე





3კმ-ის დაშორებიდან „ტოუს“ რაკეტას 600 მმ სისქის ჰომოგენური ჯავშნის გახვრეტა შეუძლია.





**ჩვენი დოსიე:** 22,5-ტონიანი ამერიკული ქვეითთა საბრძოლო მანქანის M2 Bradley-ს ეკიპაჟი 9 კაცისგან შედგება, მათ შორის 6 მედესანტეა. საბრძოლო მანქანა შეიარაღებულია 25მმ-იანი ავტომატური ქვემეხით (900 ჭურვის ძრავათი), რომლიდანაც გასროლილ ჯავშანგამტან ჭურვს 2,5 კმ-ის სიშორიდან რუსული БМП-1-ის გვერდითი ჯავშნის გახვრეტა შეუძლია. ქვემეხთან შეწყვილებული 7,62მმ-იანი ტყვიამფრქვევის ვაზნების რაოდენობა 2340-ს აღწევს. „ბრედლის“ კოშკურის მარცხენა გვერდზე ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები TOW-ების ორი გასაშვებია დამონტაჟებული. „ტოუს“ კიდევ ხუთი რაკეტა კი მანქანის სადესანტო ნაკვეთურში ინახება. 3კმ-ის დაშორებიდან „ტოუს“ რაკეტას 600 მმ სისქის ჰომოგენური ჯავშნის გახვრეტა შეუძლია.

ვრცელდება და ამტვრევს ქვეით საბრძოლო მანქანების შედარებით (ტანკებთან) სუსტ ჯავშანს. „ბრედლიზე“ კი ებრაელი კონსტრუქტორების დახმარებით შეიმუშავეს ისეთი დაცვის სისტემა, რომელმაც ეს პრობლემა მოხსნა. „ბრედლის“ უნივერსალურობა (ძლიერი ჯავშანი და შეიარაღება) პენტაგონს ძვირად დაუჯდა, რადგან მანქანის მასამ 22 ტონას გადააჭარბა (შედარებისთვის: რუსული БМП-2-ის მასა სულ 14 ტონაა და მხოლოდ БМП-3 აჭარბებს 18 ტონას). ამის გამო ბრედლის საჰაერო გზით ტრანსპორტირება ყველაზე გავრცელებულ ამერიკულ საშუალო სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავს C-130 „ჰერკულესს“ არ შეუძლია.

ერაყში მიმდინარე პარტიზანულმა ომმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ჯავშანმანქანაში მოთავსებულ სამხედროებს დამატებითი დაცვა არ აწყენდათ, ამიტომაც „ბრედლის“ ეკიპაჟები მანქანის კორპუსს გარედან ათასნაირი ტვირთით „ამშვენებენ“ – წყლის დამატებითი ავზებით, სათადარიგო ნაწილების ყუთებით, დასაკეცი საწოლებით და ა.შ. ჯარისკაცებს თითოეული ეს ნივთი შეიძლება მხსნელად მოევლინოთ, თუკი მათ ერაყელი პარტიზანის მიერ გამოსროლილი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა მოხვდათ.

*ირაკლი ალადაშვილი*

# BRADLEY



# შოტლანდიელი არისტოკრატი

## კოლი – ფაქიზი და თვინიერი თუ დაპროგრამებული რობოტი



მე-18 საუკუნის დამდეგს შოტლანდიელი გლეხები მეტწილად მესაქონლეობას ეწეოდნენ და ბუნებრივია, მწყემსი ძაღლებიც ეყოლებოდათ, თუმცა მათ შესახებ არანაირი წერილობითი დოკუმენტი არ არის შემორჩენილი. მას შემდეგ, რაც ინგლისმა საბოლოოდ დაიპყრო, შოტლანდიის ნაციონალური კულტურა და ცხოვრების წესი მიზანმიმართულად იდევნებოდა. ინგლისელები შოტლანდიელებს ძირძველი საცხოვრისიდან აძევებდნენ. დევნილები თან მიერეკებოდნენ ცხვრის ფარებს. მათ მიჰყვებოდნენ მეცხვარე ძაღლებიც. მოგვიანებით ამ ჯიშს შოტლანდიური ნაგაზი, იგივე კოლი ეწოდა (კოლს შავ ცხვარს ეძახდნენ შოტლანდიელები, ძაღლს კი „collie dog“-ს, შავი ცხვრის ფარის მწყემს ძაღლს). სავარაუდოდ, ძაღლის ეს ჯიში შოტლანდიაში ისლანდიიდან არის შეყვანილი და ირლანდიური სეტერისა და მწევრის ნაჯვარია.






შოტლანდიური ნაგაზი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინგლისში ძაღლების პირველი გამოფენა 1859 წელს, ბირმინგემში გაიმართა, ერთი წლის შემდეგ კი სპეციალური კლასიც შეიქმნა ნაგაზებისთვის. ამ დროისთვის კოლი საკმაოდ პოპულარული იყო — ჭკვიან, დამჯერ და ამასთან, ლამაზ ძაღლს ქალაქელები გლეხებისგან სიამოვნებით ყიდულობდნენ.

კოლის ბუმი მას შემდეგ დაიწყო, რაც დედოფალმა ვიქტორიამ ეს გონიერი ძაღლი სამეფო ფარის მწყემსვისას ნახა. დედოფალს ისე მოეწონა შოტლანდიური ნაგაზი, რომ რამდენიმე სასახლეშიც წაიყვანა. ქვეყნის უმაღლესი პირის ყურადღებამ კოლის შემდგომი ბედი განსაზღვრა — ჯიშიანი ძაღლების მოყვარულებმა და მცოდნეებმა ფერმერებისგან შოტლანდიური ნაგაზები იყიდეს და მათ მოშენებას მიჰყვეს ხელი.

იმ იერით, რომლითაც დღეს ვიცნობთ, კოლი 1885 წელს, მრავალწლიანი სელექციური მუშაობის შედეგად გამოჩნდა. 1891 წელს კოლი-კლუბმა დაამტკიცა ამ ჯიშის პირველი სტანდარტი, რომელიც რამდენიმეჯერ შეიცვალა, საბოლოო სახე კი მან 1962 წელს მიიღო.

თუკი ამ ძაღლის პოპულარობას შოტლანდიასა თუ ინგლისში მეტ-ნაკლებად შეუწყო ხელი დედოფალ ვიქტორიას აღიარებამ, მე-20 საუკუნეში ამერიკულმა ფილმმა „ლესიმ", სადაც მთავარ როლს კოლი, სახელად ლედი ასრულებდა, მას უამრავი თაყვანისმცემელი შესძინა.

ამ ძაღლის დანიშნულება ცხვრის მწყემსვაა. მართალია, ბოლო დროს მეცხვარე კოლი დეკორატიული ძაღლის როლს ასრულებს, მაგრამ ამავდროულად მას პოლიციელი ან მცველი ძაღლის ფუნქციის შესრულებაც შეუძლია, გარდა ამისა, შესანიშნავი გამყოლიც არის უსინათლოთათვის (მეორე მსოფლიო ომის დროს კოლები საუკეთესო სანიტრები იყვნენ).

შოტლანდიური ნაგაზი ძლიერი, ლამაზი, მოძრავი, პროპორციული ძაღლია, რომელსაც საყელოსავით შემოვლებული ბეწვი ამშვენებს. სქელი, გრძელი, ადგილ-ადგილ დატალღული ბალანი აქვს. გვხვდება წითური, თეთრშერეული, შავ-თეთრი შეფერილობის შოტლანდიური ნაგაზები.

კოლი რომ დანიშნულებისამებრ გამოიყენოთ, ძლიერი და მოძრავი უნდა იყოს. ხვადის სიმაღლე 56 სმ-ია, ძუსი — 51-56, წონა — 20,5-30 კგ, ძუსი — 18-25 კგ. აქვს ძლიერი მუსკულატურა, მოგრძო, ვიწრო თავი, რომელიც ყურებს შორის ფართოა და თვალებისკენ თანდათან ვიწროვდება. პროფილში ცხვირი თითქოს სწორიც კი ჩანს. დრუნჩი, ნებისმიერი შეფერილობის მიუხედავად, ყოველთვის შავი ფერისაა. ოვალური, მუქი ყავისფერი თვალები და დაკუნთული, გრძელი, მაღლა აშვერილი კისერი აქვს. ყურები სამკუთხედის ფორმისაა, დაშვებული ბოლოებით. აქვს ღრმა მკერდი, შეწეული მუცელი, ოვალური ფორმის თათები.

კოლი ბრძენი და კეთილშობილი ძაღლია. ის ძალზე კონტაქტურია. არის დამჯერი და პატრონის უსაზღვროდ ერთგული. ნამდვილი არისტოკრატია, რაც გამოიხატება მისი სიარულის მანერითაც, აუჩქარებელი, დინჯი და მსუბუქი მოძრაობით. კოლი საოცრად კეთილგანწყობილი ძაღლია, ძალიან უყვარს ბავშვები, არასოდეს გააბრაზებს მათ, პირიქით, პატარებს გარე სამყაროს შეცნობაში ეხმარება. ძალიან მხიარულია, განსაკუთრებით ლეკვობაში, ამ დროს სიამოვნებით ერთვება ბავშვებთან თამაშში. არა მარტო კარგი კომპანიონი და მეგზური, არამედ საუკეთესო მცველიც არის.

კოლთან იოლია საერთო ენის გამონახვა. ამ ძაღლს მხოლოდ ორი რამ უნდა — ოჯახში ცხოვრება და ბევრი მოძრაობა. უყვარს სისუფთავე, ყოველთვის კოხტად გამოიყურება. თუმცა მისი სიკოხტავე დიდად არის დამოკიდებული პატრონზე, რადგან კოლი დიდ ყურადღებას მოითხოვს, — გრძელბეწვიანია და ყოველდღიურად დავარცხნას საჭიროებს. სუსხიანი შოტლანდიური კლიმატის გადატანა სწორედ ბეწვის წყალობით შეუძლია. არ უყვარს მარტოობა. საკმარისია რამდენიმე საათით ვოლიერში გამოკეტოთ, რომ დეპრესიაში ვარდება. კოლის ხშირად რობოტს ადარებენ.



არსებობს მოკლებეწვიანი შოტლანდიური ნაგაზიც, რომელსაც შელტს უწოდე-

ბენ. იგი ზუსტი ასლია კოლისა, თუმცა მისგან განსხვავებით მინიატიურულია და დეკორატიული ჯიშის ძაღლებს მიეკუთვნება. კოლი და შელტი მონათესავე ჯიშის ძაღლებია (იმას კი, რატომ ეშლებათ კოლი შელტიში, ამას ქვემოთ შეიტყობთ).

რატომ უწოდებენ შოტლანდიურ ნაგაზებს რობოტებს, რითი განსხვავდებიან სხვა ძაღლებისაგან, როგორ უნდა მოუაროთ და შევარჩიოთ ისინი, ამის შესახებ კინოლოგი ირაკლი ოყროშიძე გვიამბობს:

**— ბატონო ირაკლი, საქართველოში როდის შემოვიდა შოტლანდიური ნაგაზი?**

– 1976-77 წლებში დაიწყო საქართველოში კოლის მასობრივად შემოსვლა, მანამდე კანტიკუნტად თუ შევხვდებოდით.

**— რა დანიშნულების ძაღლია?**

– გერმანული ნაგაზივით სამოსამსახურო ძაღლია. შოტლანდიაში პოლიციაში იყენებენ. ისე კი ამ ძაღლს რა დანიშნულებითაც გჭირდებათ, იმ დანიშნულებით გამოიყენებთ – გნებავთ, სადარაჯოდ, გნებავთ, პოლიციაში. ძალიან კარგი ძაღლია, მაგრამ ჩვენთან ეს ჯიში გააფუჭეს, დეკორატიულ ძაღლად აქციეს.

**— დღეს რამდენად პოპულარულია კოლი საქართველოში?**

– დღეს იშვიათად შეხვდებით, რადგან ძნელი მოსავლელია გრძელი ბეწვის გამო. გარდა ამისა, გადაჯიშდნენ, – ის თვისებები დაკარგეს, რაც საქართველოში შემოსვლისას ახასიათებდათ. ათიდან ერთს თუ ამორჩევ ისეთს, საქმეში რომ გამოიყენო.

**— ხშირად კოლი და შელტი ერთმანეთში ერევათ, რატომ?**

– იერით თითქმის ერთნაირები არიან, მაგრამ განმასხვავებელი ნიშნები აქვთ. როგორც წესი, კოლის ყელზე ბეწვის უწყვეტი „საყელო" აქვს, შელტის კი არა.



**— კოლის მეცხვარე ძაღლსაც უწოდებენ. ჩვენთან თუ იყენებენ მათ მეცხვარეებში?**

– ჩვენ კავკასიური ნაგაზი გვყავს და რად გვინდა კოლი? შოტლანდიაში კი კოლი ყველაზე საუკეთესო მეცხვარე ძაღლია. კოლი რობოტია, რასაც ასწავლი, იმას აკეთებს, თან ძალიან კარგად. კავკასიურ ნაგაზს კი რომც არ ასწავლო, თავის დანიშნულებას შესანიშნავად ასრულებს. კოლის რა საქმისთვისაც გაწვრთნი, იმ საქმისთვის იმუშავებს.

**— რამდენად ძლიერი ყნოსვა აქვს?**

– სხვათა შორის, კარგი ყნოსვა აქვს. გერმანულ ნაგაზს არაფრით ჩამოუვარდება, ოღონდ უფრო ფაქიზია.

**— როგორი ხასიათი აქვთ?**



– საკმაოდ ავი ძაღლები არიან, მაგრამ უყვართ ოჯახური სიმყუდროვე და ბავშვები. ძალიან ჭკვიანები და ალერსიანები არიან. არ გეგონოთ, ასეთი კარგები იბადებოდნენ – ბევრი რამ არის დამოკიდებული პატრონზე. თუკი არასწორად გაზრდის, პატრონს ძნელად დაემორჩილება.

**— როგორ ემორჩილებიან წვრთნას?**

– სხვა ძაღლებთან შედარებით იოლად გასაწვრთნელები არიან, პატრონს სულ თვალებში შეჰყურებენ, რომ რაიმე ისწავლონ. თუკი სხვა ძაღლს 4-5 თვე სჭირდება გასაწვრთნელად, კოლის 3 თვე ყოფნის. ერთი სიტყვით, მუშა ძაღლია.

**— რამდენად პრინციპულები არიან?**

– კოლი ძალიან მორჩილი ძაღლია და ეს დიდ სიამოვნებას ანიჭებს, თუმცა ამავე დროს ბუტიაცაა.

**— როგორ უნდა მოვუაროთ კოლის?**

– კომფორტულად რომ იგრძნოს თავი, ბევრი შრომა მოგიწევთ. დღეში რამდენჯერმე უნდა დავარცხნოთ, თორემ ბეწვი გაუფუჭდება და ისეე თქვენ დაგაზარალებთ, მთელ სახლს ბეწვით აგივსებთ. რა თქმა უნდა, უნდა აბანაოთ კიდეც. არც ძალიან ხშირად, მაგრამ არც იშვიათად. ამასთან, ბევრი მოძრაობა სჭირდება და დღეში ორჯერ მაინც უნდა ასეირნოთ რამდენიმე საათი. რაც შეეხება კვებას, ამ მხრივ პრობლემას არ შეგიქმნით.

**— რა თვისებებით უნდა შევარჩიოთ კოლი?**

– უპირველესად უნდა იყოს მხიარული და მოძრავი. მისი ხარისხიანობის დამადასტურებელი თვისებები სწორედ ეს არის.

*სალომე გოგოხია*
*მაკა ქობალია*


თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები – მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები,
სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
ბუდაპეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადიანების სამხედრო კოლექცია





რუსული კავალერიის მუზარადი



ფრანგული კავალერიის მუზარადი

**1839-40 წლებში, სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა, საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა, ზუგდიდის სასახლეში დააარსა მუზეუმი. ამავე პერიოდში დაიწყო მან საბრძოლო ხელოვნების ნიმუშების შეგროვება, კოლექციას დროდადრო მისი მეუღლე, შვილები და საგვარეულოს სხვა წარმომადგენლებიც ამდიდრებდნენ.**

დადიანების საბრძოლო ხელოვნების ნიმუშების კოლექცია ფრიად ღირებული რომ იყო, ამას მუზეუმის პირველი დირექტორის, აკაკი ჭანტურიას მოგონებები მეტყველებს. მეცნიერს სასახლეში უნახავს გიორგი სააკაძის ხმალი, ირანის შაჰის 9 საუკუნის დაშნა, შეიხ მანსურ ბეის დამბაჩა და ა.შ.. მემორიალურ იარაღს შორის ყველაზე გამორჩეული ყოფილა სპარსეთის შაჰის ზემოხსენებული დაშნა, მინგრელსკების ძვირფასეულობის სიაში მას მეოთხე ადგილი უკავია და შემდეგნაირად არის აღწერილი: „სპარსეთის შაჰის მიერ სამეგრელოს მთავრებისათვის ნაჩუქარი მოხრილი ხმალი, რომელიც მორთულია ბრილიანტებით და დიდი ზომის ლალით“. იქვე წერია: „ასევე ძვირფასი თვლებით, უმეტესად ფირუზით მორთული ძველი იარაღისა და ხმლების კოლექცია“.

დადიანების სასახლეში დაცული ყოფილა რუსული მემორიალური იარაღიც, თუმცა, იგი 1918 წელს დაკარგულა. აი, როგორ იგონებს ამ ფაქტს ცნობილი პედაგოგი სიმონ გოგიჩაიშვილი: „დედოფლის სასახლის კედლებში ჩაუმარხავი განძეულობიდან ალშიბაიამ (დადიანების მოურავი — ავტ.) დატოვა მხოლოდ რამდენიმე ოქროს საგანი, მათ შორის, რუსეთის მთავრობის ნაჩუქარი ოქროს ხმალი. ეს საგანი მან პეტროგრადში ჩაუტანა ნიკო ნიკოს ძე დადიანს, იფიქრა, გაუჭირდებაო. დადიანი მას იქ დაპატიმრებული დახვდა და ხსენებული საგნები ვლადიმერმა მას საპატიმროში გადასცა, მაგრამ პატიმრობაში მყოფი დადიანი გაუქურდიათ და ეს ძვირფასი საგნებიც მისთვის მოუპარიათ“.

დადიანების სასახლის საბრძოლო ხელოვნების კოლექციაში იარაღის ისტორიის თითქმის ყველა ეტაპი არის ასახული. როგორც ჩანს, იარაღის შეგროვებას აქ საფუძველი ჯერ კიდევ XVII საუკუნეში დაედო. თუმცა, მაშინ ამას სისტემატური ხასიათი არ ჰქონია. XIX საუკუნეში კი დავით დადიანმა ამ პროცესს მიზანმიმართული და ამასთან, სამუზეუმო სახე მისცა. როგორც ჩანს, დავ-

ირანული, ოსმალური და ქართული მუზარადები









ფრანგული ორლულიანი თოფი, დამზ. 1810 წ.



ნიკო დადიანის ქართული საბრძოლო თოფი



ამერიკული ვინჩესტერი




გერმანული ხმლის სოლის გაფორმება

თი სასახლის მეზეუმისათვის იარაღს გან-საზღვრული სისტემით აგროვებდა, ამიტომ კოლექცია შეიძლება პირობითად ჯგუფებად დაიყოს: კავკასიური ცივი იარაღი, კავკასიური ცეცხლსასროლი იარაღი, რუსული ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი, ევროპული, აზიური, აფრიკული და ავსტრალიური საბრძოლო ხელოვნების ნიმუშები, შუბები და არბალეტები, ყუმბარები და ნაღმმტყორცნები, საბრძოლო წარჩინების ნიშნები, მუზარადები, აბჯრები, თავდაცვითი იარაღი, უნაგირები და ძვირფასი მემორიალური საბრძოლო ხელოვნების ნიმუშები.

ცხადია, კოლექციის ყველაზე დიდ ნაწილს კავკასიური ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი წარმოადგენს. აქ თავი მოიყარა საქართველოში XVIII-XIX საუკუნეებში დამზადებულმა ნიმუშებმა, რომელთათვისაც დამახასიათებელია მდიდარი ორნამენტაცია ირანული და ჯვრის ტიპის სადავეებით. ქართულ იარაღზე ლითონის თითქმის ყველა დეტალია გაფორმებული, სადაც ძირითადად ზედაპირული და ჩაჭედვითი ინკრუსტაცია გამოიყენება. ქართული ცივი იარაღისთვის დამახასიათებელია სოლის მასიურობა, რომელიც ზოგჯერ ერთმხრივად, ზოგჯერ კი ორმხრივად არის წამახული. ხმლის შუაში დატანილი ღარი კი იარაღს სიმსუბუქესა და მოქნილობას ანიჭებს. ხშირია შემთხვევა, როცა ნიღრზე დამღა ან განმარტებითი წარწერაა დატანილი. მუზეუმში დაცული ხმლების სიგრძე 44-დან 100 სანტიმეტრამდე მერყეობს. ქართული იარაღისთვის ჩვეულია დამღების მრავალფეროვნება. მაგალითად, ხმლის ტერფებზე იკითხება შემდეგი სახის არაბული წარწერები: „იმუშავა მუჰამედმა ჰიჯრით 1273 წელს“ (ე. ი. 1856 წელს), ან „მთავარია ღვთის წყალობა, გამარჯვება კი თავად მოვა“, ან კიდევ „რაც ღმერთს ენებოს, ის მოხდეს“. ქართულ განმარტებით წარწერათაგან აღსანიშნავია რამდენიმე ნიმუში, რომლებიც XIX საუკუნის სამეგრელოს განთქმულ ოსტატებს მოიხსენიებს. ერთ-ერთი ხმალი (ცი 24), რომლის სადავე მოოქრული ვერცხლისაა, ფრაგმენ-

ქართული ხმლები
(თბილისური სკოლა XIXს)



ფრანგული ოქროს
მახვილები (XIXს)



ჩერქეზული ხმლები
(XIXს)



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტულად არის მოსევადებული და მდიდარი ყვავილფოთლოვანი ორნამენტით გამოირჩევა. იგი ქარქაშიანად 91 სანტიმეტრია და 24 ჰუნი ამშვენებს. ხმლის ტერფზე, სადავის გასაყართან, ლამაზი მხედრულით ასეთი წარწერაა დატანილი: „ძაძამიძი, „კედ". ძაძამიძეთა სკოლა მთელ დასავლეთ საქართველოში იყო განთქმული. გადმოცემის თანახმად, ძაძამიძის ზუგდიდის სახელოსნოში ჩრდილოეთკავკასიელი ბეგებისა და ხანებისთვისაც კი მზადდებოდა იარაღი. ოსტატი, ძირითადად, იყენებდა შავ სევადსა და მდიდრულ ოქროს ზარნიშს. დადიანების სასახლეში დაცულია ისეთი ოსტატების ნამუშევრები, როგორებიცაა მაქსიმე ხურცილავა და ივანე ვარდანიძე.

დამღიან ხმალთაგან აღსანიშნავია კიდევ ერთი საინტერესო ნიმუში (ცი 152). მისი სიგრძე 110, სიგანე კი 8 სანტიმეტრია. ქარქაში მოპირკეთებულია სადაფითა და ორი ვერცხლის ბორჯღალიანი პირამიდით. ხმლის ტერფთან არის ხუთთავიანი დევის გამოსახულება, რომელსაც ხელში ჰოროლი უპყრია. სოლის შუაში კი მოჩანს ზოომორფული ფიგურები. განირჩევა თმაგაშლილი ვაჟკაცისა და აბჯროსანი ყმაწვილის გამოსახულებები. ხმალზე ამოტვიფრულია ასევე ნაყოფიერებისა და ძლიერების სიმბოლო ფალოსი. ეს ხმალი დადიანების იარაღის კოლექციის ერთ-ერთ საუკეთესო ექსპონატს წარმოადგენს. როგორც აღვნიშნეთ, კოლექციაში ბევრია სხვა კავკასიელ ხალხთა იარაღიც. მათგან გამოვყოფდით დაღესტნურსა და ჩერქეზულს.

დაღესტანს ოდითგან კავკასიის იარაღის სამჭედლოს უწოდებდნენ. დაღესტნელი ოსტატები ამზადებდნენ თოფებსა და ხმლებს, ოქრომჭედლები კი ქმნიდნენ განუმეორებელი სინატიფის ზარნიშსა და სევადს. იარაღის წარმოება დაღესტნის ბევრ სოფელში იყო განვითარებული, რომელთაგან ნაწილი ცივი, ნაწილი კი ცეცხლსასროლი იარაღის დამზადებაში დაოსტატდა, ზოგან ორივე დარგს ერთნაირი წარმატებით ფლობდნენ. აქ იარაღის წარმოების იმდენად მნიშვნელოვანი ცენტრები შეიქმნა, რომ ზოგიერთი სოფელი მთელ კავკასიას ამარაგებდა. ზუგდიდის მუზეუმში დაცული უნდა იყოს ყუბაჩში, ლაკეთსა და ავარიაში შექმნილი იარაღი. ისინი, ძირითადად, XVIII-XIX საუკუნეების მიჯნას განეკუთვნება და მათთვის დამახასიათებელია მკაცრად სტილიზებული ორნამენტი, რაც ფოთლებისა და ლამაზი თაიგულების ერთობლიობით გამოიხატება. სადავეები ვერცხლისგან, რქისგან ან ძვლისგან მზადდებოდა. უმეტეს შემთხვევაში, ხმალი ოდნავ მოხრილია და პირი ერთ მხარეს აქვს წამახული. ერთ-ერთ ექსპონატზე, სოლის ორივე მხარეს, შუაში, მთელ გაყოლებაზე არაბულად ყურანის სტრიქონებია დატანილი. აქვე მამაკაცის პორტრეტია გამოსახული. მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ასეთი სახით ხმლებზე იმამ შამილს ხატავდნენ, ზოგიერთი კი ფიქრობს, რომ პორტრეტი შაჰ აბასს მიეკუთვნება. ხმალს აგვირგვინებს არწივისთავიანი სადავე, რაც მთიელებში უძლეველობის სიმბოლო იყო.

დაღესტნურისაგან განსხვავებით, ჩერქეზული იარაღი ნაკლებადაა წარმოდგენილი მუზეუმში. მათი სადაურობის განსაზღვრაც საკმაოდ ძნელია, რადგან ჩერქეზული იარაღის უმეტესობა დაუდამღავია, თუმცა, იდენტიფიცირებაში ორნამენტაცია გვეხმარება. როგორც ცნობილია, ჩერქეზები უმეტესად გეომეტრიულ ფიგურებში ჩახატულ მცენარის ორნამენტს ანიჭებდნენ უპირატესობას. გვხვდება ცხვრის რქის სტილიზებული ფორმაც. ჩერქეზული ხმლის სოლი დაღესტნურთან შედარებით ვიწროა და უფრო ცერად არის წამახული. მართალია, ჩერქეზული დამღები იშვიათობაა, მაგრამ, საბედნიეროდ, დადიანების სასახლეში ერთ-ერთი მათგანი შემორჩენილია. მასზე გამოსახულია ცხენზე ამხედრებული ჰუსარი, ლათინური წარწერით „V. Hussar", („Vivat Hussar"). ეს პრუსიელ ჰუსართა დამღა გახლავთ, რომელიც შვიდწლიანი ომის დროს, 1756-63 წლებში გამოჩნდა და დაახლოებით ამავე პერიოდში იგი ჩერქეზმა ოსტატებმაც გადაიღეს. ამ დამღით დანიშნული ხმალი სოლის მკვეთრი მოხრილობითა და კარგი ალესვით გამოირჩევა.

უმდიდრესია დადიანების სასახლის კავკასიური ცეცხლსასროლი იარაღის კოლექციაც, რომელიც სანადირო და საომარი თოფებისაგან და დამბაჩებისაგან შედგება. თოფების ძირითადი ნაწილი XVIII საუკუნის მეორე ნახევრითა და XIX საუკუნით თარიღდება. ამ პერიოდში მზადდებოდა პატრუქიანი და კაჟისსასხლეტიანი ცეცხლსასროლი იარაღიც. თოფის, ისევე როგორც დამბაჩის, ძირითად ღირსებას ლულა წარმოადგენდა, ამიტომ მისთვის საგანგებოდ არჩევდნენ ფოლადს, რომელიც დამასკიდან ან თურქეთიდან ჩამოჰქონდათ. ლულას ასევადებდნენ ან ოქროთი დაფერავდნენ, მისი წაგრძელებული ფორმა კი კონდახის მიმართულებით სქელდებოდა.

თოფების უმეტესი ნაწილი მდიდარი ორნამენტაციით გამოირჩევა. ორნამენტი ლულებზე ე. წ. ჩაჭედვის ან გადაკვრის მეთოდითაა შესრულებული. ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცული თოფები, ძირითადად, სამეგრელოს მთავრის, დავითისა და მისი ვაჟების, ნიკო და ანდრია დადიანების კუთვნილებაა. თუმცა, რამდენიმე ექსპონატი მიურატებსაც და სამეგრელოს სხვა წარჩინებულ თავადებსაც უნდა ეკუთვნოდეს. ნივთებს მხატვრული ღირებულების გარდა, განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობაც აქვს, რადგან ამ იარაღით 1828-29 წლებში ქართველები იბრძოდნენ ყარსისა და არზრუმის მისადგომებთან. ამ იარაღმა გამოიარა ყირიმის ომი და სამეგრელოს სამთავრო თურქ-ოსმალთაგან გაათავისუფლა. ამ იარაღს ახსოვს დუნაის ფორსირება და 1877-78 წლების ბალკანეთის გმირული ეპოპეა – სადაც სამეგრელოს უბრწყინვალესმა თავადმა ნიკო დადიანმა ვაჟკაცობითა და გმირობით ისახელა თავი.

მუზეუმში არის კავკასიის მეხუთე მსროლელი რეგულარული ბატალიონის წევრთა ნაქონი იარაღიც. ბატალიონი 1899 წელს ჩამოყალიბდა. მთიელების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი წარმატებისთვის მან მიიღო ხუთი უმაღლესი საიმპერიო ჯილდო. პოლკი ელიტური იყო და იმპერიის უმაღლესი მთავარსარდლობის განკარგულების თანახმად იქ სამსახური მხოლოდ ქართველებს შეეძლოთ.

მუზეუმში დაცული თოფების განუყრელ ნაწილს წარმოადგენს ე. წ. დამხმარე ხელსაწყოები, ანუ ლულის საწმენდები, კაჟები და საპირწამლეები.

ზუგდიდში დაცული ცეცხლსასროლი იარაღის სასხლეტები არცთუ ისე დიდი ზომისაა. მათი სიგრძე და სიგანე 60-დან 90 მილიმეტრამდე მერყეობს, უმეტესად გაფორმებულია ოქრო-ვერცხლის ყვავილფოთლოვანი ორნამენტით. ლულებზე სამიზნეები, ძირითადად, თურქული ტიპისაა, უძრავი და ერთი ხვრელით. თოფების კონდახები მასიური ხისგანაა გამოთლილი და ოვალური საჭდევებით გამოირჩევა. მათზე ორნამენტები ყოველთვის განსაკუთრებით უხვად და ლამაზად დაჰქონდათ.

თოფებთან შედარებით კოლექციაში დამბაჩები უფრო მრავალფეროვანია. მათ ლულებზე ორნამენტი ღრმა ჩაჭედვის მეთოდით, ევროპული სტილითაა შესრულებული. კონდახი ორი ტიპისაა. პირველი ცელისებრია, ანუ მოხრილი ლითონისა, რომელიც ლულის თავისებურ გაგრძელებას წარმოადგენს და ბოლოში ბურთულით, ე. წ. დუმით სრულდება. თუ დუმა ვერცხლისაა, იგი მდიდრულადაა გაფორმებული, თუ ძვლისა, მხოლოდ ხისტადაა დამუშავებული. კონდახის მეორე ტიპი ხის მართკუთხედის ფორმის არის, ფართო საჭდევით და სადაფით ან ვერცხლის ფირფიტებითაა გაფორმებული. ნიშანდობლივია, რომ კავკასიურ იარაღს რუსულთან შედარებით საცეცხლე მოქმედების არეალი უფრო ფართო ჰქონდა (დაახლოებით 60 მეტრი), ამიტომ მიზანში მოხვედრის ალბათობაც მეტი იყო.

აღნიშვნის ღირსია დადიანების სასახლის რუსული და ევროპული იარაღის ნიმუშები.

მუზეუმში დაცული რუსული ხმლები მკვეთრად განსხვავდება კავკასიურისაგან. რუსმა ოსტატებმა საუკუნეების განმავლობაში შექმნეს მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი მეთოდი, რაც იარაღის გაფორმების სირთულეს გულისხმობს. სევადისა და ზარნიშის გარდა, რუსი ოსტატები იყენებდნენ ფერად ემალსა და ლითონის დრაპირებასაც

მიმართავდნენ.

რუსეთის არმიის მძიმე კავალერიისათვის ცივი იარაღის ძირითად სახეს პალაში წარმოადგენდა, რუს ქვეითებში კი მეტი უპირატესობა დაშნას ენიჭებოდა. XIX საუკუნეში მასობრივად იწყება ევროპული ტიპის ხმლების გამოყენება.

სოლის ტიპებიდან გამომდინარე, არმიის ხმლები სამ ნაწილად იყოფა. ესენია: დაშნები, რომელთაც ატარებდნენ ოფიცრები და სამხედრო მოხელეები, პალაშები მძიმე კავალერიისათვის და საკუთრივ ხმლები, რომლებითაც შეიარაღებული იყო მსუბუქი კავალერია და ქვეითი ჯარი.

რუსეთში საბრძოლო იარაღის წარმოების მეტი წილი ქალაქ ტულასა და ზლატოუსტზე მოდიოდა. იქ დამზადებული იარაღიდან გამოვყოფდით დამბაჩას (ცი 183) ირმის დამლითა და მემორიალური ოქროს წარწერით: „Въ Туле Петръ Больтяков. Въ память свидания в Бомбораз 9-го августа 1845 года“.

ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია 1891 წლის რუსული სამშაშხიანი შაშხანა (№280783) წარწერით: „Императорский Тульский оружейный завод“, ან სანადირო თოფი წარწერით: „Акима Тимофеев Воронцова Мануфактура“. როგორც ჩანს, ამ პერიოდში ოსტატები ხშირად ლულებს ქარხნებში უკვეთდნენ, ამიტომ იარაღზე ავტორის ხელმოწერასთან ერთად ქარხნის დამღაცაა გამოსახული.

მეტად საინტერესოა სასახლეში დაცული შაშხანები. მათი ნაწილი რუსულ არმიაში 1869 წელს შევიდა და ჩეხი კონსტრუქტორის, კრნკას ექვსხაზიანი შაშხანის რუსულ მოდელს წარმოადგენს. ასევე საინტერესო ნიმუშია ტულის ქარხანაში დამზადებული 1870 წლის შაშხანა, რომელსაც „ბერდან 2“-საც უწოდებენ. მას გრძივად მოძრავი ჩამკეტი აქვს და მიზნის სიზუსტით გამოირჩევა.

მუზეუმში დაცულია კავალერგარდის პოლკისა და ლაიბგვარდიის ცხენოსანთა პოლკების ხმლები. აქვეა რუსული მსუბუქი კავალერიის მეომართა ხანჯლები, რომელთა სოლი ოდნავ მოხრილია. საინტერესოა გერმანული ტიპის მახვილებიც, რომელთა ნილრი დაკბილული და კარგად ალესილია. მახვილის ეს მხარე ხერხის მოვალეობას ასრულებდა. ოფიცერთა ხმლებისა და მახვილების 1827-30 წლების მოდელების სადავეები ამპირის სტილშია გაფორმებული და ოქროთია მოვარაყებული.

ევროპულ და რუსულ ცეცხლსასროლ იარაღს შორის განსხვავება უმნიშვნელოა, რადგან მათ განვითარების ერთნაირი გზა განვლეს.

ცეცხლსასროლ იარაღზე პირველი მექანიკური ხელსაწყო, პატრუქის სასხლეტი XV საუკუნეში ევროპაში გაჩნდა. განსაკუთრებული პოპულარობა კაჟის სასხლეტმა მოიპოვა, რომელიც XVIII-XIX საუკუნეებში იარაღის წარმოებაში წარმმართველ როლს ასრულებდა.

კოლექციაში საპატიო ადგილი უჭირავს მემორიალური იარაღის ნიმუშებს. მათგან ყველაზე მრავალრიცხოვნად არის წარმოდგენილი ოქროს ხმალი და მახვილი მამაცობისათვის. საბრძოლო წარჩინების ეს საპატიო ნიშანი რუსეთში 1720 წლის 27 ივნისს დაწესდა, როდესაც რუსმა გენერალმა მ. გოლიცინმა კუნძულ გრენგამთან შვედების ესკადრა გაანადგურა. ოქროს ხმალს თან ერთვოდა იმპერატორის სიგელი. 1788 წლამდე ოქროს მახვილის მიღება მხოლოდ გენერლებსა და ფელდმარშლებს შეეძლოთ. მოგვიანებით კი მისი ფლობის პატივი ოფიცრებმაც მიიღეს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ხმლის ოქროს სადავე ბრილიანტებითა და სხვა ძვირფასი ქვებით არ იყო მოოჭვილი. მათ ნაცვლად დაჰქონდათ წარწერა: „За Храбрость“. პირველი, ვინც ამ წარწერით მიიღო ხმალი, 1812 წლის სამამულო ომის გმირი დოხტუროვი იყო. ამ უმაღლესი და საპატიო საბრძოლო ჯილდოს მფლობელები იყვნენ ცნობილი მხედართმთავრები პეტრე ბაგრატიონი და ალექსანდრე ერმოლოვი.

მუზეუმში დაცული ერთი ოქროს მახვილი კი სამეგრელოს უბრწყინვალეს თავადს, ნიკო დადიანს უნდა ეკუთვნოდეს. ამაზე მიუთითებს შემორჩენილი სხვადასხვა ისტორიული ცნობაც. დადიანების მეგობარი, გერმანელი მწერალი ბერტა ფონ ზუტნერი თავის მოგონებებში მოგვითხრობს ნიკო დადიანის ბალკანეთში 1877-78 წლებში ლაშქრობის ამბავს: „მინგრელსკი აქ იმპერატორს ახლდა როგორც ფლიგელ-ადიუტანტი და ბრძოლებში იმდენად გამოიჩინა თავი, რომ ოქროს მახვილი, წმინდა ვლადიმირის IV ხარისხის ბაფთიანი და წმინდა ანას II ხარისხის ორდენებით დაჯილდოვდა“ (იხ. „არსენალი“ №5, 2005 წ.).

ოქროს მახვილის მფლობელი ყოფილა დადიანების უმცროსი ვაჟი ანდრია დადიანიც, რომელიც ბავშვობიდანვე კაზაკთა პოლკის ლაიბგვარდიაში მსახურობდა. შემდეგ ძმასთან, ნიკო დადიანთან ერთად, რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილეობდა და ბალკანეთის მთებში იბრძოდა. ამ პერიოდის ამსახველ ერთ-ერთ ფოტოზე ანდრია ლაიბგვარდიის საზეიმო ფორმაშია გამოწყობილი. მას მარჯვენა მკლავის ცისფერ მენტიკზე ფართო შევრონი უჩანს, ხოლო გულმკერდს წმინდა ვლადიმირის IV და III ხარისხის ბაფთიანი და მახვილებიანი ორდენები უმშვენებს, ხმალს კი გეორგიევსკის ლენტის ტემლაკი აქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მამაცობისთვის ანდრიას ოქროს მახვილი ჰქონია მიღებული.

მუზეუმში დაცულია სამეგრელოს სახელოვანი დედოფლის, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის ორი ხმალი. როგორც ცნობილია, აბჯარასხმული დედოფალი 1855 წელს პირადად ხელმძღვანელობდა ქართველთა განმათავისუფლებელ მოძრაობას სამეგრელოში შემოჭრილი ოსმალების წინააღმდეგ. ხმალი საკმაოდ მასიურია. მისი ზომა ქარქაშიანად 105 სანტიმეტრს შეადგენს, უქარქაშოდ კი – 89,5 სმ-ს. გაფორმებულია ყვავილფოთლოვანი ორნამენტით, შავი სევადითა და ზარნიშით. ორნამენტში მთავარი ადგილი ფარის მსგავს ბალთასა და პირამიდას უკავია. ხმალს ამშვენებს სარტყელი 16 ყუთით.

დედოფალს თავისი უფროსი ვაჟისთვის საჩუქრად საუკეთესო ქართული ხელობის ხმალი მიუძღვნია.

მუზეუმს თუმცა ნაკლული სახით, მაგრამ მაინც შემორჩა სამეგრელოს მთავრის, დავით დადიანის ხმალი. მისი ზომა ქარქაშიანად 105 სანტიმეტრია, უქარქაშოდ – 88,5 სმ. სამწუხაროდ, ხმალს დაკარგული აქვს სადავე. ხმლის ტერფზე შემდეგი სახის წარწერაა: „მინგრელიის მეფე დავით დადიანი 15 თვის მომირთმევია მისი მონა ხელისგან 1826 წელსა 18 სა თებერვალსა“. მეორე მხარეს სამსტრიქონიანი წარწერა არ იკითხება.

კოლექციაში წარმოდგენილია დადიანების სიძის, ნაპოლეონ I-ისა და ნეაპოლის მეფის, იოაჰიმ მიურატის შთამომავლის, პრინც აშილ შარლ ლუი ნაპოლეონ მიურატის ხმალი. ზომა ქარქაშიანად 111 სმ, ხოლო უქარქაშოდ 108 სმ-ია. დამშვენებულია ნიჟარისებრი ყვავილებითა და გვირილებით, სახელური კი, სავარაუდოდ, ნიანგის ტყავში უნდა იყოს ჩასმული.

მუზეუმში განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი შუბები და მახვილები. უპირველეს ყოვლისა, მათგან გამოვყოფდით ქართული შუბის ნაირსახეობას – გორდას. გორდა საკმაოდ მასიური ორპირიანი შუბია, რომელსაც ოთხივე მხარე ალესილი აქვს. ფოლადის ეს მასიური კორპუსი ხის ტარზე მაგრდებოდა და მისი საშუალებით მოწინააღმდეგის შუაზე გაჩეხა შეიძლებოდა. იარაღის ეს სახეობა მხოლოდ საქართველოსთვისაა დამახასიათებელი და მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი. ასევე შეუძლებელია მისი წარმოშობის პერიოდის დადგენა. ის კი ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში მას ქართველი მეომრები იყენებდნენ.

ქართული და კავკასიური შუბებისა და ხიშტების გარდა კოლექციაში ინახება მანჯურიაში გაკეთებული ისარი, მადაგასკარული შუბი და ავსტრალიური ჰოროლი. ვფიქრობთ, აფრიკული იარაღის ნიმუშები დადიანების სასახლეში მიურატების საშუალებით უნდა მოხვედრილიყო. ცნობილია, რომ ალჟირში, მუსტაფასა და მადაგასკარში სამხედრო სამსახური გაიარეს აშილ და ნაპოლეონ მიურატებმა. ამ უკანასკნელმა კი მადაგასკარში გამოჩენილი მამაცობისათვის ოფიცრობა მიიღო. გაზეთ „კვალის“ თქმით: „პრინც ნაპოლეონ მიურატს კარგი, მამაცური და გამბედავი შეხედულება აქვს, როგორც ჰქონიათ მის წინაპართ. ეს არის



ფრანგული სანადირო თოფი



მოვერცხლილი რუსული სანადირო თოფი. XIXს

ერთობ მძლავრი გასაკვირველი მოყვანილობისა, სამხედროდ კარგად გაწვრთნილი, სწრაფი, მიმზიდველი. ეს ახალგაზრდა მხედარი ამ დროებით იმყოფება ალასონში, სადაც ბიძამისი — პრიცნ ლუდვიკ მიურატი ასრულებს თავის სამხედრო სამსახურს".

მუზეუმში ერთადერთ ეგზემპლარადაა წარმოდგენილი არბალეტი. ეს უძველესი მექანიკური იარაღია და მის სამშობლოდ ჩინეთი ითვლება. არბალეტმა აღიარება განსაკუთრებით ევროპაში, X საუკუნიდან მოიპოვა. არსებობს ორი სახის არბალეტი, საომარი და სანადირო. დადიანების კოლექციის არბალეტი სანადირო უნდა იყოს და იგი XIX საუკუნეში, სავარაუდოდ, ინგლისშია გაკეთებული. ამას იარაღის კონსტრუქცია და მისი სიმსუბუქე გვაფიქრებინებს.

დადიანების სასახლეში დაცული თავდაცვითი აღჭურვილობიდან გამოვყოფდით მუზარადებსა და აბჯრებს. კარგი მუზარადი ომის დროს წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საწინდარი იყო. მისი გამოყენება ძველმა ეგვიპტელებმა და ასირიელებმა დაიწყეს. ძველი ეგვიპტელების მუზარადის კონუსისებრი ფორმა საფუძვლად დაედო ე. წ. ირანული ტიპის მუზარადს. ერთ-ერთი მათგანი დადიანების კოლექციაშია დაცული. იგი საკმაოდ მასიურია. სიმაღლე 40 სანტიმეტრს, ხოლო გარშემოწერილობა 65 სანტიმეტრს შეადგენს. გამოჭედილია მთლიანი ლითონისაგან 24 წახნაგად და მაღალი წვეტით მთავრდება. შემორჩენილი აქვს ჯაჭვის პერანგის ნაწილი, რომელიც კისრის დასაფარავად გამოიყენებოდა. მსგავსი ტიპის მუზარადი ფართოდ გავრცელდა სპარსელებში, ოსმალებში, მონღოლებსა და არაბებში. მუზეუმში დაცული ნიმუში, სავარაუდოდ, XVI-XVII საუკუნეების მიჯნას განეკუთვნება. უფრო გვიანი პერიოდისაა ე. წ. სახიანი მუზარადი, რომელიც თურქული საბრძოლო აღჭურვილობის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში გახლავთ. მისი სიმაღლე 29 სანტიმეტრია, გარშემოწერილობა — 65 სმ. მუზარადის ქვეშ დამაგრებულია მასიური ჯაჭვის პერანგი კისრისა და შუბლის დასაფარავად. მუზარადი ბოლოვდება კარგად წამახული წვეტით. ექსპონატი კარგად არის გაფორმებული, მას ადამიანის სახის ფორმა აქვს, რელიეფურად არის გამოყვანილი ცხვირი და თვალები. ოსმალური მუზარადის განუყრელი ნაწილი ე. წ. „მრისხანეთა საფარი" იყო. ლითონის ეს მოძრავი კონსტრუქცია მუზარადის წინა მხარეს, მეომრის ცხვირის დასაფარავად მაგრდებოდა.

ზემოჩამოთვლილთაგან შედარებით, ქართულ მუზარადს უფრო მოკრძალებული ფორმა აქვს, თუმცა, შესრულების უფრო მაღალი დონით გამოირჩევა. იგი ორი ნაწილისაგან — ლითონის თავსაფრისაგან (გარშემოწერილობა 43 სმ) და ჯაჭვის პერანგისაგან შედგება. ლითონის კორპუსზე ოქროთი ინკრუსტირებული ფრაგმენტებია შემორჩენილი.

გამორჩეულია ფრანგული და რუსული ნიმუშები. მუზარადი, რომელიც 1894 წლის მოდელს წარმოადგენს და ფრანგულ კავალერიაში ოფიცრებს ეხურათ, ძველ რომაულ სტილშია გაფორმებული და ოქროთია შესრულებული. მას თან ახლავს 1863 წლის მოდელის კავალერისტის ფრანგული აბჯარი, რომლისთვისაც მონუმენტურობაა დამახასიათებელი. აბჯრების კოლექციაში ყველაზე ძველია რუსული აბჯარი, სიგრძით 36 სმ, გარშემოწერილობა — 47 სმ. მას რუსი მეომრები 1763 წელს იყენებდნენ. ცენტრში გამოსახულია ორთავიანი ოქროს არწივი, გვერდები კი დაკბილულია.

დადიანების სასახლეში ასევე დაცულია ყუმბარები და ჭურვები.

დასასრულ, ორიოდე სიტყვით გვინდა შევეხოთ მუზეუმის ფონდებში დაცულ საბრძოლო წარჩინების ნიშნებს, რომელთა უმეტესობა შეუსწავლელია. ცნობილია, რომ დადიანთა საგვარეულოში რუსეთის იმპერიის უმაღლესი სამხედრო ელიტის ბევრი წარმომადგენელი იყო. მაგალითად, გენერალმაიორი დავით დადიანი წმინდა ანას, წმინდა ვლადიმირის, წმინდა სტანისლავისა და სხვა ორდენების მფლობელი იყო. უმაღლესი ხარისხის წარჩინების ორდენთა კავალერი გახლდათ ეკატერინე დადიანიც. თუმცა, მუზეუმში მხოლოდ სამთავრო კარის უკანასკნელი მემკვიდრეების, ნიკო და ანდრია დადიანების მედლები შემორჩა. მათგან გამოვყოფდით 1877-79 წლების ოქროსა და ბრინჯაოს მედლებს, რომლებიც ძმებს ბალკანეთის კამპანიის დროს გამოჩენილი მამაცობისთვის უნდა მიეღოთ. აქვეა 1853-56, 1859-64, 1881-94 წლების სხვადასხვა სამხედრო წარმატების აღმნიშვნელი სამხედრო ნიშნები. ამდენად, დადიანების სასახლეებში დაცული სამხედრო განძი ამიერკავკასიაში ერთ-ერთი უმდიდრესია და ამასთან, ქართველთა გმირული წარსულის მეტყველი მატიანეც.

**გიორგი კალანდია**

*ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდის თავმჯდომარე*



რუსული ოქროს მახვილი და პრუსიული ხმალი



ფრანგი ოფიცრის ხმალი და ხანჯალი (XIXს)

# სატორპედო შეტევა ბათუმის რეიდზე



„კონსტანტინე" და სანაღმო კატარღა „ჩესმა"

ყირიმის ომში დამარცხების შემდეგ რუსეთის შავი ზღვის ფლოტი მძიმე მდგომარეობაში იყო და 1877 წელს, თურქეთთან მორიგი ომის წინ, მასში ირიცხებოდა 2 სანაპირო დაცვის ჯავშნოსანი, 4 ხრახნიანი ხის კორვეტი, 7 შეიარაღებული ორთქლმავალი გემი, 13 ხრახნიანი შხუნა და შეიარაღებული სამეფო იახტა „ლივადია".

თურქეთს გაცილებით ძლიერი ფლოტი ჰყავდა. 1861 წელს, ტახტზე აბდულ აზიზის ასვლის შემდეგ, თურქეთმა მსოფლიოში ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი და ძლიერი ფლოტი შექმნა. მთავარ ძალას ინგლისში, საფრანგეთსა და იტალიაში აგებული 8 ჯავშნოსანი ფრეგატი, 5 ჯავშნოსანი კორვეტი და 2 ორკოშკურიანი მონიტორი წარმოადგენდა. გარდა ამისა, დუნაიზე მოქმედი ფლოტილია სხვადასხვა კლასის 50-მდე მცურავ საშუალებას ითვლიდა.

თურქების სუსტი მხარე მოძველებული სახომალდო არტილერია იყო. XIX საუკუნის 60-იან წლებში ინგლისიდან მიღებული „არმსტრონგის" ქვემეხები ლულიდან იტენებოდა. 1876 წელს გერმანული „კრუპის" სახაზინო ნაწილიდან დასატენი ქვემეხები შემოვიდა, მაგრამ ჯავშნოსნებზე „არმსტრონგის" მძიმე 9 და 7-დუიმიანი ქვემეხები არ შეცვლილა. არც პირადი შემადგენლობის მომზადება იყო სათანადო, რაც 1877-78 წლების ომში ფლოტის პასიურობის მიზეზი შეიქნა.

რუსულ ხისკორპუსიან გემებს თურქულ ჯავშნოსნებთან გამარჯვების არანაირი შანსი არ ჰქონდათ. დაჯავშნული ხომალდების დამარცხება მხოლოდ ახალ იარაღს, ნაღმებს შეეძლო.

1862-68 წლებში რუსეთის ფლოტში სხვადასხვა სახის ნაღმები, მისი გამოყენების ტაქტიკური ილეთები და ტექნიკა გამოიცადა. ახალი იარაღის ეფექტიანობისათვის საჭირო იყო სწრაფმავალი და მანევრული მცურავი საშუალებების აგება. ნაცვლად ამისა, ნაღმებით დიდი და ნელმავალი გემები აღიჭურვა.

ნაღმების მატარებლებად ორთქლის ძრავაზე მომუშავე კატარღებიც გადაკეთდა, მაგრამ პატარა სიჩქარის, სამოქმედო რადიუსის სიმცირისა და დაბალი საზღვაოსნო თვისებების გამო, დაშორებულ რაიონებსა და თურქეთის სანაპიროსთან ოპერაციების ჩატარება შეუძლებელი იყო.

სამოქმედო რადიუსის გასაზრდელად ნაღმებისა და კატარღების სატრანსპორტო გემით გადაყვანის იდეა დაიბადა. ახალგაზრდა ლეიტენანტ სტეპან მაკაროვის ინიციატივით, სანაღმო იარაღის პირველი უნივერსალური მატარებელი სამგზავრო ორთქლმავალი გემი „ველიკი კნიაზ კონსტანტინი" გახდა.

გემზე სამუშაოები 1876 წლის 13 დეკემბერს დაიწყო და 4 თვეში დასრულდა. მასზე განთავსდა 4 სანაღმო კატარღა, სხვადასხვა ტიპის ნაღმები და კატარღების სწრაფად ჩამშვებ-ამომყვანი სპეციალური მოწყობილობა.

„ველიკი კნიაზ კონსტანტინი": წყალწყვა 2500 ტონა, 73 მეტრი სიგრძის გემი შეიარაღებული იყო 1–152მმ-იანი მორტირითა და 4-9-გირვანქიანი კუთხვილიანი ქვემეხით;

სანაღმო კატარღები: წყალწყვა 8-12 ტონა, ორთქლის ძრავა 5 ცხ.ძ., სიჩქარე 6 კვანძი, ეკიპაჟი 4-6 კაცი, შეეძლო ჭოკზე დამაგრებული 2-4 ნაღმის ტარება;

შავ ზღვაში საბრძოლო მოქმედებები 1877 წლის 12 აპრილს დაიწყო. თურქეთმა რუსეთის პორტებს ბლოკადა გამოუცხადა და სამოქმედო რაიონად კავკასიის სანაპირო აირჩია, სადაც რუსეთის არმიის მთავარი კომუნიკაციები გადიოდა.

თურქული ხომალდები ადლერიდან ოჩამჩირემდე 150 კმ-ის მონაკვეთზე თავისუფლად კრეისერობდნენ, ბომბავდნენ სანაპიროზე რუსების სიმაგრეებს, გადაჰყავდათ სარეზერვო ნაწილები, უზრუნველყოფდნენ სახმელეთო ჯარებს იარაღით, საბრძოლო მასალებითა და სურსათ-სანოვაგით.

29 აპრილს თურქების ესკადრამ გუდაუთასთან 1000-მდე კარგად შეიარაღებული მთიელი გადმოსხა, რომლებსაც რუსებისადმი მტრულად განწყობილი ადგილობრივი მოსახლეობა შეუერთდა.

მეორე დესანტი, დაახლოებით 1500-მდე მებრძოლი, ოჩამჩირესთან გადმოსხეს.

2 მაისს თურქების 5 ჯავშნოსანი 2,5 საათის განმავლობაში ბომბავდა სოხუმს. 5 მაისს სოხუმის დაბომბვა განახლდა. გენერალ კრავჩენკოს გაუბედავი მოქმედებების გამო, რუსული გარნიზონი ქალაქიდან გავიდა და პოზიციებზე მდინარე მაჭარასთან გამაგრდა.

თურქეთის ფლოტის მთავარი ბაზა ბათუმი გახდა, ხოლო სოხუმის დაკავების შემდეგ იქ მაისს-აგვისტოში ხომალდების ერთი ნაწილი გადავიდა.

18 აპრილს „კონსტანტინემ" კავკასიის სანაპიროსთან საკრეისეროდ გასცურა. მაკაროვს მოწინააღმდეგის ნებისმიერი კომერციული გემის ჩაძირვის ნებართვა მისცეს, მაგრამ ეკიპაჟისა და ღირებული დოკუმენტების გადარჩენის უფლებით. რეიდმა უშედეგოდ ჩაიარა.

მომდევნო გასვლა 1877 წლის 30 აპრილს შედგა. იმავე საღამოს „კონსტანტინე", სანაღმო კატარღებით ბორტზე, ფოთს მიადგა, მაგრამ იქ თურქული ხომალდები არ აღმოჩნდა, ამიტომ ცურვა ბათუმისაკენ გააგრძელა.

20სთ-სა და 30წთ-ზე „კონსტანტინე" ბათუმს 7 მილზე მიუახლოვდა. 23 სთ-ზე შეტევისათვის წყალში ბუქსირებადი ნაღმებით აღჭურვილი ოთხივე კატარღა ჩაუშვეს. მოულოდნელად რუსმა მეზღვაურებმა განცალკევებით მყოფი ხომალდი შენიშნეს, რომელიც „კონსტანტინესკენ" გამოემართა. თურქული ხომალდისაკენ ყველაზე სწრაფმავალი კატარღა „ჩესმა" გაიგზავნა.

„ჩესმა" მოწინააღმდეგის ხომალდს მიუახლოვდა და კორპუსის ქვეშ ნაღმი შეუგდო, მაგრამ აფეთქება რატომღაც არ მოხდა. თურქებმა რუსული კატარღა შენიშნეს და ცეცხლი გახსნეს. ამასობაში სხვა ხომალდებიც ამოქმედდნენ და რუსებმა გაცლა ამჯობინეს. წარუმატებლობის მიზეზის გარკვევის შემდეგ მაკაროვი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭირო იყო თვითმოძრავი ნაღმი-ტორპედოები.

6 მაისს „კონსტანტინემ" ისევ კავკასიის სანაპიროსაკენ გამოსწია. ფოთში მაკაროვმა შეიტყო, რომ სოხუმში თურქული ხომალდები იდგნენ. 8 მაისის ღამეს „კონსტანტინე" სოხუმს მიადგა, მაგრამ ნისლმა თავდასხმას ხელი შეუშალა.

ივნისში „კონსტანტინემ" უაიტჰედის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითმოძრავი 2 ტორპედო მიიღო. შედარებით მოზრდილ „ჩესმაზე“ ტორპედოსათვის კილქვეშ გამშვები მილი დაიდგა. სხვა კატარღებისათვის ასეთი მილის ტარება მძიმე აღმოჩნდა, ამიტომ მაკაროვის წინადადებით, გამშვები მილი სპეციალურ ტივზე დამაგრდა. კატარღა ტივს მოწინააღმდეგის გემამდე ბუქსირით მიიყვანდა და გასროლის შემდეგ მიატოვებდა.

ახალი იარაღის გამოყენებას ამჯერად ხელი ამინდმა შეუშალა. იალტის რაიონში ამოვარდნილი შტორმის დროს ტივი ტორპედოსთან ერთად ჩაიძირა. მეორე ტორპედოდან ჰაერი შემთხვევით მაშინ გაიჟონა, როცა „ჩესმას“ წყალში უშვებდნენ და ის გამოყენებისათვის უვარგისი გახდა.

მომდევნო ოპერაციაში მაკაროვს ისევ ძველი, ბუქსირებადი ნაღმების გამოყენება მოუხდა.

11 აგვისტოს ღამით „კონსტანტინე“ სოხუმთან გამოჩნდა. 12 აგვისტოს, 2სთ-სა და 45წთ-ზე, ჭოკ და ბუქსირებადი ნაღმებით შეიარაღებულმა კატარღებმა: „მინერმა“, „ნავარინმა“, „სინოპმა“ და „ჩესმამ“ სოხუმ-კალეს რეიდზე ჯავშნოსან კორვეტ „ასარი შევქეთს“ (წყალწყვა 2080 ტონა, 2-9-დუიმიანი ქვემეხი ბარბეტებში, 4-9-დუიმიანი ქვემეხი კაზემატებში) შეუტიეს.

„ასარი შევქეთის“ ბორტთან 3 ნაღმი აფეთქდა. თურქებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს და კატარღებმა რეიდი სასწრაფოდ დატოვეს.

პოლკოვნიკ შელკოვნიკოვის მონაცემებით, რომლის რაზმი სოჭის მხრიდან მოქმედებდა, თურქები „ასარი შევქეთს“ სამ დღეს არემონტებდნენ და შემდეგ ბუქსირით ბათუმში გადაიყვანეს. თურქებთან „ადმირლად“ მომსახურე ინგლისელი ჰოვარდ-ფაშა საწინააღმდეგოს ლაპარაკობდა და არანაირ დაზიანებას არ ადასტურებდა.

15-16 დეკემბერს „კონსტანტინე“ ბათუმთან გამოჩნდა. მაკაროვის ბრძანებით ნაპირიდან ერთ მილში ოთხივე კატარღა წყალში ჩაუშვეს. „ჩესმამ“ წყალქვეშა, ხოლო „სინოპმა“ ტივზე დამაგრებული ტორპედოთი თურქული ხომალდებისაკენ გასცურეს. „ნავარინი“ და „სუხუმი“ შემტევი კატარღების დაცვას უზრუნველყოფდნენ.

„ჩესმამ“ და „სინოპმა“ 50-60 მეტრიდან „სამი ანძისა და ერთი საკვამლე მილის მქონე მუქი სილუეტის“ მიმართულებით ტორპედოები გაისროლეს. პირველი ტორპედო ნაპირზე გამოვარდა, მეორე გემის ღუზის ჯაჭვს დაეჯახა, მუხტის კამერა დაკარგა და ფსკერზე შეხებისას აფეთქდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ შეტევის სამიზნე ჯავშნოსანი ფრეგატი „მაჰმუდიე“ (წყალწყვა 6400 ტონა, 9-დუიმიანი 2 ქვემეხი გემბანზე, 7-დუიმიანი 14 ქვემეხი კაზემატებში) იყო, რომელსაც დაზიანება არ მიუღია.

სევასტოპოლში მაკაროვმა რაპორტში „მაჰმუდიესათვის“ მიყენებული დაზიანებები აღწერა, ხოლო რუსულმა გაზეთებმა თურქული ხომალდი „ჩაძირეს“.

ამდენი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ მაკაროვმა 1878 წლის 13-14 იანვარს ბათუმს კიდევ ერთხელ შეუტია. თვითმავალი ტორპედოებით აღჭურვილმა „ჩესმამ“ (მეთაური ლეიტენანტი ზაცარენი) და „სინოპმა“ (მეთაური ლეიტენანტი შეშინსკი) ღამით ბათუმის რეიდზე შეაღწიეს.

კატარღები თურქულ ხომალდს 60 მეტრზე მიუახლოვდნენ და ტორპედოები ერთდროულად გაუშვეს. „ჩესმას“ ტორპედო სამიზნეს გროტ-ანძასთან, ხოლო „სინოპის“ კი – ცოტა მარჯვნივ დაეჯახა და აფეთქდა. თურქული ხომალდი მარჯვნივ, გვერდზე გადაწვა და ფსკერისაკენ სწრაფად წავიდა.

შეტევის მსხვერპლი 1867 წელს სტამბოლში აგებული 163 ტონა წყალწყვის, ხის, დაუჯავშნავი საკანონირო ნავი „ინტიბახი“ (შეიარაღება 2-100მმ-იანი ქვემეხი) გახდა. 35-კაციანი ეკიპაჟიდან 23 დაიღუპა.

პირველად მოხერხდა თვითმოძრავი ნაღმი-ტორპედოთი სამხედრო ხომალდის ჩაძირვა. გამარჯვებისათვის მეტი წონის მისაცემად ჯერ რუსულმა, შემდეგ საბჭოთა ლიტერატურამ „ინტიბახი“ თანდათან 700 ტონამდე წყალწყვის, ავიზოს კლასის ხომალდამდე აიყვანა.

ბათუმის რეიდზე სანაღმო კატარღების წარმატებულმა შეტევამ მსოფლიო გემთმშენებლობაზე დიდი გავლენა იქონია. მრავალი ქვეყანა სასწრაფოდ შეუდგა ტორპედოებით აღჭურვილი ახალი კლასის ხომალდ ნაღმოსნების მასობრივ მშენებლობას. ■

# დედამიწის გარშემო წყალქვეშ დაცურვა

1801 წლის მაისში, პარიზში, ამერიკელმა გამომგონებელმა რობერტ ფულტონმა უჩვეულო გამოცდა ჩაატარა – არასწორი ელიფსოიდის ფორმის ხომალდმა, რომელსაც ზემოდან პატარა ჯიხური და იალქნები ედგა, მდინარე სენაში ჩაყვინთა და წყალქვეშ 3 მილის გაცურვის შემდეგ ამოყვინთა.

ხომალდს „ნაუტილუსი“ ერქვა. მისი გარსამოსი რკინის შპანჰოუტებზე აკრეფილი ხის ფიცრებისაგან იყო შეკრული და გარედან სპილენძის ფურცლები ჰქონდა გადაკრული. „ნაუტილუსი“ წყალზევით იალქნებით, ხოლო წყალქვეშ 2 მენიჩბის მუსკულების ძალით დაცურავდა. გამოცდის მნიშვნელობაზე ისიც ლაპარაკობს, რომ მას ესწრებოდა საფრანგეთის მთავრობის პირველი კონსული ნაპოლეონ ბონაპარტე, რომელსაც წყალქვეშა ნავები ბრიტანეთის ფლოტთან საბრძოლველად ესაჭიროებოდა.


USS TRITON SSN 586

„ნაუტილუსის“ გამოცდამ გამოჩენილ ფრანგ მწერალზე, ჟიულ ვერნზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და მისი შთაგონების წყარო გახდა. 1870 წელს გამოვიდა წიგნი „80 ათასი კილომეტრი წყალქვეშ“, რომლის მთავარი გმირი, კაპიტანი ნემო წყალქვეშა ნავ „ნაუტილუსით“ დედამიწის გარშემო დაცურავდა.

საინტერესოა ჟიულ ვერნის „ნაუტილუსის“ ტექნიკური პარამეტრები: წყალწ-



K-415



ალექსანდრე ჯავახიშვილი წყალქვეშა ნავის კაპიტნის ბოგურაზე

ყა 1500 ტონა, სიგრძე 70 მეტრი, სიგანე 8 მეტრი, სიჩქარე 50 კვანძი. წყალქვეშ 150-200 მეტრ სიღრმეზე დაცურავდა, მაგრამ ჩაყვინთვა 16000 მეტრზეც შეეძლო. ცურვისათვის საჭირო ელექტროენერგიას ხომალდი გალვანური ელემენტებიდან იღებდა. დროდადრო ჰაერის მარაგის შესავსებად და გალვანური ელემენტების შესაცვლელად „ნაუტილუსი“ წყლის ზედაპირზე ამოდიოდა.

„ნაუტილუსის“ წყალქვეშა სიჩქარე თანამედროვე ატომური წყალქვეშა ნავებისთვისაც კი მიუწვდომელია. ატომური წყალქვეშა ნავები საშუალოდ 25-30 კვანძით დაცურავენ. მაქსიმალური მიღწევა ერთ ექსპერიმენტურ საბჭოთა ნავს ეკუთვნის და ის 44,7 კვანძს, ანუ 83 კმ/სთ-ს შეადგენს. რაც შეეხება ჩაყვინთვის სიღრმეს, მაქსიმალური მიღწევა 1000 მეტრია.

კაპიტან ნემოს ხომალდს ელექტროენერგია ამოძრავებდა და მას ენერგიის ძალიან დიდი ხარჯი ექნებოდა, რისთვისაც გალვანურ ელემენტებს განახლება ხშირად დასჭირდებოდა. ამის გაკეთება მხოლოდ წყლის ზედაპირზე იყო შესაძლებელი, ამიტომ „ნაუტილუსი“ ცურვისას დროის მეტ ნაწილს წყალზევით გაატარებდა, ვიდრე წყალქვეშ.

ხანგრძლივი დროით წყალქვეშ ცურვის პრობლემა გასული საუკუნის პირველ ნახევრამდე გადაუჭრელი რჩებოდა. მაშინდელი წყალქვეშა ნავები მეტ დროს წყალზევით ატარებდნენ და ცურვისათვის დიზელის ძრავებს იყენებდნენ. ჩაყვინთვა მხოლოდ საშიშროების შემთხვევაში ხდებოდა და წყალქვეშ ყოფნა მთლიანად აკუმულატორებიდან მიღებულ ენერგიაზე იყო დამოკიდებული, რომელსაც შეზღუდული რესურსები ჰქონდა. ნავებზე არც საყოფაცხოვრებო პირობები იყო ნორმალური. მატროსებს პირდაპირ მექანიზმებთან, ჰამაკებში მონაცვლეობით ეძინათ.

მიუხედავად ამისა, მეორე მსოფლიო ომის დროს რამდენიმე გერმანულმა წყალქვეშა ნავმა დედამიწის გარშემო უაღრესად რთული და ხანგრძლივი ცურვა განახორციელა. ამერიკულ-ბრიტანული ფლოტისა და ავიაციის სრული ბატონობის პირობებში, ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეთა გადაცურვით იაპონიაში ჩასვლა დიდ თავდადებასა და ტექნიკის საიმედოობას მოითხოვდა და ეს გერმანელებმა შეძლეს.

პირველად იაპონიისაკენ U-511-მა (მეთაური კაპიტან-ლეიტენანტი ფრიც შნევინგი) გაცურა. ნავი 1943 წლის 10 მაისს გავიდა ლორიანიდან (საფრანგეთი) და 7 აგვისტოს იაპონელთა სამხედრო-საზღვაო ბაზა კურეში შევიდა. მსგავსი გადასვლა კიდევ რამდენიმე წყალქვეშა ნავმა განახორციელა.

აღსანიშნავია U-1062 (მეთაური ობერლეიტენანტი კარლ ალბრეხტი). ეს ნავი 1944 წლის 3 იანვარს გამოვიდა ბერგენიდან (ნორვეგია) და 19 აპრილს პორტ პენანგში, მალაკის ნახევარკუნძულზე ჩავიდა. 6 ივლისს უკან, გერმანიისაკენ წამოვიდა, მაგრამ ატლანტის ოკეანის ცენტრალურ ნაწილში 30 სექტემბერს ამერიკულმა ხომალდმა ჩაძირა.

არანაკლებ მძიმე ლაშქრობები განახორციელეს საბჭოთა ნავებმა. 1942 წლის შემოდგომაზე 6 წყალქვეშა ნავი კამჩატკიდან პანამის არხით ატლანტის ოკეანეში გადავიდა, შემდეგ გალიფაქსში (კანადა) შეჩერდნენ და 1943 წლის გაზაფხულზე ჩრდილო ატლანტიკის გადაცურვით პოლიარნიში გადავიდნენ. ცურვა ერთ-ერთი ნავისათვის წყნარ ოკეანეში ტრაგიკულად დასრულდა. 1942 წლის 11 ოქტომბერს სან-ფრანცისკოდან ჩრდილო-დასავლეთით 300 კმ-ში K-16 გაურკვეველი ქვეყნის სუბმარინამ ჩაძირა.

დედამიწის გარშემო ნამდვილი წყალქვეშა ცურვა მხოლოდ ატომური ენერგეტიკული დანადგარების შექმნის შემდეგ გახდა შესაძლებელი. ამ საქმის პიონერები ამერიკელები იყვნენ. 1950 წლის აგვისტოში აშშ-ის პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა პირველი ატომური წყალქვეშა ნავ „ნაუტილუსის“ მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილებას ხელი მოაწერა. მშენებლობა 1952 წლის 14 ივნისს დაიწყო, ხოლო 1955 წლის 30 სექტემბერს „ნაუტილუსი“ სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემადგენლობაში შევიდა.

ექვსი წლის შემდეგ კი ჟიულ ვერნის „ნაუტილუსის“ ფანტასტიკური მოგზაურობა რეალობად იქცა. 1960 წლის 16 თებერვალს აშშ-ის ატლანტის სანაპიროზე სამხედრო-საზღვაო ბაზა ნიუ-ლონდონში დედამიწის გარშემო წყალქვეშა მოგზაურობაში საზეიმოდ გააცილეს ატომური წყალქვეშა ნავი „ტრიტონი“ (SSN 586).

„ტრიტონი“ აშშ-ის ფლოტს 1959 წელს შეემატა. 136,5 მეტრი სიგრძის სუბმარინის წყალქვეშა წყალწყვა 5650 ტონას აღწევდა. წყალქვეშ 30 კვანძით დაცურავდა, ხოლო ბირთვული საწვავი 110000 მილის გაცურვის საშუალებას იძლეოდა. ეკიპაჟი 148 კაცს, აქედან 13 ოფიცერს ითვლიდა. შეიარაღებაში 6 სატორპედო აპარატი შედიოდა.

„ტრიტონმა“ ატლანტის ოკეანე სამხრეთ ამერიკის მიმართულებით გადაცურა და დრეიკის სრუტით წყნარ ოკეანეში გადავიდა. გაიარა ინდოეთის ოკეანე და აფრიკის შემოვლის შემდეგ 10 მაისს ისევ ნიუ-ლონდონში დაბრუნდა.

ნავის მეთაურმა ედვარდ ბიჩმა ურთულესს დავალებას თავი შესანიშნავად გაართვა. ნავი წყალქვეშ 84 დღე იმყოფებოდა და 66750 კმ საშუალოდ 18 კვანძი სიჩქარით განვლო. ამოყვინთვა ერთხელ გახდა საჭირო ფოლკლენდის კუნძულებთან ერთ-ერთი მეზღვაურის ავადმყოფობის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხედრო ლექსიკონი

მოგეხსენებათ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო პირები რუსულ სამხედრო ტერმინოლოგიას იყენებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ამ სიტყვების ქართული შესატყვისი არ იციან. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად „არსენალი“ აგრძელებს რუსული სამხედრო ტერმინების ქართული შესატყვისების გამოქვეყნებას.

Дым маскирующий – სანიღბავი კვამლი
Дым сигнальный – სასიგნალო კვამლი
Дым ядовитый – შხამიანი კვამლი
Дымовой – კვამლისა, საკვამლე
Дымомет – კვამლსატყორცნი
Единица – ერთეული
Единица боевая – საბრძოლო ერთეული
Единица штатная – საშტატო ერთეული
Единоначалие – ერთუფროსობა
Еж – ზღარბულა
Еж противотанковый – ტანკსაწინააღმდეგო ზღარბულა
Емкость – ტევადობა
Ерш, ершик – მრგვალჯაგრისი
Есть – არის
Жало ударника – საცემის წვეტი
Жалоба – საჩივარი
Жгут – ჩალიჩა
Желоб – ღარი
Жердь – ლატანი
Жерло – ყელი
Жесткий – ხისტი
Живучесть – სიცოცხლისუნარიანობა
Живучесть боевая – საბრძოლო გამძლეობა
Забор – ღობე
Завал – ხერგი
Завал каленный – ქვაყრილი ხერგი
Завал минированный – დანაღმული ხერგი
Завеса – ფარდა
Завеса дымовая – კვამლის ფარდა
Завихрение – აგრიგალება
Завоевание – დაპყრობა
Завоеватель – დამპყრობი
Завязка боя – ბრძოლის დაწყება
Дагиб гилзый – მასრის გადანაკეცი
Заглушка – სახშობი
Заградитель – გადამღობი
Заграждение – ღობურა, ხლართი, დაბრკოლება

„ტრიტონის“ ცურვა რამდენიმე წელი საიდუმლოდ ინახებოდა. 1965 წელს ეს ინფორმაცია საბჭოთა ქავშირის ხელმძღვანელობისათვის ცნობილი გახდა და გადაწყდა მსგავსი მარშრუტით ჩრდილოეთის ფლოტიდან წყალქვეშა ნავების წყნარი ოქეანის ფლოტში საცდელი გადაყვანა.

1966 წლის 2 თებერვალს მურმანსქიდან გამოვიდნენ ატომური წყალქვეშა ნავები K-133 (პროექტი 627A) და K-116 (პროექტი 675). ცურვის პირველ ეტაპზე, „ტრიტონის“ მსგავსად, აისბერგსაშიში დრეიქის სრუტით ატლანტის ოქეანიდან წყნარ ოქეანეში გადასვლა იყო დაგეგმილი. როგორც ცნობილია, აისბერგის 2/3 წყალქვეშა ნაწილია, რომელიც სიგრძით შეიძლება 800 მეტრსაც ქი აღწევდეს. სამხრეთ ატლანტიქაში წინასწარ საექსპედიციო ოქეანოგრაფიული გემი „გავრილ სარიჩევი“ და ტანქერი „დუნაი“ გაიგზავნა. გემები წყალქვეშა ნავებს რექომენდაციებს ქურსსა და სიღრმეში მანევრირებაზე რეგულარულად გადასცემდნენ.

სხვა მხრივ, საბჭოთა მეზღვაურები ბედს იყვნენ მინდობილნი და საჭიროების შემთხვევაში მათ დახმარებას ვერავინ გაუწევდა. საბედნიეროდ, ყველაფერმა ქარგად ჩაიარა და 26 მარტს პეტროპავლოვსქ-ქამჩატსქზე ქრაშენიქოვის უბეში 53-დღიანი ცურვის შემდეგ ორივე წყალქვეშა ნავმა ამოყვინთა. უქან დარჩა 37400 ქილომეტრი.

ამ დროს მოსქოვში ქომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა მიმდინარეობდა და 29 მარტს თავდაცვის მინისტრმა წყალქვეშა ცურვის შესახებ ყრილობის დელეგატებს ამცნო.

მომდევნო ცურვები უფრო პრაქტიქული გახდა. წყნარი ოქეანის ფლოტისათვის სევეროდვინსქში აგებულ ბალისტიქურრაქეტებიან ატომურ სტრატეგიულ წყალქვეშა ნავებს იმავე მარშრუტით აგზავნიდნენ. თუმცა პარალელურად ჩრდილოეთის გზაც მოქმედებდა.

1971 წლის 8 იანვარს ატლანტის ოქეანის გადაცურვით წყნარი ოქეანის ფლოტისათვის K-408 (პროექტი 667A) გაიგზავნა. გადასვლა 19 მარტს მშვიდობიანად დასრულდა.

მომდევნო გადასვლა ჩვენმა თანამემამულემ, II რანგის ქაპიტანმა, ალექსანდრე ჯავახიშვილმა შეასრულა. წყნარ ოქეანეში გადასაყვანი იყო სტრატეგიული ბალისტიქურრაქეტებიანი ატომური წყალქვეშა ნავი K-415.

ნავი 667A პროექტს მიეკუთვნებოდა. ამ პროექტით ყველაზე მეტი, 34 სტრატეგიული ნავია აგებული და მათ შორის K-415 რიგით მე-17 იყო. მწყობრში 1970 წლის 30 დექემბერს შევიდა. 128 მეტრი სიგრძისა და 11500 ტონა წყალწყვის ნავი 16 ბალისტიკურ რაკეტას ატარებდა. თითოეული რაკეტა 1 მეგატონი სიმძლავრის ატომური მუხტით იყო აღჭურვილი. თავდასაცავად 533 მმ-იანი 12 და 400 მმ-იანი 4 ტორპედო ჰქონდა. ნავის სამუშაო სიღრმე 320 მეტრია.

667A პროექტის ნავები აგებულებით ძალიან ჰგავდა ამერიკულ „ჯორჯ ვაშინგტონს“, ამიტომ საბჭოთა ფლოტში მას „ივან ვაშინგტონს“ ეძახდნენ.

K-415-ის გადასვლა თანმხლები გემების გარეშე დაიგეგმა, რაც დავალებას ძალიან ართულებდა და ოკეანეში გარეშე დახმარებას გამორიცხავდა. გადაწყვეტილება უმაღლეს დონეზე საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალი, ადმირალი გორშკოვი იღებდა.

ალექსანდრე ჯავახიშვილი 1972 წლის იანვარში გადასვლასთან დაკავშირებით მოსკოვში ადმირალ გორშკოვთან მოხსენებით წარდგა. წინასწარი შეთანხმებით, 14-წუთიანი მოხსენება დაიგეგმა, მაგრამ დავალების სირთულიდან გამომდინარე, განხილვა 3 საათს გაგრძელდა. მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა სხვადასხვა კლიმატურ პირობებში მექანიზმებისა და აგრეგატების საიმედოობის შემოწმება.

K-415-მა სრული საბრძოლო აღჭურვილობით ჩრდილოეთის ფლოტის ბაზა გაჯიევო 1972 წლის 17 იანვარს დატოვა. ნავის მეთაური ვალდებული იყო, დღეში ერთხელ პერისკოპულ სიღრმემდე ამოეყვინთა და შტაბისათვის 15-წუთიან რადიოსეანსში ცურვის შესახებ ინფორმაცია გადაეცა. დანარჩენ დროს ნავი რადიოდუმილს ინარჩუნებდა. წყალქვეშ ცურვა, ძირითადად, 150-250 მეტრ სიღრმეზე, საშუალოდ 16 კვანძით მიმდინარეობდა. ზოგჯერ სიჩქარე 20-24 კვანძამდე მატულობდა.

ნავის ჰიდროაკუსტიკური სადგური პასიურ რეჟიმზე მუშაობდა, ანუ ოკეანიდან მხოლოდ ხმებს იღებდა. უმეტესად ოკეანის ბინადართა ხმები ჭარბობდა. ჰიდროაკუსტიკებს ამერიკული წყალქვეშა ნავების თვალთვალი ან დევნა არ შეუმჩნევიათ.

31 მარტს K-415-მა დანიშნულების ადგილს, კამჩატკაზე, ბაზა რიბაჩის მიაღწია და წყალქვეშ 42 ათასი კილომეტრის ცურვის შემდეგ ამოყვინთა.

ურთულესი დავალების წარმატებით შესრულებისათვის საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრმა, მარშალმა გრეჩკომ სტრატეგიული ატომური წყალქვეშა ნავის ქართველი მეთაურისათვის მხოლოდ ორლულიანი სანადირო თოფი გაიმეტა. გადასვლის სხვა მონაწილეებს სიგელები და რადიომიმღებები ერგოთ.

# რომელი აჯობებს ჯავშანი თუ ჭურვი

**მე-19 საუკუნის ბოლოს ზღვებზე ახალი კლასის ხომალდები გამოჩნდნენ, რომლებსაც ჯავშნოსნებს უწოდებდნენ. სწორედ მაშინ დაიწყო ჭურვებისა და ჯავშნის დაპირისპირება. დაპირისპირება ბავშვურ თამაშს მოგაგონებდათ. უბრალო ჭურვებისგან თავის დასაცავად თავდაპირველად თხელ და საშუალო სისქის ჯავშანს იყენებდნენ. დაგვეთანხმებით, რომ ასეთი ჯავშნის გახვრეტაზე ადვილი არაფერია, უბრალოდ, საჭიროა უფრო მოზრდილი ჭურვი, რომელსაც დიდი და მძლავრი ქვემეხი გაისვრის. დაპირისპირებული მხარეები თავიდან მართლაც ასე იქცეოდნენ. ტექნოლოგიური გარდატეხა რუსეთ-იაპონიის 1904-05 წლების ომის დროს მოხდა.**



უფრო სწორედ, გარდატეხა უფრო ადრე მოხდა, მაგრამ საკუთარ თავზე პირველად ეს ჩვენმა ჩრდილოეთ მეზობელმა გამოსცადა. მაშინ რუსეთმა იაპონელთა წინაამდეგ ორი მძლავრი ესკადრა დარაზმა. პორტ-არტურსა და ცუსიმასთან გაათრებული ბრძოლებისას იაპონელებმა რუსეთის ორივე ესკადრა გაანადგურეს. საქმე ის იყო, რომ რუსების მძლავრი ჯავშანგამტანი ჭურვები ერთიანად ცხრილავდნენ იაპონელთა ხომალდებს და... მეორე მხარეს გადიოდნენ. დაზიანებული იაპონური ჯავშნოსნებისთვის გვერდიდან რომ შეგეხედათ, ჭურვის მიერ დატოვებულ ხვრელში გემის მეორე მხარეს არსებულ ლანდშაფტს დაინახავდით... იაპონელები წინასწარ მომზადებული ხის ნამორებით ჩურთავდნენ გახვრეტილ ადგილებს და ბრძოლას აგრძელებდნენ. თავად იაპონური ჯავშნოსნების ქვემეხების ჭურვები კი დიდი ძალის ასაფეთქებელი მასალით — შიმოზით იყვნენ აღჭურვილები, რომლებიც რუსულ ხომალდებზე მოხვედრისას, ჯავშნის გატანის გარდა, ხომალდს შიგნიდან ცეცხლს უკიდებდნენ და მეზღვაურებს მხუთავი გაზით ახრჩობდნენ. რუსული ჯავშანი ერთობ მყიფე აღმოჩნდა იაპონელთა შიმოზით აღჭურვილი ჭურვებისთვის. ამიტომ ვერც ერთი რუსული ხომალდი ვერ გადაურჩა ჩაძირვას.

ცუსიმასა და პორტ-არტურთან განვითარებული მოვლენების შემდეგ ყველასთვის ნათელი შეიქნა, რომ საქმე არა მხოლოდ ჯავშნის სისქეში, არამედ მის ხარისხში იყო.

მეტალურგებმა კარგად იცოდნენ, რომ თუ ლითონს ამა თუ იმ ნივთიერებას დაუმატებდნენ (მაგალითად, ნახშირბადის შემცველობის მომატება ან დაკლება) ფოლადის ფიზიკური თვისებები მკვეთრად შეიცვლებოდა. ასე წარმოიშვა ე. წ. საფლობი, ფოლადი, — ჭურვი ჯავშანში მოხვედრისას მასში ეფლობოდა და ძალასა და სიჩქარეს კარგავდა. ესეც არ იყოს, ჯავშნის მოქლონებით დამაგრების გარდა, ჯავშნის შედუღებაც ისწავლეს.

## ტანკები

სულ მალე პირველი მსოფლიო ომი დაიწყო და ჯავშნისა და ჭურვის დაპირისპირებას ახალი ასპარეზი გადაეშალა. დაპირისპირება განსაკუთრებით მაშინ გამწვავდა, როცა ჯავშნოსანი ურჩხულები ხმელეთზეც გამოჩნდნენ. პირველად ინგლისელებს მოუვიდათ აზრად მათი გამოყენება (პირველი ტანკები ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო

**ტანკების გამოყენება პირველად ინგლისელებს მოუვიდათ აზრად**



**გერმანული ტანკსაწინააღმდგო ქვემეხის PAK-38 საბრძოლო გათვლა**





გერმანული „Tiger“



გერმანული „Mause“



საბჭოთა Т-34



საბჭოთა ИС-2

უწყებას ჰყავდა). გერმანელი ჯარისკაცები ამ მონსტრების დანახვისთანავე საომარი პოზიციებიდან თავზარდაცემულნი და დაფეთებულნი გარბოდნენ. როგორც აღმოჩნდა, ქვემეხი, ტყვიამფრქვევი და შაშხანა მათ ვერას აკლებდა და მიუხედავად იმისა, რომ პირველივე ბრძოლაში ტანკების უმრავლესობა გაფუჭდა ან ტალახში ჩაეფლო, შთაბეჭდილება კოლოსალური იყო. ომის მსვლელობა სამუდამოდ შეიცვალა.

## ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები და თოფები

ტანკების გამოჩენამ მათი საწინააღმდეგო იარაღის დამუშავება დააჩქარა. 30-იან წლებში ყველაზე საუკეთესოდ ითვლებოდა გერმანული ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი PAK-38. იგი თითქმის ზუსტად გადმოიღეს საბჭოთა მეიარაღეებმა და „სოროკოპიატკა“ უწოდეს. ამასთან, დაიწყეს გაცილებით მძლავრი ქვემეხების გაკეთება, მაგრამ სსრკ-ს სამხედრო ტექნიკის მაშინდელმა გამგებელმა, მარშალმა კულიკმა მათი წარმოება შეაჩერა. ისინი მხოლოდ მაშინ გაახსენდათ, როცა ვერმახტის ჯავშანსატანკო დივიზიები უკვე მოსკოვთან იდგნენ.

ტანკსაწინააღმდეგო თოფი პირველად 1918 წელს შექმნეს გერმანელებმა. იგი 1898 წლის „მაუზერის“ ფირმის ზუსტ ასლს წარმოადგენდა, ოღონდ ორჯერ უფრო დიდი იყო (კალიბრი 13,35 მმ) და ერთ ტყვიას იტევდა. 30-იან წლებში სამხედრო სპეციალისტები თვლიდნენ, რომ ტანკსაწინააღმდეგო თოფი საერთოდ არ იყო საჭირო. გერმანელებმა შეიარაღებაში დაიტოვეს მხოლოდ გერმანული ZB-39, უნგრული „სოლოტურნი“ და შვეიცარიული „ერლიკონი“ – ისიც მცირე ოდენობით. საბჭოთა კავშირმა კი კულიკის წყალობით საერთოდ შეწყვიტა ტანკსაწინააღმდეგო თოფების წარმოება. ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა ქვეითი ჯარისკაცები გერმანულ ტანკებს თითქმის შიშველი ხელებით ებრძოდნენ, ერთადერთი „ეფექტიანი იარაღი“ „მოლოტოვის კოქტეილი“ გახლდათ. საბჭოთა ჯარში ტანკსაწინააღმდეგო თოფები მხოლოდ 1941 წლის შემოდგომაზე გამოჩნდა.

## ლეგენდა თუ...

ცნობილი გერმანელი ტანკისტი ოტო კარიუსი თავის მემუარებში წერდა: „თავზარი დაგვცა რუსების ახალი ტანკის, Т-34-ის მოულოდნელმა გამოჩენამ. ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, – როგორ შეიძლებოდა ასეთი მშვენიერი სამხედრო მანქანის არსებობის შესახებ ჩვენს ხელმძღვანელობას არაფერი სცოდნოდა. Т-34 თავისი უმტკიცესი ჯავშნით, იდეალური ფორმითა და საუკეთესო 76,2-მილიმეტრიანი ქვემეხით შიშის ზარს სცემდა ყველას. მისი ყველა გერმანელ ტანკისტს ეშინოდა. Т-34-ის შეჩერება მხოლოდ მძიმე, 88-მილიმეტრიან საზენიტო ქვემეხს შეეძლო“.

გერმანელმა ინჟინრებმა ყურადღებით შეისწავლეს საბჭოთა „სასწაული“. გაირკვა, რომ ჯავშნის გამძლეობის მთელი არსი მის დაქანებაში მდგომარეობდა. გარკვეული კუთხით დაქანებული ჯავშნის ფილები მოწინააღმდეგის ჭურვებს ისხლეტდნენ. დახრილი 60-მილიმეტრიანი ჯავშანი გამძლეობით 150-მილიმეტრიანი ჯავშნის ეკვივალენტი ხდებოდა. გერმანელმა გენერლებმა კონსტრუქტორებს უბრძანეს, სასწრაფოდ გაეკეთებინათ Т-34-ის სრული ასლი, 1943 წლისთვის შეიქმნა ტანკი „პანტერა“, მაგრამ იგი კონსტრუქციულად ერთობ რთული იყო, რაც ტანკისტებს მრავალ პრობლემას უქმნიდა.

Т-34-ის საწინააღმდეგო იარაღად გერმანელებისთვის ვოლფრამი იქცა. იმ დროისთვის ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები ჩვეულებრივი გამოწრთობილი ლითონისგან მზადდებოდა. ახალი ქვეკალიბრული ჭურვი კი ფორმით ნემსს წააგავდა და დიდი ოდენობით ვოლფრამს შეიცავდა, რომელიც ლითონის გარსაცმში იყო ჩაჭირხნული. ასეთი ჭურვის ტანკის ჯავშანზე მოხვედრისას „ნემსი“ გარსაცმს გამოარღვევდა, დამატებით ენერგიას იღებდა და ჯავშანს ხვრეტდა. გერმანიაში ვოლფრამის საბადოები არ არსებობდა. სტრატეგიულ ნედლეულს გერმანელები ბრაზილიიდან წყალქვეშა ნავებით ეზიდებოდნენ. საბჭოთა სარდლობა მოკავშირე ამერიკელებსა და ბრიტანელებს დაუკავშირდა და მათაც სწრაფად მოახერხეს ვოლფრამის ტრანსპორტირების ბლოკირება. მალე გერმანელებს „სპეცჭურვები“ შემოელიათ, რის გამოც სატანკო ქვემეხების სიმძლავრისა და კალიბრის გაზრდამ მოუწიათ.

## სუპერტანკები

1943 წლისთვის გერმანელთა შეიარაღებაში ე. წ. „მხეცურ-მტაცებლური“ ოჯახის ტანკები გამოჩნდნენ – „ტიგრები“, „პანტერები“, „ელეფანტები“. კურსკის ბრძოლებში გერმანულ ტანკებსა და თვითმავალ ქვემეხებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ Т-34-ებთან. საბჭოთა ტანკის ქვემეხს მოწინააღმდეგის ჯავშნის გატანა მხოლოდ 400 მეტრის სიშორიდან შეეძლო. გერმანელები კი საბჭოთა ტანკებს 1000-1500 მეტრის მანძილიდან ხვრეტდნენ. როგორც ცნობილია,

კურსკის ბრძოლა წითელი არმიის გამარჯვებით დამთავრდა. ჰიტლერის ჯავშნიანი მუშტის შეჩერება არნახული თავგანწირვისა და ცოცხალი ძალის უდიდესი ნაწილის დაკარგვის ფასად მოხერხდა. ამ შემთხვევაში რაოდენობა ხარისხში გადაიზარდა.

მეორე მსოფლიო ომისდროინდელია საბჭოთა კონსტრუქტორების მიერ გამოშვებული „სუპერტანკებიც“ ИС-2 („იოსებ სტალინი“) და Т-34-85. მართალია, თავიდან ИС-2-ის 120-მილიმეტრიანი ქვემეხის ჭურვი ყოველთვის ვერ ახერხებდა „ტიგრის“ ფლობადი ჯავშნის გატანას, სამაგიეროდ ზუსტი მოხვედრებისას კოშკურებს გლეჯდა. საბჭოთა კონსტრუქტორები შეეცადნენ, გაეუმჯობესებინათ ჭურვების სიმძლავრე, მაგრამ იმ პერიოდისთვის გერმანელებს ფლობადი ჯავშნის დასამზადებელი ნედლეული ამოეწურათ და საბჭოთა ქვემეხები გერმანულ ჯავშანს ისევ კაკლის ნაჭუჭივით ამტვრევდნენ. ომის მიწურულს შეიარაღებაში ურთიერთმეტოქეობამ სამხედრო ტექნიკის ერთობ უცნაური ნიმუშები წარმოშვა. გერმანელებმა შექმნეს ზემძლავრი ტანკები და თვითმავალი ქვემეხები „სამეფო ტიგრი“, „იაგდპანტერა“, „შტურმტიგრი“ და „იაგდტიგრი“, რომელთა ქვემეხთა ლულების კალიბრი 100 მილიმეტრს აღემატებოდა, ჯავშანი კი 200 მილიმეტრს. საბჭოთა სამხედრო წარმოებამ საპასუხოდ ზემძლავრი თვითმავალი ტექნიკის გამოშვება დაიწყო, გამოვიდა ИСУ-152, СУ-122, СУ-100 (ციფრები ქვემეხთა კალიბრს აღნიშნავს) აგრეთვე, ტანკები ИС-3 და ИС-4. ყველა ეს ურჩხული ზედმეტი წონის გამო ძლივს დაბობღავდა და წამდაუწუმ ფუჭდებოდა. სატანკო ურთიერთშეჯიბრის სიბრიყვის მწვერვალად იქცა გერმანელების უკანასკნელი გამოგონება – ტანკი „მაუსი“, რომელიც 100 ტონას იწონიდა, მაგრამ მისი სერიული წარმოება არ დაწყებულა სულ „უბრალო“ მიზეზის გამო – გერმანია დამარცხდა.

## საზღვაო ჯავშანი

პირველი ჯავშნოსანი გემები მარტივი მეთოდით იქმნებოდა, – ჯავშნიან ფოლადის ნაჭრებს პირდაპირ გემის ხის კორპუსზე „აკრებდნენ“. ამის გამო ასეთი გემების საწყალოსნო თვისებები არასახარბიელო იყო. მათ იყენებდნენ როგორც მოძრავ ბატარეებს, მაგრამ მე-19 საუკუნის ბოლოს ჯავშნოსნები საკმაოდ სრულყოფილ ხომალდებად იქცნენ. ტექნიკური გარდატეხა მას შემდეგ მოხდა, რაც ინგლისელებმა ზღვაში გიგანტური ჯავშნოსანი „დრედნოუტი“ ჩაუშვეს. უზარმაზარმა გემმა, რომელიც ზემძლავრი 200-მილიმეტრიანი ქვემეხებით იყო შეიარაღებული, საფუძვლიანად შეცვალა მსოფლიო პოლიტიკა. იმ ქვეყნებმა, რომლებშიც მრეწველობა სათანადოდ იყო განვითარებული, სასწრაფოდ დაიწყეს სუპერხომალდების მშენებლობა. დრედნოუტები ჰქონდათ გერმანიას, საფრანგეთს, აშშ-სა და რუსეთსაც. მძიმე ჯავშნით დაფარული და მძლავრი იარაღით აღჭურვილი უზარმაზარი გემები, რომლებზეც ათასობით მეზღვაური ფუთფუთებდა, ყველას დაუმარცხებელი და ჩაუძირავი ეგონა. იმ დროისთვის სახელმწიფოს სამხედრო ძლიერება სწორედ ასეთი გემების რაოდენობით ფასდებოდა. მათი ეპოქის დასასრული პირველი მართვადი რაკეტების გამოჩენას უკავშირდება. ერთ ასეთ რაკეტას უზარმაზარი ჯავშნოსნის განადგურება შეუძლია. სახაზო გემის ზემძლავრ ქვემეხებს კი არ ძალუძთ მოქმედების სიშორეში რაკეტებისთვის მეტოქეობის გაწევა. ამის გამო საზღვაო ბრძოლებში პირველ პლანზე გადაინაცვლა სისწრაფემ და მანევრირებამ, სამხედრო ხომალდები პრაქტიკულად გათავისუფლდნენ ჯავშნისაგან.

## კუმულაციური ეფექტი

მეორე მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ბრძოლის ველზე ყველაზე სახიფათო პერსონაჟად არა ტანკი (განსაკუთრებით ქალაქებში) არამედ ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნით შეიარაღებული ჯარისკაცი იქცა. გერმანელმა ჯარისკაცებმა, რომლებიც „პანცერფაუსტებით“ იყვნენ შეიარაღებულები, მოკავშირეთა ურიცხვი ტანკი დაწვეს. ასეთი ყუმბარმტყორცნის ჭურვი კუმულაციური ეფექტის შედეგად (როცა აფეთქების მთელი ძალა ერთ წერტილშია ფოკუსირებული) გაზის უწვრილესი ჭავლით ადნობდა ჯავშანს, ტანკის შიგნით მოხვედრისას გაზი დამატებით წნევას ქმნიდა, ეკიპაჟი მაშინვე იღუპებოდა და ტანკის ჭურვების მარაგი ფეთქდებოდა.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, კუმულაციური ეფექტი სრულიად შემთხვევით აღმოაჩინეს: მე-20 საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთ სამხედრო სასწავლებელში სეიფის გასაღები დაიკარგა. არადა მასში მნიშვნელოვანი საბუთები ინახებოდა. როცა ვერაფრით გახსნეს, მისი აფეთქება გადაწყვიტეს. ერთ-ერთ მესანგრე ჯარისკაცს ტოლის ნაჭერი მისცეს და აფეთქებისთვის მომზადება უბრძანეს. ჯარისკაცის თქმით, თუ მთლიან ტოლს გამოიყენებდნენ, აფეთქება ზომაზე ძლიერი გამოვიდოდა და საბუთებს დააზიანებდა. მისი რჩევა ყურად იღეს და ტოლი შუაზე გაჭრეს... მართლაც, სეიფის კარი არ დაზიანებულა, სამაგიეროდ მის ჯავშანში ვიწრო გამჭოლი ნასვრეტი გაჩნდა. გაკვირვებულმა ოფიცრებმა მესანგრეს სთხოვეს, ეჩვენებინა, როგორ გაჭრა ტოლი. თურმე ჯარისკაცს ის ნახევარწრიულად გაუჭრია, ისე, როგორც პურს ჭრიან გლეხები. გამოთვლების შედეგად ნათელი შეიქნა, რომ ნახევარწრიული ფორმის ასაფეთქებელი მასალის გამოყენებისას აფეთქების ძალა ერთ წერტილში აკუმულირდება, რასაც კუმულაციური ძაბრი უწოდეს. აღმოჩენა გაკეთდა, მაგრამ მისი საჭიროებისამებრ გამოყენება ვერ მოხერხდა. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ გამოჩნდა რამდენიმე ქვეყანაში კუმულაციური საომარი მასალების ნაირსახეობა. უფრო ხშირად საავიაციო ბომბებსა და რეაქტიულ ჭურვებში გვხვდებოდა. ამ ტიპის საომარ მასალას წარმატებით იყენებდნენ საბჭოთა მოიერიშე ИЛ-2-ის პილოტები.

1942 წელს ამერიკელმა ინჟინრებმა დაამუშავეს ტანკსაწინააღმდეგო ნაღმმტყორცნი „ბაზუკა“. მისი კუმულაციური მუხტები იოლად აზიანებდა გენერალ რომელის აფრიკული კორპუსის მსუბუქი და საშუალო ტანკების ჯავშანს. სწორედ მაშინ შექმნეს გერმანელებმა ერთჯერადი „ფაუსტპატრონა“, რომელსაც ძალზე მძლავრი კუმულაციური საომარი ნაწილი ჰქონდა და თანაბრად სახიფათო იყო ყველა ქვეყნის ჯავშნიანი საომარი მანქანისთვის.

## დინამიკური დაცვა

ჯერ კიდევ გერმანული ქალაქების შტურმისას ჯარისკაცის ფხიზელმა თვალმა შეამჩნია, რომ თუ ტანკის ჯავშნის წინ რაღაც საგანი დევს, მაგალითად, ხის ყუთი ან ბენზინის ცარიელი ავზი, კუმულაციური ჭავლი ჯავშანგამტან ძალას კარგავს. მიზანმიმართული ჭავლი თითქოს იღლაბნება და უმიზნოდ იკარგება. საბჭოთა ტანკისტებმა საომარი მანქანების ჯავშანს გარს სილიანი ტომრები



დრედნოუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა




შემოუწყვეს და მათზე საწოლის ბადურებისა და ტანკის მუხლუხების მიდუღებაც დაიწყეს.

ამერიკელებმა და ინგლისელებმა სწრაფად შეაფასეს საბჭოელთა ინიციატივა და ჯავშანტექნიკისთვის მრავალფენოვანი ჯავშნის, „ჩობხემის“ გამოშვება დაიწყეს. ფენებს შორის სიცარიელე ნაკლებად მყარი მასალებით, მაგალითად, მინაქსოვილით ივსებოდა. ასეთ ჯავშანზე მოხვედრილი კუმულაციური ჭურვი გამჭოლ ძალას კარგავდა. ამგვარი ჯავშნის ერთადერთი უარყოფითი თვისება ის იყო, რომ საომარი მანქანის ფასი რამდენჯერმე იზრდებოდა.

არსებობს პრობლემის შედარებით მარტივი გადაწყვეტის ხერხი. ებრაელმა სამხედრო ინჟინრებმა, რომლებმაც თავიდან ვერაფერი მოუხერხეს არაბების მიერ მათ წინააღმდეგ გამოყენებულ საბჭოთა ყუმბარსატყორცნებს, ზედმიწევნით შეისწავლეს კუმულაციური ჭავლის ბუნება და მივიდნენ დასკვნამდე, რომ მისი დამანგრეველი ძალის შესამსუბუქებლად უმჯობესი იქნებოდა ტანკის ჯავშნის ასაფეთქებელი მასალით დაფარვა. ასეთ ჯავშანზე კუმულაციური ჭურვის მოხვედრისას ტანკის ზედაპირი ფეთქდებოდა და ჭურვის ჯავშანგამტან ძალას ფანტავდა. მალე ისრაელის ტანკები მცირე ზომის ყუთებით შემკეს, რომლებშიც ასაფეთქებელი მასალა იყო მოთავსებული. დაცვის ამ მეთოდს „დინამიკური“ ჯავშანი ეწოდება. მალე სხვა ქვეყნების ტანკებზეც გაჩნდა მსგავსი ყუთები, სამწუხაროდ ჩვენი თავდაცვის მესვეურები დაცვის ამ საშუალებას რატომღაც ჯეროვნად არ აფასებენ (იხ „არსენალი“ №11. 2005წ.).

## მართვადი რაკეტები

კუმულაციური იდეა ვითარდებოდა. სამოციანი წლების ბოლოს ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტები გამოჩნდა, რომლებიც მოწინააღმდეგის ტანკებს 8 კილომეტრის მანძილზე აზიანებდნენ. ე. წ. პტურებით (რუსული აბრევიატურა, რომლითაც ჩვენში ცნობილია ეს იარაღი) შეაიარაღეს არა მარტო ქვეითები, არამედ ვერტმფრენები და ჯიპები. დასავლეთში უფრო ამერიკული მართვადი რაკეტები: „ტოუ“, „დრაკონი“ და „ჰელფაერი“ გავრცელდა. დანარჩენ მსოფლიოში უპირატესობას საბჭოთა „პტურებს“: „ფაგოტს“, „ჰობოისა“ და „მეტისს“ ანიჭებდნენ.

მაშინ ბევრი სპეციალისტი ფიქრობდა, რომ საველე ბრძოლების მეფის, ტანკის ეპოქა მალე წარსულს ჩაბარდებოდა.

## „ცოცხალი“ ჯავშანი

ტანკების ჩამოწერაზე ფიქრი ჯერ ნაადრევი იყო და პასუხმაც არ დააყოვნა, — ეს იყო აქტიური დაცვა, რომელსაც ჟურნალისტებმა „ცოცხალი ჯავშანი“ უწოდეს. მისი პრინციპი ასეთია: ტანკს რადარულ სისტემას და რამდენიმე მეტალის ბურთულებიან ასაფეთქებელ მუხტს მოარგებენ. ასეთ ტანკთან საეჭვო ობიექტის (ჭურვის) მიახლოებისას მის შესახვედრად ლითონის ბურთულების ღრუბელი გაიტყორცნება, ჭურვი მიმართულებას კარგავს, უმიზნოდ ფეთქდება და ტანკი გადარჩენილია. ასეთი სისტემის ღირებულება თავად ტანკის ღირებულებას უტოლდება. პირველად „ცოცხალი ჯავშნით“ საბჭოთა T-55 ტანკები აღიჭურვა. სისტემა, სახელწოდებით „დროზდი“, რადარისა და მცირე ზომის მსხვრევად-ფუგასური ჭურვებით გატენილი მორტირისაგან შედგებოდა. მართვადი რაკეტის მოახლოებისას მორტირა ჭურვს გაისროდა, მისი აფეთქების შედეგად წარმოქმნილი ნამსხვრევები კი რაკეტას მიზანს უკარგავდა. 1983 წელს საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა სისტემა „დროზდ-2“ მიიღო.

ამერიკული სისტემა Close - in Counter measure system (CICS) სენსორული ბლოკისა და მორტირების მთელი ბატარეისგან შედგება. თითოეულ მორტირას 55 ლითონის ბურთულის გასროლა შეუძლია.

ახლახან რუსეთში შეიქმნა შედარებით უფრო სრულყოფილი სისტემა, სახელწოდებით „არენა“. ეს არის მთლიანრაკურსიანი სარადარო სისტემა, რომელსაც მსხვრევად-ფუგასური ჭურვების 32 კასეტა ახლავს. ცდებმა ცხადყო, რომ სისტემას შეუძლია მართვადი რაკეტების 70%-ის განადგურება.

## „მფრინავი ტანკები“

ჯავშნისა და ჭურვის მეტოქეობა არანაკლებ დრამატულად მიმდინარეობდა ჰაერშიც, ვიდრე წყალსა და ხმელეთზე. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს აწუხებდათ მფრინავებს ხმელეთიდან თავდაცვის პრობლემა. მაშინდელი საფრენი აპარატი ხომ ფანერისა და ქსოვილისგან იყო გაკეთებული, რომლის ჩამოგდება ნებისმიერ ქვეითს შეეძლო უბრალო შაშხანის ტყვიით. ამ შემთხვევაში დაცვის არცთუ ურიგო საშუალებას უბრალო, ბანალური ტაფა წარმოადგენდა, რომელსაც მფრინავები საჯდომქვეშ იმაგრებდნენ. თუმცა 1915 წლისათვის გამოჩნდა საზენიტო ქვემეხები, რომელთა წინააღმდეგაც ტაფა უძლური აღმოჩნდა.

თავიდან აქცენტი მფრინავის დაცვაზე კეთდებოდა. ჯავშანი მფრინავებს ზურგიდან და ქვემოდან იცავდა, მაგრამ თავად თვითმფრინავი დიდი ხნის განმავლობაში დაუცველი რჩებოდა. ავიაკონსტრუქტორებმა ვერაფრით შეუფარდეს ერთმანეთს თვითმფრინავის წონა და მისი საფრენი თვისებები — ოდნავ გაამაგრებდნენ თუ არა თვითმფრინავის კორპუსს თხელი ჯავშნით, მაშინვე საჰაერო ლოკოკინად გადაიქცეოდა ხოლმე. რევოლუცია ამ საქმეში საბჭოთა მოიერიშე Ил-2-მა მოახდინა. ილიუშინმა ნაცვლად იმისა, მზა თვითმფრინავი ჯავშნით აღეჭურვა, თვითმფრინავის ასაგებ მასალაშივე გაითვალისწინა ჯავშანი, რის გამოც Ил-2 იმ დროის ერთ-ერთ საუკეთესო საომარ მანქანად იქცა. გერმანელი მფრინავი ჰანს ულრიხ რუდელი მემუარებში წერდა: „საბჭოთა თვითმფრინავები ყოველ ღამე გვესხმიან თავს ორიოლის რაიონში... მოიერიშე „რკინის გუსტავები“ (ВК-2) შეტევაზე გადმოდიან და ჩვენი თვალით ვხედავთ, როგორ ისხლეტს მათი თვითმფრინავების ჯავშანი 20-მილიმეტრიან ჭურვებს“.

გერმანელებმაც შექმნეს ორმოტორიანი მოიერიშე „ჰენშელი“. ამ დროისთვის ამერიკელებსაც ჰქონდათ მოიერიშე „გრიზლი“, რომელსაც მძლავრი ასმილიმეტრიანი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი იყო დაყენებული, მაგრამ რაოდენობითა და საბრძოლო თვისებებით მეორე მსოფლიო ომის აშკარა ლიდერი Ил-2 იყო.

ომის დასასრულს Ил-2-ის ბაზაზე დამუშავდა მოიერიშე Ил-10, რომელსაც გაუმჯობესებული კონსტრუქცია ჰქონდა, აღჭურვილი იყო მძლავრი ტანკსაწინააღმდეგო იარაღითა და თვითშეწოვადი საწვავის ავზებით. ომისშემდგომ საბრძოლო ვერტმფრენთა ერა დაიწყო. 60-იან წლებში თვლიდნენ, რომ ვერტმფრენები შეიარაღებიდან მოიერიშე თვითმფრინავებს გამოაძევებდნენ, თუმცა დრომ დაამტკიცა, რომ ისინი ყოველთვის საჭირონი და გამოსადეგნი იქნებიან.

# არსენალვორდი



**თარაზულად:** 6. საქართველოს თავდაცვის მინისტრი; 7. ქვეითი ჯარის მოძველებული სახელწოდება; 8. ჯარისკაცი თურქეთში; 9. ისლანდიის დედაქალაქი; 13. ღვინის საცავი; 14. ფეთქებადი ნივთიერების მუხტი, რომელსაც დებენ მიწაში ან წყალქვეშ; 16. ისრაელის 81-მმ-იანი ნაღმსატყორცნი; 17. საჭიდაო ხალიჩა; 18. ქართველი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე სულხან-... ორბელიანი; 19. პეტრე პირველის ცხენი; 21. საეკლესიო წესების კრებული; 24. ამა თუ იმ სახელმწიფოს დაზვერვის ორგანოების საიდუმლო თანამშრომელი, რომელიც აწყობს დაზვერვას, დივერსიებს და სხვა; 27. უნგრული ღვინო; 28. ჯუჯა კამეჩი; 29. დანაშაულის განმეორებითი ჩადენა; 30. ბერძენთა ჯარების მთავარსარდალი ტროას ომში. **შვეულად:** 1. ხარების ბრძოლა; 2. ადამიანებით ვაჭრობა; 3. შორეული ნაოსნობის დიდი საოკეანო გემი; 4. ასე უწოდებდნენ ფაშისტურ გერმანიაში ჰიტლერს; 5. თვითნებობასა და ძალადობაზე დამყარებული მმართველობა; 10. მექსიკის მთავარი სამხედრო საზღვაო ბაზა; 11. დიდი ტოტებიანი შანდალი რამდენიმე სანთლის ჩასამაგრებლად; 12. კაპიტალისტური მონოპოლიის ერთ-ერთი სახე; 13. ძველად ვაჭარი, რომელიც მიზდევდა ჯარს ლაშქრობაში და ყიდდა სურსათს და სხვა წვრილმანს; 14. რომელიმე წყლის აუზში არსებული სამხედრო გემების ერთობლიობა; 15. ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობა კვადრატის სახის, იყენებდნენ ძველად კავალერიის შეტევის მოსაგერიებლად; 20. ხასიათი; 22. სასიგნალო ასაფეთქებელი ჭურვი, რომელსაც უდებენ ლიანდაგზე მატერებელს, მის გასაჩერებლად მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით; 23. ლითონის მრგვალი ან ოვალური ნიშანი ფორმის ქუდზე; 25. იტალიური საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი; 26. ირანის სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის სახელწოდება.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* ***თარაზულად:*** 1. გუანტანამო; 6. ფეიერვერკი; 8. ბრაკონიერი; 11. ვადა; 12. მეკვლე; 13. გალიფე; 16. ტარანი; 18. მეკარე; 19. შინელი; 20. ძლიერი; 21. რინო; 22. აპართეიდი; 25. ანარქია; 26. პაციფისტი; 28. რაპირა; 30. ნოინი; 31. ჯიჰადი. ***შვეულად:*** 1. გრიფონი; 2. ასპიდე; 3. არავა; 4. აბორდაჟი; 5. ორდინარეცი; 7. კამკამიძე; 8. ბუკი; 9. კრეისერი; 10. იაგდტაში; 14. ლორინგი; 15. კაპელანი; 17. ნელსონი; 21. რია; 22. ატამანი; 23. თეირანი; 24. ისტორია; 27. ალია; 29. ირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინგლისური დამღები

## (სანადირო იარაღის გამოცდა)



ინგლისურ სანადირო იარაღს მსოფლიო ბაზარზე მიზეზთა გამო განსაკუთრებული ადგილი უკავია. ახალ იარაღთან ერთად თავს იწონებს უხვად შემორჩენილი საუკუნოვანი თოფები. ცნობილი ინგლისური ფირმების ნახელავი მაღალი კლასის თოფების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ რევოლუციამდელი რუსეთის იმპერიისა და დემოკრატიული საქართველოს დროიდან არის შემორჩენილი. ეს ინგლისური სანადირო თოფების პრესტიჟულობითა და შედარებით მაღალი ფასით აიხსნება. ამიტომ მონადირეები და იარაღის მფლობელები იძულებულნი იყვნენ, მოფრთხილებოდნენ მათ. სამწუხაროდ, ამ თოფებმა გზა გაიარეს, ბევრმა რამდენიმეჯერ გამოიცვალა მფლობელი და ახალ მეპატრონეებს თოფის ღირსებების გარკვევაში თავად თოფზე დატანილი დამღები თუ ეხმარება. ვისაც ბრიტანული იარაღი არ უნახავს, შეიძლება გაიკვირვოს, საფირმო იარაღს ხომ მწარმოებლის ნიშანი აქვს, მეტი რა გინდათო, მაგრამ შეცდება, რადგან ძვირად ღირებულ თოფებს მწარმოებლის ნიშნების გარდა სხვადასხვა დამღა ამშვენებს. დამღა მიუთითებს, ვინ და რა პირობებში გამოსცადა კონკრეტული თოფი, მისი ლულა და ა.შ. მოგეხსენებათ, ინფორმაციის მისაღებად მხოლოდ დამღა ვერაფერიშვილია, თუ მისი გამშიფვრელი ვერ მოიძიეთ. ამიტომ იარაღის მოყვარულები დიდ დროსა და ენერგიას ხარჯავენ თოფებზე აღნიშნული სხვადასხვა სახის ემბლემების ამოსახსნელად. რამდენიმე მათგანი ჩვენც დაგვიკავშირდა და ამიტომ გადავწყვიტეთ ინგლისური თოფების დამღებზე ინფორმაცია შეგვეგროვებინა. სხვათა შორის, ინგლისური იარაღისადმი მიძღვნილი ლიტერატურა ყველა სხვა ქვეყნისას აღემატება სიმრავლით. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პუბლიკაციებში ადრინდელში დაშვებული შეცდომები მეორდება, რის გამოც ობიექტური და სრულყოფილი პასუხები ერთობ მნიშვნელოვან კითხვებზე დღესაც არ არსებობს. მაგალითად, როგორ აღინიშნება ინგლისური საფანტის თოფის ლულის კალიბრი და სავაზნის ზომა, ან როგორ ცდიან ინგლისელები თოფებს? მიზეზი კი მხოლოდ ერთია — ორიგინალური ლიტერატურისადმი ხელმიუწვდომლობა.

პუბლიკაციის მომზადებაში სხვადასხვა სახის ლიტერატურა გამოვიყენეთ, მიუხედავად ამისა, მასალას, რომლის მკითხველიც თქვენ ამ წუთში ბრძანდებით, სრულყოფილების პრეტენზია არ აქვს.



**Stephen Grant-ის თოფი. დიდი ბრიტანეთი**

**თოფი W&C Scott&Son, მოდელი Premier**

უკვამლო დენთით თოფების გამოცდა ბრიტანეთში 1896 წლიდან დაიწყეს. ამ დროს მსოფლიოს სანადირო თოფების მწარმოებელი ფირმები უკვამლო დენთის გამოყენებაზე გადადიოდნენ, რადგან უკვამლო დენთმა ყველა ქვეყნის მონადირეებში პოვა აღიარება. სასინჯი გასროლების შემდეგ ლულებს დაღავდნენ „N" და „P" ასოებით. ბირმინგემში ასოებს გვირგვინით ამკობდნენ, ლონდონში კი ასოებს თავზე რაინდისხმლიანი ხელი ეხატა. იყო შემთხვევები, როდესაც მხოლოდ დამღა-წარწერას „Nitro Proof"-ს სჯერდებოდნენ. ამ წარწერას ხშირად სიტყვა „Maximum"-თან ვხვდებით. ცნობარის თავიდანვე შეცდომით თარგმნამ ის გამოიწვია, რომ დამღას გაორმაგებული (80-100%-ით აღემატება ჩვეულებრივს) წნევის მანიშნებლად თვლიან. სინამდვილეში კი იარაღის გამოცდის დროს საცდელი ვაზნის წნევა ყოველთვის აღემატება ნებისმიერ სანადირო თუ სპორტული ვაზნების წნევას. იარაღის გამოცდისას ყველა ქვეყანაში ეს აქსიომად არის ქცეული. ინგლისურ თოფებზე წარწერა და საფანტის ზომა (უნციებში) სინამდვილეში საფანტის მაქსიმალურად დასაშვებ ზომას აღნიშნავს.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ხშირად სხვაგვარ მარკირებასაც მიმართავდნენ, რომელშიც იმ დენთის სახეობის შემოკლებული სახელწოდება იყო მითითებული, რომელსაც იარაღის გამოცდის დროს იყენებდნენ. აგრეთვე მითითებული იყო დენთის დასაშვები რაოდენობა გრანებში და საფანტის დასაშვები წონა უნციებში. შეგახსენებთ, რომ ერთი ინგლისური უნცია 38,35 გრამს უდრის, ერთი გრანი კი — 0,0648 გრამს.

1904 წელს ინგლისური კანონები შეიცვალა და ამან თოფების გამოცდის პირობებისა და მათი დადაღვის წესების შეცვლა გამოიწვია. 1900-10 წლებში რუსეთის იმპერიაში ყველაზე მეტი ინგლისური იარაღი შევიდა. ინგლისური იარაღით მომარაგდა საქართველოც, სადაც კავკასიის მთავარ ქალაქ ტფილისში საგანგებო საფირმო მაღაზიები იყო გახსნილი. ამ დროისთვის თოფების უკვამლო დენთით გამოცდა აუცილებელ პირობად გამოცხადდა და მარკირების შედარებით მარტივი პროცედურა შემოიღეს. დენთის დასახელების დამღაზე დატანა აუცილებელი აღარ იყო. ბირმინგემის საიარაღო ფაბრიკამ „N“ და „P“ ასოები გვირგვინთან ერთად შეინარჩუნა, ისევე როგორც ლონდონურმა ფირმა „N“ „P“ რაინდისმახვილიანი ხელის გამოსახულება.

## სავაზნის კალიბრი – ლულის კალიბრი

1887 წლიდან დამღაზე სავაზნის ზომის აღნიშვნა დაიწყეს. იგი რომბის ფორმის იყო, რომლის შიგნითაც სავაზნის კალიბრი ციფრებით იყო მითითებული. აქვე იყო ასო „C“ (სიტყვა „Calibre“). ამ დამღის დაწვრილებით განხილვა მოგვიწევს, რადგან სავაზნის კალიბრის განსაზღვრისას (განსაკუთრებით ძველი თოფებისა) მრავალი კითხვა და პრობლემა წარმოიშვება ხოლმე. ვაზნის (რომელიც სავაზნეში მჭიდროდ, მაგრამ ძალდაუტანებლად ჯდება) შიდა დიამეტრი ლულის არხის დიამეტრს უნდა შეესატყვისებოდეს. თავის მხრივ ვაზნის გარედიამეტრი სავაზნის შიდადიამეტრს უნდა ესადაგებოდეს.

მუყაოს სქელკედლიანი ვაზნებისთვის ერთი და იმავე კალიბრის ლულებსა და სავაზნეებს ამზადებდნენ. შესაბამისად, მარკირებასაც ერთი ციფრით ახდენდნენ. თხელკედლიანი, მაგალითად, თითბრის ვაზნებისთვის კი შეიძლებოდა სავაზნე ნაკლები კალიბრისა ყოფილიყო. მაგალითად, 12-კალიბრიან თოფს შეიძლებოდა 14-კალიბრიანი სავაზნე ჰქონოდა, 20-კალიბრიანს კი 24-კალიბრიანი სავაზნე. ასეთ შემთხვევაში ლულაზე ასვამდნენ „12“-ს (ან 20-ს), რომელიც თოფის კალიბრს აღნიშნავდა. რომბში კი ციფრ 14-ს (ან 24-ს) სვამდნენ, ესე იგი სავაზნის შიდა დიამეტრი 14 (24) კალიბრს შეესატყვისებოდა. ამასთან, ვაზნების შიდადიამეტრი და ლულის არხის დიამეტრები უდიდესი სიზუსტით ემთხვეოდა ერთმანეთს. თანამედროვე იარაღის წარმოებაში მსგავსი რამ აღარ გვხვდება, იმ დროს კი ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მაგალითად, გამოჩენილი ინგლისელი მეიარაღე ოსტატის, კილბის ნახელავ თოფს, რომელიც მე-19 საუკუნის 90-იან წლებშია დამზადებული, ლულები 12 კალიბრისა აქვს, სავაზნეები კი 14-ისა. ასეთივე მარკირება აქვს ამავე წლებში გამოშვებულ ჯეიმს პარდეს 12-კალიბრიან თოფსაც.

შესაძლებელია წააწყდეთ სავაზნისა და ლულების სხვაგვარ მარკირებასაც. ასო „L“-ის შემთხვევაში იგულისხმება, რომ სავაზნის სიგრძე სამი დუიმია (76მმ), ანუ დაგრძელებულია. ყველაზე ხშირად 60; 63,5; 65; 70 მმ-იანი სავაზნეები გვხვდება. დანიშნულების მიხედვით თოფს შესაძლებელი იყო ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი ზომის სავაზნე ჰქონოდა. თუმცა ზოგიერთი მეიარაღე საერთოდ არ აღნიშნავდა ამას ლულაზე. მაგ. ლონდონელი ოსტატის, ჯეიმს ლანგის 10-კალიბრიან თოფს არ აქვს ასეთი დამღა. არსებობს მცდარი აზრი, რომ თუ ინგლისურ თოფში 70-მილიმეტრიანი ვაზნა ეტევა, სავაზნე გაჩარხულია. სავაზნის ორიგინალური სიგრძის დადგენა შეიძლება საფანტის დასაშვები წონის მიხედვით, რომელიც ლულისქვეშა ბალიშზეა მითითებული. თუ საფანტის წონა 1 1/8 უნციას უდრის, სავაზნე 65 მილიმეტრის ტოლი იქნება, ხოლო თუ 1 1/4 უნციას – 70 მილიმეტრს. 1925 წლიდან ისევ შეიცვალა დამღის დასმის წესები, რამაც სავაზნის ზომის ამოცნობა გაამარტივა. სიგრძეს აღნიშნავენ დუიმებში, ძირითადი დამღის გვერდით მოთავსებულ რომბში, ასოებით და ციფრებით, რომლებიც იარაღის კალიბრსა და სავაზნის ზომებს მიუთითებენ. უკვამლო დენთით გამოცდის აღმნიშვნელი მონაცემების დამღაზე დატანა გაუქმდა.

## დუიმის მეათასედ ნაწილამდე

შემდგომი ცვლილებები ინგლისური სანადირო თოფების გამოცდის პირობების დადგენაში 1954 წელს მოხდა. ადრინდელი დამღები უცვლელი დარჩა, გაუქმდა შემოწმების დამღის აუცილებლობა. სავალდებულო გახდა ლულის არხის დიამეტრის მითითება დუიმის მეათასედ ნაწილამდე და გასროლის დროს დასაშვები წნევის სიდიდის აღნიშვნა ჩვენთვის უჩვეულო სიდიდის ერთეულში (ტონებში თითოეულ კვადრატულ დუიმზე). ინგლისური სანადირო თოფის მარკირება მარტივი და ადვილად აღსაქმელი გახდა. 1968-82 წლებში ინგლისურ კანონმდებლობაში იარაღის შესახებ ცვლილებები შეიტანეს, მაგრამ გამოცდების პირობები და დამღის დასმის წესები უცვლელი დარჩა. უკანასკნელმა კანონმა გაართულა სანადირო იარაღის მოხმარებისა და შენახვის წესები, ამის გამო ბევრმა კოლექციონერმა აუქციონებზე გაიტანა ცნობილი ოსტატების ნახელავი საუკეთესო თოფები.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ინგლისური თოფების უმრავლესობა ჩვენში მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20-ის დასაწყისში შემოვიდა. ცალკე აღნიშვნის ღირსია მეორე მსოფლიო ომის შემდგომდროინდელი პერიოდიც. როცა ალაფის სახით უამრავი ევროპული იარაღი შემოიტანეს სამშობლოში დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა, მათ შორის იყო ძვირფასი და უნიკალური ინგლისური სანადირო თოფებიც, რომელთა ესთეტიკურ და რარიტეტულ დანიშნულებაზე თითო-ოროლა ადამიანი თუ ფიქრობდა, მხოლოდ პრაქტიკული დანიშნულებისთვის იყენებდნენ. ამის გამოც ამ იშვიათი იარაღის უმრავლესობას სავაზნეები კუსტარული წესით ტულის თოფების დონეზე, 70 მილიმეტრამდე აქვთ გადაჩარხული, გადაკეთებულ იარაღს კი რარიტეტულობა დაკარგული აქვს და სრულყოფილ ანტიკვარულ ნივთად აღარ ითვლება, შესაბამისად, ფასიც დაბალი აქვს.

როგორც მოგახსენეთ, უნიკალური იარაღის გაუთვითცნობიერებელი მფლობელები ხშირად ცდილობენ თავიანთი თოფების წარმომავლობის, გამოშვების თარიღის, საიარაღო ფირმისა და ოსტატის ვინაობის, ვარგისიანობისა და ღირებულების დადგენას და ხშირად ჩიხში ექცევიან, რადგან შესაბამისი ლიტერატურა ქართულ ენაზე, ფაქტობრივად, არ არსებობს, ხოლო რუსულ ენაზე გამოცემული ცნობარების უმრავლესობა კი ინგლისურიდან თარგმნილია და ხარვეზებითაა სავსე. დაინტერესებულ მკითხველს ვურჩევთ ისევ ინგლისური იარაღის საცნობარო ლიტერატურას მიმართოს.




1 2 3 4 5 6

1. გამოცდის დამადასტურებელი დამღა (ლონდონი) გამოიყენება 1713 წლიდან;
2. უკვამლო დენთით გამოცდის დამღა (ლონდონი);
3. გამოცდის დამადასტურებელი დამღა (ბირმინგემი) 1904-1954;
4. უკვამლო დენთით გამოცდის დამღა (ბირმინგემი) 1904 წლიდან დღემდე;
5. უკვამლო დენთით გამოცდის დამღა (ლონდონი) 1904 წლიდან დღემდე;
6. უკვამლო დენთით გამოცდის დამღა (ბირმინგემი) 1954 წლამდე იხმარებოდა ასო B-ს გარეშე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

# S class

## ისტორია



Mercedes S 500 W221 (2006)



Mercedes 300 Adenauer (1951-1962)



Der Grosser Mercedes 770



Mercedes 220-220 SE Ponton W180/128 (1954-1959)

პირველ S კლასის „მერსედესად“ ოფიციალურად W116 სერიის ავტომობილი ითვლება. სწორედ ის, ორბამპერიანი, უმეტესწილად ყავისფერი მანქანები (1971-80წ.წ. წარმოება), რომლებიც საქართველოში 15-18 წლის წინ გამოჩნდა. „მერსედესის“ წარმომადგენლობითი კლასის არაოფიციალური ისტორია კი მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე დაიწყო. ამ მარკის მანქანა მაშინ ერთ-ერთი ყველაზე ზორბა, სოლიდური გარეგნობისა და ძვირად ღირებული იყო. მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ, მესამე რაიხის ოფიციალურ ავტომობილად Der Grosser Mercedes 770 მოდელი ითვლებოდა, რომელსაც კომპრესორული გრძივი განლაგების რვაცილინდრიანი ძრავა ჰქონდა.



Mercedes 220 SE-300 SE W111/112 (1959-1965)

**პირველი ოფიციალური S კლასი**



Mercedes 280 S-450 SEL 6.9 W116 (1971-1980)



Mercedes 250 S-300 SEL 6.3 W108/109 (1965-1971)

**„შეიხების მერსედესი“**



Mercedes 280 S-560 SEL W126 (1979-1991)


არსენალი
S OG 6219
Mercedes-Benz S class



Mercedes S 280-S 600 W140 (1991-1998)



Mercedes S 320 CDI-S 600 W220 (1998-2005)



Mercedes W180/128 (1954-1959)

Mercedes W111/112 (1959-1965)



Mercedes W108/109 (1965-1971)



Mercedes W116 (1971-1980)



ომის შემდეგ „მერსედესი" ელიტური კლასის მანქანების რიგს ექვსფანჯრიანი W186 სერიის სედანით დაუბრუნდა (1951-1962წწ). ე. წ. Adenauer Mercedes-ს სახელი მაშინდელი კანცლერის, კონრად ადენაუერის პატივსაცემად დაარქვეს, რადგან კანცლერს კონცერნის აღდგენაში დიდი წვლილი მიუძღოდა. ეს მანქანა სხვა რამითაც არის გამორჩეული – „მერსედესების" ისტორიაში პირველად სწორედ „ადენაუერებზე" გაჩნდა პირველი „ავტომატი" (სამსაფეხურიანი სიჩქარეთა კოლოფი Borg-Warner), საწვავის მექანიკური შეფრქვევის მოწყობილობა (1954 წლიდან) და სიმყარის შეცვლის უნარის მქონე უკანა საკიდრები.

წარმოსადეგი „ადენაუერის" პარალელურად გამოდიოდა პრესტიჟული Mercedes 220 W180/128 (1954-1959), რომელიც ჩვეულებრივი „მერსედეს 180"-ის მდიდრულად გაფორმებულ კომბინაციას წარმოადგენდა – გრძივი 2,2 ლიტრის მოცულობის ძრავათი, პონტონური ძარითა და გაუმჯობესებული სალონით.

1959 წელს პონტონური ძარები წარმოებიდან მოიხსნა და საფლაგმანო სედანად Mercedes 220 W111/112 იქცა. მას ახალი ტიპის ძარა და მაშინდელი ამერიკული მანქანებისთვის დამახასიათებელი გამოკვეთილი უკანა „ფარფლები" ჰქონდა. 1961 წელს სამოდელო რიგს დაემატა ვერსია 300 SE, რომელსაც ახალი 6-ცილინდრიანი ძრავა, თვითბლოკირებადი დიფერენციალი, „დანლოპის" დისკოსებრი მუხრუჭები და პნევმოელემენტებით გაძლიერებული საკიდარი ჰქონდა.

1963 წელს საფლაგმანო მანქანად დიდებული Mercedes-Benz-600-ი (სერია W100) იქცა. მას ორი ტიპის ძარა ჰქონდა – ლიმუზინი და სედანი. ჰქონდა პნევმოსაკიდრები, რომლებიც როგორც ავტომატურად, ისე მექანიკური ზემოქმედებითაც იცვლიდა სიმაღლეს. ხელის, ანუ დგომის მუხრუჭი მანქანის დაძვრისთანავე ავტომატურად ითიშებოდა. სავარძლებს ელექტრორეგულატორი ჰქონდა, ხოლო უკანა მინას ელექტროგათბობის მოწყობილობა. რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ამერიკულ მანქანებს გაცილებით ადრე ჰქონდათ, ევროპისათვის კი სიახლე იყო. პირველ „ექვსასიანს" დიდხანს, 1981 წლამდე აწარმოებდნენ.

მათ პარალელურად Daimler-Benz-ი აწარმოებდა წარმომადგენლობით სედანებს. 1965-71 წლებში W108/109 სერიის ავტომობილი, რომლის სტილზე შტუტგარტული ფირმის მაშინდელი შეფდიზაინერი, გენიალური პოლ ბრაკი ზრუნავდა, ოთხფარნიანი ოპტიკითა და ცვლადი დენის გენერატორით (დინამოს ნაცვლად) იყო აღჭურვილი. მანქანა გამოირჩეოდა ახალი, „უსაფრთხო" ძარითაც, რომელსაც დეფორმირებადი (წინა და უკანა) ზონები ჰქონდა. 1968 წელს აღფრთოვანება გამოიწვია ვერსია 300SEL 6,3-მ, დაგრძელებული ბაზით, „ექვსასიანის" V-ტიპის რვაცილინდრიანი ძრავათი, პნევმოსაკიდრებითა და იმ დროისთვის ნოვატორული ჰალოგენური ნათურებით.

1972 წელს W109 სერიის ავტომობილი W116 სერიის, S კლასის „მერსედესის“ პირველმა ოფიციალურმა ეგზემპლარმა შეცვალა. ამ მანქანას დღესაც (მართალია უკვე იშვიათად) შეხვდებით თბილისის ქუჩებში. ის საოცარი სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩევა.

ნამდვილ „ურჩხულს“ – Mercedes 450 SEL – თითქმის შვიდლიტრიანი მოცულობის ძრავა ჰქონდა და ომისშემდგომი პერიოდის ყველაზე მძლავრი გერმანული სედანი გახლდათ. 1978 წელს გამოვიდა მისი ეკონომიური ვარიანტი – 300SD. ეს ავტომობილი, თავისი ხუთცილინდრიანი ტურბოდიზელის ძრავათი, საგანგებოდ სამხრეთამერიკული ბაზრისთვის იყო განკუთვნილი. 1979 წლიდან W116 ავტომობილების სერია ყველაზე ჰარმონიულმა და დიდებულმა W126 სერიის „მერსედესმა“ შეცვალა. მას ხშირად „შეიხების „მერსედესსაც“ უწოდებენ.

1991-98 წლებში „მერსედესი“ გათანამედროვდა და W140 სერიის გამოშვებით ბევრ ტრადიციულ დეტალზე თქვა უარი, თუმცა ხარისხი და იმიჯი ისევ ძველებური შეინარჩუნა.

ოცდამეერთე საუკუნეს „მერსედესი“ W220 მოდელითა და უამრავი ტექნიკური თუ ტექნოლოგიური სიახლით შეხვდა. ამ მანქანამ მომხმარებლის სხვადასხვანაირი შეფასება დაიმსახურა. ზოგიერთი ზედმეტად „განაზებას“, ზოგი კი ზომების შემცირებას საყვედურობდა. თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისმა შთამომავალმა, ახალმა W221 სერიამ ყველა კრიტიკოსს ჩააკმედინა ხმა. ჯერ ერთი, – მანქანა წინამორბედზე უფრო მასიურია და მის შემხედვარეს ჩვეული საიმედოობის შეგრძნება გეუფლება. S 500 ის 5,5-ლიტრიანი ძრავა 388 ცხენის ძალას გამოიმუშავებს და კომპიუტერებით გაძეძგილ საკმაოდ მძიმე მანქანას 250 კმ/სთ (ელექტრონული შეზღუდვით) სიჩქარის განვითარების საშუალებას აძლევს. ცალკე აღნიშვნის ღირსია სისტემა Distronic plus, რომელიც სამ რადარს მოიცავს. რადარები მანქანის წინ არსებულ ნივთებს აფიქსირებენ და დაბრკოლების წარმოქმნის შემთხვევაში, მანქანას ავტომატურად ამუხრუჭებენ. სიახლეთაგან საყურადღებოა წინა განათების სისტემასთან ადაპტირებული ეკრანები, მგრძნობიარე უკანა მაშუქები, სავარძლები, რომლებშიც სხვადასხვა ელექტრორეგულატორთან ერთად მასაჟორიც არის ჩამონტაჟებული და ა.შ.. მოკლედ, ახალი S კლასი მართლაც ძალიან კარგი მანქანაა, მაგრამ სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ის დრო, როდესაც „მერსედესი“ ფაქტობრივად წარმომადგენლობითი ავტოწარმოების უცვლელ ლიდერად იყო აღიარებული, წარსულს ჩაბარდა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ „დაიმლერ-კრაისლერი“ ხარისხიან მანქანებს აღარ აწარმოებს. უბრალოდ, მათ კონკურენტები გამოუჩნდნენ და „მერსედესის“ მესვეურებს ახლა ბევრად უფრო მეტი ძალისხმევა სჭირდებათ სათანადო დონის პროდუქციის საწარმოებლად. უნდა ითქვას, რომ ეს საკმაოდ კარგად გამოსდით. მიუხედავად ბევრი „დაკარგული კლიენტისა“, „მერსედესი“ კვლავ რჩება იმ ავტომობილად, რომელიც საზოგადოებაში მფლობელის სტატუსზე მეტყველებს. ამიტომ მე მანქანის უახლესი ისტორია და მომავალიც შედარებით ულრუბლოდ გვეჩვენება...

Mercedes W126 (1979-1991)



Mercedes W140 (1991-1998)



Mercedes W220 (1998-2005)



Mercedes W221 (2006)





n 18/27

# „ვინტორეზი“

## ქვიშიანი კასრების გამხვრეტი

### ერთ დროს ზესაიდუმლო საბჭოთა იარაღი ქართული სპეცსამსახურების შეიარაღებაში

*1992 წლის ივლისის ბოლოს სამაჩაბლოში ხმა გავარდა, — ლავოდეხიდან ჩამოყვანილ „ლამურებს“ ისეთი ავტომატები აქვთ, ქვიშით სავსე რკინის კასრებს ასი მეტრიდან ხვრეტენო, მაგრამ ეს საიდუმლო იარაღი შალითებში გახვეული დააქვთ და არავის აკარებენ ახლოსო. ასე რომ, ჩემი მცდელობა, „ლამურას“ საიდუმლო იარაღი ახლოდან დამეთვალიერებინა, მაშინ უშედეგოდ დამთავრდა. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მოვახერხე ამ საიდუმლო იარაღის გაცნობა, უფრო გვიან კი თბილისის ერთ-ერთ უბანში, ქართული სპეცდანიშნულების რაზმის პოლიგონზე მისი სროლით შეფასებაც შევძელი.*

ამხელა შესავალი ერთ-ერთი ბოლო საბჭოთა ზესაიდუმლო ცეცხლსასროლი იარაღისთვის ტყუილად როდი გავაკეთე, რადგან ВСС (სპეციალური სნაიპერული შაშხანა — საბჭოთა არმიის გენშტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს — ГРУ-ს სპეცდანიშნულების ბრიგადების, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის — КГБ-სა და შსს-ს შინაგანი ჯარების სპეცდანიშნულების რაზმების შეიარაღებაში მხოლოდ 1987 წელს მიიღეს. ასე რომ, 1992 წლისთვის, სამაჩაბლოში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის ბოლო ეტაპზე გამოჩენისას, ისინი ჯერ კიდევ საიდუმლო იარაღად ითვლებოდნენ და საბჭოთა არმიის ბევრ ოფიცერს თვალითაც არ ენახა. ერთ-ერთ პირველი ლაგოდეხში განთავსებული და ГРУ-ს დაქვემდებარებული მოიერიშე სადესანტო ბრიგადის სპეცდანიშნულების რაზმი „ლამურა“ გახლდათ, რომლის შეიარაღებაში ВСС-ები გამოჩნდნენ.

ოფიციალურად არსად არის დაფიქსირებული, მაგრამ ВСС-ს უფრო „ვინტორეზად“ მოიხსენიებენ. მისი შექმნის პირველი ეტაპი 1980 წელს დაიწყო. მანამდე საბჭოთა არმიის სპეცდანიშნულების რაზმების შეიარაღებაში 7,62 მმ-კალიბრიანი АКМ-ები იყო, რომლებსაც ლულებზე უხმაურო და უცეცხლო სროლის ხელსაწყო — ПБС-1 ჰქონდა დამონტაჟებული. მიუხედავად ამ მრავალმნიშვნელოვანი დასახელებისა, იგი ჩვეულებრივ მაყუჩს წარმოადგენდა, მისი საშუალებით კი მხოლოდ სპეციალური ვაზნების УС (შემცირებული სიჩქარე)-ის ტყვიების სროლა იყო შესაძლებელი. ასეთი ტყვიის საწყისი სიჩქარე 310 მ/წმ-ს არ აღემატებოდა, ანუ ბგერის გავრცელების სიჩქარეზე მეტი არ იყო და, შესაბამისად, გასროლისას დიდი ხმა არ ჰქონდა.

გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში შექმნილი АКМ+ПБС-1 ოცი წლის შემდეგ ველარ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, განსაკუთრებით კი სნაიპერისთვის, რადგან 400-500 მ დისტანციაზე სროლის დიდი სიზუსტით არ გამოირჩეოდა.

ამიტომ, სანამ სპეციალური სნაიპერული შაშხანა „ვინტორეზი“ შეიქმნებოდა, კონსტრუქტორებმა ჯერ სპეციალური ვაზნა დააპროექტეს: აიღეს 7,62X39 ვაზნის (АКМ-ის ვაზნა) მასრა და მასში 7,62 მმ-კალიბრიანი ტყვიის ნაცვლად სპეციალური 9 მმ-კალიბრიანი ტყვია მოათავსეს. ვაზნას შესაბამისი სახელწოდებაც ჰქონდა — СП-5 (სპეციალური ვაზნა-5). ვაზნის ტყვიის საწყისი სიჩქარე არ აღემატებოდა ბგერის სიჩქარეს და 300 მ/წმ-ზე ნაკლები იყო. ამასთან, თავად ტყვია 16 გ-ს იწონიდა (რაც 7,62 მმ ტყვიაზე ორჯერ, ხოლო 5,45 მმ-ზე კი ხუთჯერ მეტია(!)) და ისეთი ენერგია ჰქონდა, რამდენიმე ასეულ მეტრზე ჯავშანჟილეტსაც ხვრეტდა.

მოგვიანებით СП-5-ის ბაზაზე შეიქმნა СП-6 ტიპის ვაზნა, რომელსაც СП-5-გან განსხვავებით ჯავშანგამტარი ტყვია ჰქონდა და უფრო მოიერიშე ჯგუფებისთვის იყო განკუთვნილი. გავიდა რამდენიმე ხანი და შეიქმნა უფრო მეტად ჯავშანგამტარი ტყვიის მქონე ვაზნა ПАБ-9, რომელიც რუსეთის შინაგანი ჯარების სპეცდანიშნულების რაზმებს დაურიგეს. თუმცა დღეს ამ ტიპის ვაზნების გამოყენება აკრძალულია.

„ვინტორეზის“ მთელ „საიდუმლოებას“ როგორც თავად შაშხანის კონსტრუქცია, ისე მისთვის განკუთვნილი ვაზნები შეადგენს. თავად განსაჯეთ — „ვინ-








ვინტორეზი მასზე დამაგრებული ოპტიკური სამიზნით

ტორეზი“ სამ ნაწილად — მაყუჩი, სასროლი მექანიზმი, კონდახი — იშლება და ადვილად თავსდება მცირეგაბარიტიან „დიპლომატში“ და ამ სახით მისი მალულად გადატანა შეიძლება. აწყობას ერთი წუთიც არ სჭირდება. მჭიდში ათი ვაზნა თავსდება. თუ საბრძოლო ამოცანაშია დაშორებული მოწინააღმდეგის სნაიპერული ცეცხლით განადგურება, მაშინ სნაიპერული ვაზნა СП-5 გამოიყენება. ჯავშანჟილეტიან მტერს კი СП-6 ტიპის ვაზნის ტყვიას ესვრიან, რომელიც 100 მ-ის სიშორეზე 8 მმ სისქის ჯავშანფილებს და II-III კატეგორიის ჯავშანჟილეტებს ხვრეტს (ნამდვილად არ ტყუოდნენ ისინი, ვინც 14 წლის წინ სამაჩაბლოში ამტკიცებდა, რუს „ლამურებს“ „ვინტორეზებით“ ქვიშიანი კასრის გახვრეტა შეუძლიათო).

„ვინტორეზი“, ძირითადად, ერთჯერად სნაიპერულ სროლაზეა გათვლილი, მაგრამ შეუძლია ავტომატური ჯერის სროლაც. თუმცა ავტომატური ცეცხლის გახსნა არ არის რეკომენდებული ლულის სწრაფი ცვეთის გამო და დასაშვებია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში, მაგალითად, მაშინ, თუკი დამალულ სნაიპერს მოწინააღმდეგემ ალყა შემოარტყა.

მოგვიანებით „ვინტორეზის“ ბაზაზე შეიქმნა ავტომატი АС (ავტომატი, სპეციალური), რომელსაც დამატებით ВАЛ-იც უწოდეს. მას კონდახის კონსტრუქცია შეცვლილი აქვს და მოსახსნელი ხის კონდახის ნაცვლად გვერდზე დასაკეცი მეტალის კონდახი აქვს.

როგორც აღვნიშნეთ, „არსენალმა“ „ვინტორეზი“ თბილისში განთავსებულ ერთ-ერთი სპეცრაზმის პოლიგონზე გამოსცადა და სიმართლე გითხრათ, ძალიან კმაყოფილი დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ „ვინტორეზი“ 9 მმ-კალიბრიან ტყვიებს ისვრის, გასროლისას უკუცემის ძალა ბევრად სუსტი აქვს, ვიდრე СВД-დან სროლისას. ეს კი აუმჯობესებს მიზანში უკეთ სროლის შესაძლებლობას. „ვინტორეზის“ ოპტიკური სამიზნე კარგად დამიზნებისა და ასევე გვერდითი ქარის სიჩქარის გათვალისწინების საშუალებას იძლევა. „ვინტორეზი“ სხვა სნაიპერულ შაშხანებთან შედარებით მსუბუქია (სამიზნითა და ვაზნებით 3,4 კგ-ს იწონის). კარგად „ზის“ ხელებში, კონდახი მჭიდროდ ეყრდნობა მხარს და არ საჭიროებს დასაკეც ფეხებს მიწაზე დასადებად. ხის კონდახს ბოლოში რეზინის ამორტიზატორი აქვს, რომელიც თავის მხრივ ამცირებს სროლის შედეგად წარმოქმნილ უკუცემის ძალას.

პირველი „ვინტორეზები“ ქართული სპეცსამსახურის შეიარაღებაში ხუთიოდ წლის წინ გამოჩნდა. ჩვენი ინფორმაციით, ათიოდე „ვინტორეზი“ მათ რუსმა კოლეგებმა გადასცეს. 2004 წლის გაზაფხულზე კი რევოლუციური ხელისუფლების წარმომადგენლებმა „ვინტორეზები“ ბათუმში, ასლან აბაშიძის რეჟიმის დამცველებისგან ამოიღეს. დღეს „ვინტორეზები“ არა მარტო შსს-ს სპეცრაზმების, არამედ თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებაშიცაა, რომელმაც ეს იარაღი შინაგანი ჯარების დაშლის შემდეგ სპეცდანიშნულების პოლკიდან მიიღო.

და კიდევ, როდესაც საბჭოთა კონსტრუქტორები გასული საუკუნის ბოლოს „ვინტორეზსა“ და „ვალს“ ქმნიდნენ, მათ ქართველი, ქობულეთელი ალექსანდრე ხინიკაძე ხელმძღვანელობდა.

*ირაკლი ალადაშვილი*

**ჩვენი დოსიე:** სპეციალური სნაიპერული შაშხანა ВСС „ვინტორეზის“ სიგრძე 89,4 სმ-ია, საიდანაც 20 სმ ლულაზე მოდის. „ვინტორეზი“ სამიზნისა და ვაზნების გარეშე 2,6 კგ-ს იწონის (სამიზნითა და ვაზნებით მასა 3,4 კგ-ს აღწევს). მჭიდში 10 ცალი 9X39 СП-5 და СП-6 ტიპის ვაზნა ეტევა. ეფექტიანი სროლის მანძილი 300-400 მ-ია.



მარცხნიდან: СП-5-ის ტყვიის გულა და მასრა; СП-6-ი და 7,62 კალიბრის ტყვია




არსენალი
ВСС "ВИНТОРЕЗ"